


101  
1939



საბჭოთა 12  
ხელთკვება 1939



# საბჭოთა ხედოვნება

ხელმძღვანელობს და მდივანობას უწოდებენ მდივანის განყოფილებას

F-477.

სსსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელმძღვანელობის  
სამმართველო საგარეო ურთიერთობების განყოფილება



12  
1939



3/88. ჩიქობავაძე ბ. გ. მ. გ. შ. ა.  
3/88. მღვიმანი ალ. ს. ი. გ. შ. ა.

# სენალი

## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა


სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირდევნიისა

აზნაუბი იოსებ ბესარიონის-ძე სვადინისათვის  
სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების  
მიკუთვნების შესახებ

ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციის, საბჭოთა სახელმწიფო შიქვის, სსრ კავშირის სოციალისტური სარედაქციო აზნაუბისა და საბჭოთა კავშირის სალთა შრომის შემოტრების განმეორების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლისათვის მიკუთვნების შესახებ იოსებ ბესარიონის-ძე სვადინს, მისი ღვაწლის საშოთ წლისთავს, სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდება და გადაეხდეს სსრ კავშირის უმაღლესი ჯილდო — ღვინის ორდენი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირდევნიის თავმჯდომარე გ. კვინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირდევნიის მდივანი ე. გორკინი



# საქართველოს საბჭოთა მწიგნობის მიმართუა ახსანაბ სჯადინისადმი

არის პატარა ქალაქი თავისი კიდე-უბნითა,  
ვარდის, ვაშლების ბაღნარით ამოვსებულა უბითა,  
განთქმული ხალხის სიმაგრათ და გორისციხის შუბლითა,  
მუდამდღე მზე რომ დარაჯობს ხელში სხივების შუბითა!

აქ დილის ცისკარს ამოჰყვა მახარობელი დედისა,  
მზის საბუღარში ნაშობი, ქორ-შეგარდენი ქედისა,  
ბავშვს აეხილა თვალეები, მსგავსად ნათელი ბედისა,  
არწია ქართლის დედამა აკვანი ბაზალეთისა!

აქ იზრდებოდა, იწყებდი აკენიდან აღმაფრენასა,  
ლიმილს გაფრქვევდა მშობელი, გრძნობდა შევებას და ლხენასა:  
იზარდე, ჩემო ვაჟკაცო, ქვეყანა ითხოვს შევლასა,  
„თავისუფლების შოენაი სჯობს საშოვნელსა ყველასა!“

გარედან, გორისციხიდან თითქოს გეძახდა ქარია:  
ამოდი, ჩემთან იმღერე, დავკრათ მომავლის ზარია,  
ამღერდი, ააჟიკვიკე წკრიალა ხმების ქნარია,  
ვახსენი, როგორც ცისკარი, პატარა ქოხის კარია!

აქ ჩასწვდი „დედა-ენასა“, ანბანი ამოიცანი,  
დედამ პირველმა გაგიხსნა წადილა სწავლის გზისანი,  
შეაღე სკოლის კარები, როგორც დიადი მიზანი,  
შიგ შეანათე მგზნებარე თვალეები შეგარდინისანი!

მაშინ მზე აკლდა ქვეყანას, ბნელოდა შინ და გარეო,  
ადრე აღმართე ჭაბუკმა კალამი მოელვარეო:  
„აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მნარეო  
და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო!“

შემდეგ ბრძოლები, თმები... გვირის ხმა არ ჩასმობილა,  
რამდენი სისხლი დაღვრილა, რამდენი გადაშრობალა,  
მტერზე აწვდილი მახვილი ქარქაშში არ ჩასობილა,  
გორისციხიდან კრემლამდა გზა ცისარტყელად შობილა!

ლდეს საბჭოეთის ქვეყნები, მშით გავსებულნი გულითა,  
ერთად, ერთსხივად შემკული გრძნობების თაბგულითა,  
შენი სიცოცხლის სამოცწელს ზედებიან სახარულითა,  
ურიცხვ მაღლობას გითელიან სიმღერით, სიყვარულითა!

მათ შორის ჩვენც ვართ, ელვარებს ჩვენი მზისფერი ალამი,  
ერთმანეთს გადაჭდობილან ჩაქუჩ-ნამგალა-კალამი,  
ყელი სამღერლად ქცეულა, ვით სალამურის წალამი,  
მიიღე საქართველოდან ჩვენი გულთბილი სალამი!

შენი სიცოცხლის ეს წლები და მისი წუთი ყოველი,  
მშრომელი ხალხის ბრძოლასთან შეზრდილი, განუყოფელი,  
მუდამ გამირული წინსვლაა, მუდამ ბრძოლისკენ მხმობელი,  
სიმაართლის გამარჯვებაა, სიბნელის დამამხობელი!

ეს არის წლები ხანგრძლივი ცამბირის, ცივი გზებისა,  
გადასახლების, განდევნის, ფოლადისებურ ნებისა,  
მშრომელთა გამოფხიზლებას, დამონებულთა შევებისა,  
ეს არის წლები დიადი ბრძოლის და გამარჯვებისა!

ეს არის წლები, რომელმაც ხალხს აუხილა თვალები,  
მოჰფინა ცას და ქვეყანას მზისფერ დროშების ალები,  
დევეგირულ ამირანივით დაღეწა ჯაჭვი წვალების  
და დაუბრუნდა ქვეყანას კვლავ სასიცოცხლო ძალები!

ეს არის ხალხთა სამშობლო, ლაშქარ-მრავალი, კლდიანი,  
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, თოვლით მოვერცხლილ-მთიანი,  
უსაზღვრო, უხვი, უძლევი, მკლავმაგარ დროშის-ფრთიანი,  
ხალხი პურადი, გულადი, ბრძენი და დოვლათბანი!

ლენინთან ერთად გასჭედე გულმტკიცე, ხმა-ცეცხლოვანი  
ბოლშევიკების პარტია გამირული, სახელოვანი,  
რომ გაგეფანტათ ბნელეთი, — მუქთახორების ხროვანი,  
ხალხში მშედ ამოსულიყო ქვეყნის დარდი და გლოვანი!

ლენინთან ერთად ეკვეთე მტერს ამოდებულ ხმალივით,  
ბნელში ვარბოდნენ მტარვალნი ნასეტყვარ-ნარისხვალივით,  
და თქვენი აზრი გავრცელდა ოქტომბრის ქარში ალივით,  
და თქვენი დროშა მოედო ქვეყანას ქარიშხალივით!

დაემხო იგი სამყარო მუდამ სასხლისა მდომელი,  
აზრების, თავისუფლების დამხრჩობი, დაუნდობელი,  
აღსდგა ახალი ქვეყანა, მსგავსი საღ არის, რომელი,  
ჰაერით, ზღვით და ხმელეთით მტრისთვის ხელ-მიუწვდომელი!

შენი ცხოვრების ვრცელი გზა, კიდით-კიდემდე ქებული,  
ქართველი ხალხის გზაც არის ბრძოლებით გამაგრებული,  
შენი პირველი ნაბიჯი, ვით ვარსკვლავების კრებული,  
ქართლას მიწაზე ატყვია მარადის გაშუქებული!

ბაღებში, მინდვრად, ქარხნებში შენს მზეს ფიცულობს მშრომელი,  
შენ მოგვაშორე სიაცე და ღამე სულის მშობელი,  
ვამყობთ: ჩვენი სამშობლო შენი დედაა, მშობელი,  
რომ „იავ-ნანას“ გამღერდა მტკვარი წყალ-დუშრობელი!

ვათენდა... ღამის წყვილიადის აწ დაბრუნება ძნელია,  
ყოველი წელი ახალი — ეს გამარჯვების წელია,  
„მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,  
ბორბტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია!“

ვინც იცის ჩვენი წარსული, — ბრძოლაა შეუწყვეტელი.  
რაც ქართლზე იწვნენ ღამენი — ვინ იყო მისი მკვრეტელი?  
ჩვენი ზვავის და ბარაქის ვინ არ ყოფილა მხვეტელი.  
ევროპის კართან ვწვდებოდით, ვიყავით მისი კედელი —

არ ახსოვთ ჩვენი ნაბრძოლი, არც ჩაუგდიათ იოტათ,  
არასდროს მოგვშველებიან, როცა გეშოდა, გეციოდა,  
მტკვრის და რიონის მაგიერ სასხლის მდინარე დიოდა,  
ალი და ცეცხლი წარღვნისა ქერისთავს გადაგვდიოდა.

მტერი, რა მტერი, რამდენი, — ზღვას ვინ დაუდოს საზღვარი?  
ჩვენსავეთ არვის რეგავადა ქარფიცხელი და წყალღვარა!  
ჩვენი სამშობლოს ველები, მდელი, მინდორი, ბაღნარი —  
ნათურქალია, ნარბევი, ნათქერი, ნაყიჩადარა!

მტერს ჩვენი მიწა მიჰქონდა ჩვენი მკვლელობას ხელფასად,  
რამდენჯერ გულის სიმწართ, მოვსოქეამდით ჩვენს აკლებასა:  
„ცეცხლისა და წყალ-შუა ვართ, — ორისავე ვართ ნებასა,  
ცეცხლი გვიპირებს დაწვასა, წყალი თან ჩაყოლებასა!“

მაგრამ არ დაგვივენესია, თუმცა ვიყავით თელილა,  
ბევრჯერ აღგვილნი მიწიდან, ცხრამთას იქითაც დევნილი,  
ტყეში, ღრეში და კლდას ეხში შემთხვევით გადარჩენილი:  
„ვეფხვი ვინა სთქვა მტირალი, თვალზე ცრემლჩამოდენილი“.

მშრომელმა ხალხმა არ შექმნა ლეგენდა ამირანისა?  
დიდებული და უკვდავია, მოთხრობა დიდ მოწამისა,  
მასში სთქვა ტანჯვა თავისი, წამება მრავალჯამისა,  
ისიც სთქვა, რომ ამ წამებამ მისი მზე ვერღა დანისლა.

არწმენით უმზერდა მომავალს, დახუნდებული, ვნებული,  
კავკასის მთაზე მიჯაჭვულ ვაჟკაცით შთავგონებული  
ის არა ერთხელ ყოფილა მკლავით და აზრით ქებული,  
დამშვენებული ძეგლებით, მარმარით ამოგებული.

აჰნედ მაღალ მწვერვალებს, არც კი ჩანს ნაბილიკარი,  
ჩუქურთმიანი ნაშთები, ციხე-კოშკები იქ არი!  
ქვას არშიები გვაკვირვებს, ვაზიღამ გათლილი კარი,  
ვეფხვი მტენებში, ფასკუნჯი, ნუკრდახატული ფიქალი.

აჰფურცლე ხელნაწერები — თავსამკაულად მტრედები,  
ასომთავრული შემკული ბრწყინვალე კამარედებით,  
ნაწროობი ხმალა, ზარნიში, ვარაყი, ოქრომკედლები...  
ნახე წარსულის ძეგლები და მათი ქვაკუთხედები...

რამდენი გვეყანდა ოსტატი, აზრის — ლოდებზე მყნობელი.  
მოქანდაკე და მქედელი, მხატვარი, ოქრომდნობელი,  
ჯადო მარჯვენა ჰქონიათ, ბედა კი — დაუნდობელი,  
ჰქმნიდნენ, გვარსაც კი არ სწერდნენ—გულში ცეცხლჩაუქრობელი!





მათი საფლავნიც არ ვიცი, — ნეშტი და ძვალიასალაგი,  
 სად არის შოთას სამარე, გურამიშვილის ალაგი?  
 ვინ დაიტირა ბესივი, საბა-სულხანის ამაგი?  
 განსტყორცნა ბნელმა ცხოვრებამ, ანატრა მტკვარი, არაგვი!

ვინ დასთვლის ჩვენსა გმარებსა და მათ გამომზრდელ მშობელსა,  
 დიდ სააკაძე გიორგის, მტრის ურდოს დამადნობელსა.  
 ან შალვა ახალციხელსა, ზეზვას — მტრის სისხლით მთრობელსა,  
 სამას არაგველს — კრწანისში მკერდზე სისხლ-შეუშრობელსა!

უმაღურობათ სავსეა მათი ნაღვალის რვეული,  
 მოწამებრივი ცხოვრება მათ წილად იყო ჩვეული,  
 მახსოვს, მრავლისა შესმული შხამი — ძამწარე რეული,  
 გინდ ხმალი სააკაძისა, მიწაში გადამსხვრეული!

ჰსურდა მტერს ხალხის სიკვდილი, — მუხანათსა და ორბარსა  
 ის არ იცოდა, — გულდაპრილს მხრებში ფრთა ჰქონდა ორბისა,  
 მან შექმნა შოთას ოცნება, — წიგნი ვაჟაკურ ძმობისა,  
 წიგნი მზის, თავისუფლების, მარადი მეგობრობისა.

მებრძოლი სული ხალხისა რჩებოდა უბერებელი.  
 სწყუროდა მარად ნათელი მზის ელვარების ელფერით,  
 მუდამ იბრძოდა მზისათვის, როგორც მზის ვაჟაკს შეპყვრის,  
 თავისუფლების მებრძოლი — რკინა აულებელი!

ვერც მთებს მოშორდა ნისლეგი, ვერც საქართველოს — მტერია,  
 მოსახლე მტრებში პირველი — რუსის ხელმწიფე ერია.  
 ვერ მოვითმინეთ, ავარდა ამბოხებათა მტერია,  
 პირანთებული მრავალი ბრძოლაში გადაერია!

არ დავთმეთ თავისუფლება, მისი უკვდავი გენია.  
 წინ სიკვდილს მივგებებვივართ, რა ცეცხლი მოგვითმენია!  
 რომდენა კაკო, არსენა ამ ბრძოლას დაუწვენია!  
 რამდენი ოხვრა ციმბირის ნამქერებს მოუღმენია.

შენ ჯერ ჭაბუკი მგზნებარე, ოცნებით ნაფერმკრთალეგი,  
 იყავ კავკასის ბელადი, მესაჰე მისი ძალების,  
 შენ ვააღვიძე მის გულში პირველი ნაპერწკალები.  
 და მერე ხანძრად აქციე ცხრაას ხუთი წლის ალები!

მერე შავი რეაქცია დამესავით ქვეყნად დაწვა,  
 დღე ჩააქრო და მზის ნაცვლად სახრჩობელა ტახტზე დასვა.  
 ვინ და იყო, ვის ახსოვდა მუშისა და გლეხის დაცვა,  
 სოფლები და ქოხმანები უღმობელმა ცეცხლმა დასწვა.

განა ერთი ჩვენი მოძმე ჯალათებმა შეიწირეს,  
 ტლეკით მოჰკლეს წულუკაძე, რადგან ჩასწვდა ხალხის ძირებს,  
 მოჰკლეს ლადო კეცხოველი, ტყვიით გული გაუგმირეს,  
 მაგრამ მტერი რას დაღევდა შენს გამოზრდილ ქვეყნის გმირებს.



ამხანაგი სტალინი და ლ. ბერია კოლმეურნეებთან

ვლ. ხოფერიას ორელიფი

იდეჲ, როგორც ჩირაღდანი, როგორც სვეტა ნათლის მფენი, მშრომელ ხალხის წმინდა ღრწა იყო გზა და საქმე შენი. შენ შედეგ ყველა კარი, შენ გასწიე ყველა ბჭენი და უთხარი იმ თავითვე ხალხს აზრი და სიტყვა ბრძენი.

შორს იყო, მაგრამ გათბობდა დიდი ლენინის გენია, მთის არწივს გაჰყევ მხარდამხარ, წამიც არ დაგისვენია, ორი მზე ერთად აერთო — ქვეყნად სინათლის მფენია, ორივემ ერთად შეაშრეთ, რაც ხალხს ცრემლები სდენია.

დიდი ოქტომბრის მეღრომე — ლენინი ქვეყნის ბელადი გხედავდა, მასთან რომ იდეჲ და ფოლადით ელავდი, თქვენ დაიხსენით მონები — ბოქილ-გაყრილი ყელამდი, კავკასიონის ქელიდან ჩრდილო ზღვის მისასვლელამდი.

მაგრამ ამ დროს საქართველოს ისევ სცემდა ავი ქარი, ცაში ხანძრის კვამლი აღგა და მზის ნაცვლად ენთო კვარი. ოქტომბერმა მენშევიკებს უცებ დასცა შიშის ზარი და დიდ რუს ხალხს გამოგვითმეს, ჩავვიღობეს რკინის კარი.

სამ წელიწადს საქართველო სამარცხვინოდ სჭრეს და ჰყიდეს, კენესა იდეგა ყოველ ქოხში, ცრემლი რწყავდა კილით-კილეს, კავკასიის მოძმე ხალხი მათ ერთმანეთს გადაჰყიდეს, სისხლი სურდათ და სისხლოთვე მიადწიეს სურვილს კიდეც.

სტიროდა ვერხვი შავი ზღვის, ვაზი ალაზნის ველისა, სტიროდა მწყემსის ჩონგური და სალამური ლელისა, მუშის მარჯვენაც სტიროდა და გუთნისდედის ხელიცა, ქაჯებს ტყვედ ჰყავდათ ლამაზი სამშობლო რუსთაველისა.

მაგრამ ის ცეცხლის ნათესი შენ რომ დასტოვე ღვიოდა, ჩრდილოეთიდან ისმოდა — იქ რომ არწივი ჰყიოდა. კრემლის ვარსკვლავის სხივები გორის ციხეზე სცვიოდა და ქართლის გულში გამთბარი მზესავით ამოდიოდა.

ლაიძრა ხალხი მშრომელი, მტკიცე და თავგანწირული, ბოლშევიკების პარტიამ სული ჩაუღდა გმირული, — გაუძღვა როგორც მახვილი ბასრი და პირდაპირული და მოსპო ძალმომრეობა, ცრემლებით ამოკირული.

სტალინ, შენ იყავ მაშინაც ჩვენი ღრწა და მახვილი, შორს იყავ, მაგრამ გვესმოდა ბრძოლაში შენი ძახილი, ველზე კედებოდა ვაჟკაცი — მარჯვენა დაუძრახელი და სიკვდილის წინ გულიდან ჰხდებოდა შენი სახელა.

შენ ისევ მოძმე რუს ხალხთან შეგვეკარი ძმური პირობით, ხალხი — ლენინის მშობელი სახელგანთქმული გმირობით ჩვენთან მოვიდა საშველად, ვაჟკაცურ პირისპირობით, და ერთად ვიწყეთ ცხოვრება — უწინ თუ ერთად უსტიროდით.

დღეს გავცქერით იმ შავ წარსულს და ჩვენს მიწას ცეცხლით ნათელს, ხალხის გული სწყველის, ჰკრთლავს ჩვენს მტრებსა და ჭუხანათებს, სწყველის, რადგან თუნდ მცირეხნით აგვაცილეს შენს გზას ნათელს, სიყრმიდანვე შენგან ნაფიქრს და ღამეებს შენგან ნათევს.

დღეს, მებაღვე ჩვენი ქვეყნის, გაიხარა შენმა ბაღმა, შავი ღამე დარჩა მხოლოდ საბჭოეთის საზღვრებს გაღმა, თუ რამ ჰქონდათ სასიცოცხლო ჩამოსჭვნა და ისიც ვახმა, ვეღარავინ დააბრუნოს მათი ჩარხი ისევ წაღმა.

იქ ვის ახსოვს ხელოვანი, ვინ აფასებს ნამდივლ მწერალს, მეცნიერი ქუჩაში ზის და ყინვაში ძველმანს კერავს, მომღერალი ძალათ მღერის, ცრემლით ავსებს მშვიერ კერას, ან თავს აკლავს — რომ უარესს გადაურჩეს ბედის წერას.

ასე იყო ჩვენშიც წინათ, როცა ტახტი ედგა ჯალათს, ნათელ აზრს და უკვდავ სიტყვას ხალხის გულში ჰკლავდნენ ძალათ, მათ უნდოდათ ქვეყანაზე სიმაართლის ხმა წაეშალათ და ჩაეხშოთ, რომ ხალხშივე არ გაედგა ძირი კვალად.

მათ მოჰკლეს დიდი პუშკინი, — დღე უკუნეთზე გასცვალეს, სანამ სცოცხლობდა — იბრძოდა, ათასნაირად აწვალეს. ტყვია ესროლეს ლერმონტოვს, სიცოცხლე აღარ აცალეს, დაობლებულს და მწუხარეს ხალხს გული ამოაცალეს.

მგზნებარე ტარას შეეჩენოც — ფარხმალი უკრაინისა — სტეხეს და ბოლოს იმსხვერპლეს, თუმც გული ჰქონდა რკინისა. აქ ჩვენ მოგვიკლეს ილია, ჩვენი გულიც და ტვინიცა, წადიმს იხდიდნენ ყორნები, დრო დასდგომოდათ ღზინისა.

ვაჟა სიმშილმა მოგვტაცა, ვეღარ გაუძლო სხეულმა, ყაზბეგი ბედმა-შავბედმა დასცა და დაასწეულა, კიდეც რამდენი წაგვართვეს, კიდეც რამდენი ძლეულა, მათი გმირობა სახალხო თქმულებად გადაქცეულა.

ვინ ჩამოსთვლის მათ სახელებს, ვინც ქვეყანა ასახელეს, დოდაშვილს და ჩერნიშევსკის უბოჭავდნენ რკინით ხელებს. ვინ ემსხვერპლა ციხეს, ციმბირს, ვინ დააკვდა ძვლებით ველებს,— მათ დიდება დარჩათ ხალხში და ზიზღი კი მხოლოდ მკვლელებს.

სტალინ, შენ და დიად ლენინს მტრებმა რა არ დაგვიბირეს, თქვენს სამუხთლოდ დანა ლესეს და მახვილიც ბეგრჯერ ჰპირეს, ბევრი მხდალი და სულმოკლე მოლალატედ ვადიბირეს, მაგრამ ხალხი კელად ედგა თავის დიდს და უკვდავ გმირებს.

მწარე იყო ჩვენი ხვედრი და დუხჭირი იყო თანაც, გვაგინებდნენ დედა-ენას — რუსთაველის ნათეს ყანას, გულმოკლული დედა აკვანს ვერ ეტყოდა იავნანას, დღეს ვიგონებთ მხოლოდ ოხვრით იმ შავ დროს და იმ შავ ხანას.

შენ გვეყვდი, დღესაც მიგვიძღვი, მოგვებით თავმოწონებით,  
შენ დაგვიბრუნე სიცოცხლე შენი უკვდავი გონებით,  
გზა კი არ არის, ბაღია — გაშლილი ვარდის კონებით,  
„მიეცი ნიჭსა გზა ფართო... ათავისუფლე მონები“.

ჩვენმა ხალხმა საბჭოეთში არწივივით ფრთა გაშალა,  
ქირვარამში გამოვლილმა, ასკეცა თვისი ძალა,  
ძველი წყლული მოიშუშა, გულით დარდი გადიყარა.  
წამომდგარი გმირთა-გმირი ლალ ამარანს დაედარა.

მას წადილი აუსრულდა, მტერი მოსპო დასადაგი,  
წელში ახლად გაიმართა, სასიმღეროთ გახსნა ბაგე,  
მიუძღვები უძღვევლი, დიდი ბრძენი მოამაგე,  
ხალხს შთაბერე ვეფხვის ძალა და კლდესავით გაამაგრე.

შენი სამშობლო აყვავდა, შრომის დროშაა აწვდილი,  
წამოდგა კაცი მშრომელი ხანდაზმული და ყმაწვილი,  
რაც მოგვევლანა ბერია, შენი ფოლადის ნაწილი,  
შენი ერთგული მოწაფე და საქართველოს არწივი.

ჩვენ ვაყვადი გვეყავს მრავალი, მართლა შევეარდნის სადარი,  
ტახანოველი მედგარი, მკლავი მტკიცე და მავარი.  
სხვა საქართველო ასეთი, როდის ყოფილა, სად არი?  
სამშობლო აღიდებულა, მტერი მოისპო საზარი.

აღორძინდა საქართველო და შიგ ელავს ძველი გორიც.  
გალომკაცდა ჩვენში ხალხი, კავკასიის მთების სწორი.  
ღირსეული ადგილი აქვს მიკუთვნილი ძმათა შორის,  
გვერდით უდგას ათი მოძმე, ვაჟკაცი და თანატოლი.

მზე არის და შენი თვალი, რომ ანათებს ქართლის ბაღში,  
სხივია და შენი მზერა გადმოღვრილი უკვდავ სახლში;  
ხალხი, ხალხი ყრიაბულობს, ფოთლებივით სცვივა ტაში,  
სტალინი! სტალინი, ბრძენო მამავ! მოგძახიან მთა და ბარში.

ინდუსტრიის მხარედ იქცა ჩვენი კუთხე მოსაწონი,  
ტყვარჩელი და ჭიათურა, ტყიბული და ზესტაფონი.  
აბრეშუმის ქარხანა თუ ქუთაისის ლიტაბონი,  
ელექტრონით მოქარავულან საქართველოს მიდამონი.

კახურ ბაღს რომ განშორდები, კოლხეთს ბაღში მიხვალ ისევ,  
ნარინჯების წალკოტს ნახავ, ელავს ხელი მოხალისე,  
ზღვის ნიავი აქანავებს დაფნას, ჭადარს და ალვისხეს,  
მეზაღე დგას თურინჯებში და ფორთოხალს ახარისხებს.

ბედნიერი კოლმეურნე ალამაზებს არე-მარეს  
და გუშინდელ ღარიბს ხიბლავს, რომ გამდიდრდა ასე მალე.  
ვარდებივით ბაგეებში ჰყავს, აჭრიალებს ოდის კარებს,  
მტერს და დუშმანს კოლმეურნე სამუდამოდ ასამარებს.

თუ რა შექმნა კოლმეურნემ, თუ რა შესძლო მძლე მარჯვენამ —  
ჩვენი მინდვრის, ჩვენი სოფლის, აყვავება ხალხს აჩვენა,  
დიდ მოსკოვში მრავალფერად გამართულმა გამოფენამ  
და ათასერთ ბაღად იქცა ჩვენი ხალხის აღმაფრენა:

თამბაქო და ჩაის ბუჩქი, ნარინჯები მრავალგვარი,  
პურის ყანა, ვენახები, ან ჯეჯილზე ნიაე-ქარი,  
კალმანები აუზებში, მოხატული ქართველის ბარი,  
სამაისო საქართველო ათი გმირის მეგობარი.

სუფრებს ამკობს მანდარინა, თვალმა როგორ დაითვალოს,  
ფორთოხლის-ხე ალამაზებს კოლმეურნის კარმიდამოს.  
დოვლათი და ქართველის მიწა, მშრომელს ერგო სანეტაროდ —  
გვინდა დროშა გამარჯვების, ცის კიდემდე გავიტანოთ.

რამას მინდორი გაშლილა, გერანიც სურნელოვანი,  
ჩაის მკრეფელი მრავალი, ქალია სახელოვანი.  
დავძლიეთ მთები მაღალი, გაუავალი და კლდოვანი,  
გაახლაგზრდა ბუნება და გაჭაბუკდა მცოვანი!

ყოველავე შენ გვიბოძე, შენ ბრძენი ხარ და მებღე,  
ზამთარი და დაბრკოლება შენ მზესავით გადალახე,  
ბნელი ღამე გაგვიკაფე, გამარჯვება გადმოგვძახე  
და ყოველყამს გზას გვინათებს ბრძენთა-ბრძენო, შენი სახე!

მწყემსი შენზე ლერწამს უკრავს, მთიდან უმზერს საუკუნეს,  
ხეგური თხზავს შენზე ლექსებს და ახალ გზას გადაჰყურებს,  
კოლხიდელი ნანას მღერის, ბავშვს შენს სახელს დაღუღუნებს,  
შენს დიდებას კოშკთან სვანი ენგურვიით აფუგუნებს.

კახელის ხმა მთაში სწვდება, მოწკრიალე ყოველ დილით,  
მღერის ოსი და აფხაზი მაღალ მთაში გამოზრდილი.  
გორის ახლო, ქართლის გულში, თითქო გალობს ავთანდილი.  
და მესხეთში მტკვარი მოჰქუხს შოთას ლექსად გავარდილი.

აჭარელი ზღვას გასცქერის, შენზე შეგალობს ალიონს,  
შენ აამაღლე ყოველი დაჩაგრული და მდაბიო,  
მოხევენი და ფშაველნი ლექსებს გეტყვიან მკაფიოს  
და კრიმანჭულით გურული შეარხხეს ზეცის დაფიონს.

რიონს გასძახის იმერი, ტალღამ დაჰყარა აღმასი,  
ლეჩხუმიდან და რაჭიდან მთები გიგალობს ლამაზი,  
ხალხი გაკაჟდა პურადი, გულხმიერი და მამაცი—  
თავდადებულნი ქვეყნისთვის, ვით არაგველი სამასი.

მერე პასუხობს თბილისი, ისმის მედგარი ძახალი,  
ნარიყალა და ისანი წარსულის გამომსახველი,  
მტკვარი — ნაპირებ შემეკულა, ბევრ უბედობის მნახველი,  
გუგუნებს მთელი ქალაქი: ცოცხლობდეს შენი სახელი!



ამხანაგი სტალინი 1907 წელს  
გ. ცომბაის ქანდაკება

საქართველოს სიამაყე თბილისია მტკიცედ მდგარი,  
ბევრჯერ მტრისგან შელენილა მისი ციხე-გალავანი,  
მაგრამ იგი მძლევ ყოფილა, ბევრ ურდოსთან ნაომარი,  
დღეს ბერიას მარჯვენისგან გარდაქმნილა სანუკვარი.

ბაღებით და წაღკოტებით ანთებულია მთა და ბარი  
ბოლნისის ქვით, ჩუქურთმებით შენობები მრავალგვარი,  
მოკირწყლული ნაპირებით მოელვარებს ჩვენი მტკვარი,  
და ყველაფრის შემომქმედი შენი ბრძენი ხელი არი.

ქართლას კულტურა ძველია, ძველთაგან გამოწრთობილი,  
დანშული იყო მრავალჯამს, კარჩაკეტილი ობოლი,  
შენა ზარ მისი დამსხნელი, რუსთავლის გამომხმობელი.  
გმირულმა ხალხმა გიწოდა ქვეყნის მსხნელი და მშობელი.

შემომქმედს ახლა სად ახსოვს, ძველი წყლულია და იარა,  
შენი ამაგიტ გაცოცხლდა, ხალხს ემსახურა მთლიანად.  
გახდა ცხოვრების მქედელი, სიამე გაიზაარა,  
თავისი გული სბეტაკი საქვეყნოდ აახმიანა.

ოცდაათს ათასს აჭარბებს მასწავლებელი სოფლისა,  
არის რვაასი ათასი მოწაფე, თვალი მშობლისა,  
შეცნიერი და სტუდენტი საბჭოთა დიდი სკოლისა,  
რა არმიაა დიადი! სიხალისეა შრომისა!

ბევრი სიმაღლე ავიდეთ, ბევრი ლამაზი მწვერვალი,  
არის საბჭოთა მგოსანი „მუდამ მხნე, მუდამ მღერალი!  
რევოლუციის პოეტებს — სალი და წინ მაქცერალი —  
შემოუერთდა მრავალი ძველი ოსტატი მწერალი.

აყვავდა ჩვენი მწერლობა ხალხის ნებით და ძალებით,  
წამოდგა შოთაც, ილიაც ათასჯერ განაწამები,  
მრავალ ენაზე ითარგმნა ქართული სიტყვის მამები,  
მრავალ ენაზე მღერიან წიგნები ნათარგმანები.

ბევრი ახალი რომანი, ბევრი მოთხრობა ქართული,  
ბევრი ფერადი სურათი, ჩუქურთმა გამოკვართული  
გავიდა ხალხში, გავრცელდა, როგორც ამბავი ხალხური  
ჩვენი ცხოვრება იმღეროს, ჩვენი მგზნებარე წარსული.

ხალხშია სწავლა გასული, დიდი სიმაართლის მთხრობელი,  
კანო-თეატრით, კლუბებით გამდიდრდა ჩვენი სოფელი.  
ქვეყნის შორეულ ყურესაც მზე დასცქერს მანათობელი.  
რა დიადია, ნათელი, ხარობდეს მისი მშობელი!

სამშობლო ქვეყნის სიყვარულს დედა გვეტყოდა გოდებით,  
შენმა პარტიამ ქვეყანას აპყარა მძიმე ლოდები.  
უძლეველია სამშობლო, გამლილა მისი ტოტები.  
ვუმღერათ ქვეყნის სიმარეს საბჭოთა პატრიოტები.



მშრომელი ხალხის ხელში ვართ გაზრდილი, დაბადებული,  
მშრომელი ხალხის საქმისთვის გმირულად თავდადებული,  
ნაცადი ძველი თაობაც თანამებრძოლად გვეგულის,  
კარგი ჩვენია ახალი, ძველიც ჩვენია ქებული.

როგორ გვზრდის ჩვენი ქვეყანა, როგორ გვაფასებს პარტია,  
ხალხის გული და ალერსი მზის ნათელივით გვარტყია.  
ჩვენს საქმეს შენი თვალყური, ხელი მზრუნველი ატყვია,  
რა ასპარეზი მოგვეცა, დიდაი შენი ქარტია.

საბჭოეთის ორდენები, — დიდებული ოქროს ძღვენი  
დაგვშვენდა და ალისფერად ანთებულა მკერდი ჩვენი.  
ზოგს ნამგალი ახატია, ზოგს უნთია მკერდზე ლენან,  
ასე ფასობს მეცნიერი, ხელოვნების მოღვაწენი.

ვინაც ხალხის მსახურია, ვინაც ღონეს ხალხს მოახმარს;  
ვინც ესწრაფვის შთაგონების ხალხის გულში გამოანხვას  
ის დაფასდა, მისი ჩარხი დატრიალდა უკვე წაღმა,  
ის უმაღლეს საბჭოებში აირჩია თვითონ ხალხმა.

მუშაობენ საბჭოებში და ქვეყანას ამაგრებენ,  
სახელმწიფოს მსახურებენ, ხალხის ნდობას ანადღებენ,  
ქვეყნის გულში ტრიალებენ, თავის გულსაც ამალლებენ,  
მუშასთან და გლეხთან ერთად ჩვენს ქვეყანას განაგებენ.

გულით დაგვაქვს სიმღერები ბედნიერი მშრომელ მხარის,  
ფხიზლადა ვართ შეუდრეკელ გუშაგების რიგში მღვარი.  
და თუ მტერი დაიძვრება ბოროტი და ღამის დარი,  
ნახონ როგორ ტყვიამფრქვევად შეიცვლება კალმისტარი.

რა უკუნეთი გავლიეთ, მას აწი აღარ გამოვცდით,  
შენ იხსენ ჩვენი ქვეყანა, ერებში აღარ გამოვწყდით,  
ქალაქი აღიმართება, სადაც მარჯვენას გამოწვდი,  
მოგვილოცნია, ბელადო, დიადი წელი სამოცა.

განა სამოცი წლისა ჩარ! შეზრდილო ხალხის გულებთან,  
შენ ათასწლის ოცნებაც, იმედო საუკუნეთა,  
შენზე დაიწყეს ლილინი უსხოვარ დროას ხნულებთან,  
ხალხი იმ დღიდან გელოდა, შენს სახელს აგუგუნებდა.

შენს ნამაგარს ხედავენ თვალის პირველი გახელით,  
ჩვენი საბჭოთა ეპოქა შენდება შენი სახელით;  
იმედით შემოგცქერაან ყრმათა ბრწყინვალე სახენი,  
შენა ხარ ჩვენი გმირობის და ძღვევის გამომსახველი.

შენ, როგორც დროშა, უძლოდი ხასანის ტბასთან არმიას  
და ჯარმაც სამურაების ბრბოები შამოარბია,  
სამშობლოს საზღვარს დასაცავს, — მთა და მდინარე არ ჰქვია,  
იქ ჩვენი სისხლი მღელვარებს, ჩვენი ხორცი და ძარღვია!

შენმა სინათლემ ახაროს, თუ ვინმე ბნელით ჩაგრულა,  
ბელორუსიის მიწიდან პანები მიმოქარგულან,  
უკრაინელის გულმკერდზე შენი ხმა ამოქარგულა, —  
ორი ძმა იყო, ორთავეს თავისუფლება არგუნა!...

ხალხს ბედნიერი ცხოვრებით ბეჭები გაუმართია,  
შენი სახელი დიადი ჩაგრულთა განთიადია.  
და გამარჯვების იმედათ ფინელთა გულშიც ანთია,  
რომ ბრძოლით გაანადგურონ, ვინც მათში მუხანათია!

ჩვენი სიმღერა, ბელადო, ერთა სურვილის მთქმელია,  
რომელთაც ჩაუქრობელი სტალინის შუქი ჰფენია,  
აყვავებული სამშობლო, მანდორ-ველს მოუღებენია,  
კლდეებზე გადმომქუხარე მდინარეებიც მღერიან:

დღეგრძელი იყოს, იხაროს — ხალხი ვინც გაახალისა,  
თერთმეტი ქვეყნის გულისთქმა და ელვა მათა ხმალისა,  
ბნელს ანათებდეს შორეულს სხივი ბელადის თვალისა,  
ის ერთადერთი იმედი მსოფლიოს მომავალსა!

მიმართვა ლექსად გამოსთქვეს პოეტებმა:

ალიო მაგაზვილმა,  
გიორგი ლეონიძემ,  
ილო მოსაზვილმა,  
ნიშონ ჩიქოვანმა,  
ირაკლი აბაშიძემ,  
კარლო კალაძემ.



## ს ზ ა ლ ი ნ ი

ამხანაგ სტალინს შეუსრულდა 60 წელიწადი. მსოფლიო მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, რომელიც XIX ს. მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში მჭიდროდ არის დაკავშირებული ლენინისა და სტალინის სახელებთან, ეს არის მნიშვნელოვანი თარიღი. მარქსისა და ენგელსის ძვირფას სახელებთან ერთად, ლენინის სახელთან ერთად, ამხანაგ სტალინის საყვარელი სახელი ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი მუშათა რევოლუციური მოძრაობის, სოციალიზმისათვის ბრძოლის გმირულ ისტორიაში. XX საუკუნის გარიჟრაჟზე რევოლუციური ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლიდან ვიდრე დღემდე, ამხანაგ სტალინის ძვირფასი სახელი, მისი დიადი, მძლავრი და ნათელი გონება კომუნისმისათვის ბრძოლის გზას უნათებებს მსოფლიო მუშათა კლასს, საბჭოთა კავშირის ბედნიერ ხალხებს, რომლებმაც ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინეს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია და ჩვენს ქვეყანაში გამოსჭედეს ახალი, კაცობრიობის ისტორიაში არნახული, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება.

ამხანაგ სტალინის ძვირფას სახელთან განუყრელად და მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშათა რევოლუციური მოძრაობის, ბოლშევიზმის პირველი ნაბიჯები ამიერ-კავკასიისა და საქართველოში, სადაც ის განუხრელად ატარებდა ლენინის ხაზს და იცავდა ლენინის ადევებს. მის სახელთან, ისე როგორც დიდი ლენინის სახელთან, მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის პირველი მძლავრი აღმავლობა — 1905 წლის რევოლუცია, რომელიც ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის „გენერალურ რეპეტიციას“ წარმოადგენდა.

ამხანაგ სტალინის ძვირფას სახელთან განუყრელად და მჭიდროდ არის დაკავშირებული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ლენინთან ერთად, იყო ამხანაგი სტალინი. მისი სახელი ამშვენებს სამოქალაქო ომის გმირულ ეპოპეას, როდესაც ამხანაგი სტალინი ნაცარტუტად ხდიდა 14 იმპერიალისტურ სახელმწიფოსაგან მოგზავნილი მტრებისა და რუსი თეთრგვარდიელების მზაკვრულ გეგმებს და ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკურ გამარჯვებას გამარჯვებაზე სჭედდა. ცარიონის უკვდავ ეპოპეას, პეტროგრაღის გმირულ დაცვას, სამხრეთის ფრონტზე წითელი ჯარების სახელოვან გამარჯვებას — მუშათა კლასის ყველა ამ წარმატებას სამუდამოდ ამშვენებს ამხანაგ სტალინის ძვირფასი სახელი, რადგან, ლენინთან ერთად, ის იყო ამ გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი.



ახალგაზრდა სტალინის ბიუსტი

პროფ. ი. ნიკოლაძე

დიდი ლენინის უახლოესი და უერთგულესი თანამებრძოლი, მისი კემბარიტი მოწავე და მისი საქმის სახელოვანი გამგარძელებელი, ამხანაგი სტალინი ჩაუდგა სათავეში სოციალიზმის ქვეყნის მძლეოთა-მძლე ზომალდს, როცა მტრების ავაზაკური ტყვიით ჯანმრთელობაგატეხილმა ლენინმა სამუდამოდ დახუჭა ჩვენთვის ესოდენ საყვარელი და ძვირფასი თვალები. ეს იყო 1924 წლის სუსხიან იანვარში, როცა ამხანაგმა სტალინმა ლენინის ცხედრის წინაშე, ბოლშევიკური პარტიის სახელით, ფიცი დასდო მტკიცედ და განუხრელად შეესრულებინა დიდი ბელადის ყველა ანდერძი.

ბოლშევიკის ამ დიად ფიცში, რომელიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კომუნისტურმა პარტიამ შეასრულა და დღესაც განუხრელად ასრულებს, ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „ჩვენ, კომუნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ, ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება—ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მღალღი, როგორც პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი. ყველას როდი შეუძლია იყოს ასეთი პარტიის წევრი, ყველას როდი შეუძლია აიტანოს ის გაჭირვება და ქარიშხალი, რომელიც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობასთან. მუშათა კლასის შვილები, გაჭირვებისა და ბრძოლის შვილები, უზომო შევიწროვებათა და გმირულ თავდადებათა შვილები—აი ვინ უნდა იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, ასეთი პარტიის წევრები“.

მუშათა კლასის ღვიძლი, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, საშინელ გაჭირვებათა და სახელოვან ბრძოლათა შვილი, აუტანელ შევიწროვებათა და გმირულ თავდადებათა შვილი—ასეთია უწინარეს ყოვლისა თვით ამხანაგი სტალინი, რომელსაც მეხუთე ათეული წელია მტკიცედ და მღალღა უქირავს მუშათა კლასის საქმის, კომუნისმის საქმის ძღვევამოსილი დროშა, რომელსაც უკვე თექვსმეტი წელია ულენინოდ, ლენინის გზით, ლენინის დროშით განუხრელად მიჰყავს ჩვენი ქვეყანა წინ—დიალი კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

ამხანაგ სტალინის ძვირფას სახელთან მჭიდროდ და განუხრელად არის დაკავშირებული ბრძოლა პარტიის ლენინური მთლიანობისათვის, სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშთა, მოღალატეთა და კაცისმკვლელთა ბანდის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა და ყველა ჯურის თაბორტუნისტის წინააღმდეგ, რომლებიც სტალინური შეურიგებლობით და დაუნდობლობით გააცამტვერა ჩვენმა პარტიამ.

ამხანაგ სტალინის ძვირფას სახელთან მჭიდროდ და განუხრელად არის დაკავშირებული სოციალიზმის გამარჯვებანი ჩვენს ქვეყანაში, ამ გამარჯვებათა გვირგვინი—დიადი სტალინური კონსტიტუციაა, რომელიც მზესავით ანათებს და დაჰხარის ჩვენს ქვეყანას და მთელი მსოფლიოს ხალხებს მოუწოდებს უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად.

ამხანაგ სტალინის ძვირფას სახელთან მჭიდროდ და განუხრელად არის დაკავშირებული მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემდგომი წინსვლა, ჩვენი პარტიის თეორიული აზრის შემდგომი აღმავლობა თეორიის ყველა დარგში, ლენინიზმის შემდგომი გამდიდრება მარქსისტულ-ლენინური თეორიის ახალ-



ახალი საგანძურით. „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, — კვითხულობთ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, რომელიც ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით შეიქმნა, — რომ ენგელსის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის შემდეგ — სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები — იყვნენ ერთადერთი მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსისტულ თეორიას და რომლებმაც გაამდიდრეს იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში“ („საქ. კ. პ. (ბ) ისტორია“, გვ. 435).

ქვეყნად არ არის სახელი, რომელიც მარქსის, ენგელსისა და ლენინის ძვირფას სახელებთან ერთად, ისე საყვარელი იყოს მუშათა კლასისათვის, მშრომელთა და ჩაგრულთათვის, როგორც სახელი ამხანაგ სტალინისა. კიდევ ამიტომ მღეროიან ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ხალხები:

სახელი გულაშვილისა,  
როგორც ამოსვლა მზისაო.

ჩვენი პარტიის ერთგულმა და საყვარელმა შვილმა, მტრის მუხანათური ტყვიით გულგანგმირულმა სერგეი მირონის-ძე კიროვმა, რომელსაც ამხანაგი სტალინი უყვარდა ბოლშევიკისა და მებრძოლის მთელი მგზნებარებით, 1934 წ. 17 იანვარს, ლენინგრადის V საოლქო და II საქალაქო პარტკონფერენციაზე, გამოსთქვა რა მთელი ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის აზრი, ვანაცხადა: „მე უნდა ვითხრაო, რომ ეს არის ნამდვილად სრული, ნამდვილად ყოველმხრივი მიმდევარი, განმგრძობი იმისა, რაც დაგვიტოვა ჩვენა პარტიის დიდმა დამაარსებელმა, რომელიც ჩვენ აი უკვე ათი წელიწადია დავკარგეთ.“

ძნელია ისეთი გვიანტის ფიგურა წარმოვიდგინოთ, როგორიც არის სტალინი. უკანასკნელი წლების მანძილზე, იმ დროიდან, რაც ჩვენ ულენინოდ ვმუშაობთ. ჩვენ არ ვიცით არც ერთი მობრუნება ჩვენს მუშაობაში, არც ერთი რამდენადმე მსხვილი წამოწყება, ლოზუნგი, მიმართულება ჩვენს პოლიტიკაში, რომლის ავტორიც ყოფილიყო ს არა ამხანაგი სტალინი, არამედ სხვა ვინმე. მთელი ძირითადი მუშაობა — პარტია ამ უნდა იცოდეს — ამხანაგ სტალინის მითითებებით. ინიციატივით და ხელმძღვანელობით ტარდება. მისი მითითებით წყდება საერთაშორისო პოლიტიკის ყველაზე დიდი საკითხები, და არა მარტო ეს დიდი საკითხები, არამედ, თითქოს და, მესამეხარისხოვანი და მეათეხარისხოვანი საკითხებიც კი აინტერესებს მას, თუ ისინი შეეხებიან ჩვენი ქვეყნის მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელს“.

ამხანაგ სტალინის ძვირფას სახელთან მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე ჩვენი, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის აღმავლობა. ამხანაგ სტალინის სახელმძღვანელო მითითებათა განხორციელების საფუძველზე გაიფურჩქნა და აყვავდა საბჭოთა ხელოვნება, რომელმაც არა ერთი და ორი შედეგური შექმნა შემოქმედების ყველა დარგში.

ამხანაგ სტალინის ძვირფასი, საყვარელი და მშობლიური სახე საბჭოთა ხელოვნების მუშაკათათვის წარმოადგენს შემოქმედებითი ენერჯის დაუსრუტელ წყაროს, მცხუნვარე მზეს, რომლის სხივები ერთნაირი ძალითა და სიცხიველით ათბობს ხელოვნების ყველა მუშაკს, ვისაც გუწრფელად სურს თა-

ვისი ნიჭი და ენერჯია სოციალიზმის ქვეყნის დიდებას და სამსახურს შესწიროს.



როდესაც ვლადიმერ ილიჩ ამხანაგ სტალინზე, ჩვენ ყოველთვის სიყვარულს ვიკავებთ მშრომელი კაცობრიობის დიდ ბელადს, ჩვენს ძვირფას და დუმილსა და ღირსს, რომელმაც ტიტანის ენერჯიით აღმართა კომუნისტებისათვის ბრძოლის დროშა, გამოაწიროს ბოლშევიკების ფოლადის პარტია და სათავე დაუდო კაცობრიობის ახალ ისტორიას. როდესაც ვიკავებთ ამხანაგ ლენინს, ჩვენს თვალწინ, მასთან ერთად, ყოველთვის დგას საყვარელი სახე რუბინა რაჯაში გახვეულ ადამიანისა, რომელიც კრემლის სიმალიდან გასცქერის ჩვენთვის უკვე ახლობელ, რეალურ და ხელშესახებ კომუნისტურ საზოგადოებას, ადამიანისა, რომელსაც დიდებულად მიჰყავს დიდი ლენინის საქმე და მალე უჭირავს ლენინის დროშა, კომუნისტების უძლეველი დროშა.

ეს ორი სახე, ეს ორი სახელი განუყრელია ყოველი მუშის, ყოველი მშრომელის შეგნებაში. შესანიშნავად გადმოსცა მუშათა კლასის ორი დიდი ბელადის ან ეს მთლიანობა, მათი საქმის ერთიანობა პროლეტარიატის სახელოვანმა მწვერალმა ანრი ბარბიუსმა, როდესაც განაცხადა: სტალინი — ეს ლენინია დღეს.

სტალინი — ეს ჩვენი მზეა.

სტალინი — ეს ჩვენი სიხარულია.

სტალინი — ეს ჩვენი აწმყო და მომავალია.

სტალინი — ეს დროშაა ჩვენი, ძირს დაუხრელი.

დაე, დიდხანს და მრავალყამიერ ცოცხლობდეს და ცოცხლობდეს ჩვენი ღვიძლი, ჩვენი სიამაყე, ჩვენი მამა და მასწავლებელი იოსებ ბესარიონისძე სტალინი.



გელა ლალიანი

ორდენოსანი დრამატურგი

## ბელადის სახე საბჭოთა დრამატურგიაში

საერთოდ საბჭოთა ხელოვნებამ დიდი ნაბიჯი გადადგა ამ საქმეშიაც: მხატვრები ქმნიან დაუეწიარ ეპიზოდებს დიდი სტალინის ცხოვრებიდან. მოქანდაკეები კარგის ოსტატობით ძერწავენ მის საყვარელ სახეს, ბელეტრისტები სწორედ ნოველებსა და დიდ რომანებსაც. პოეტები, ხომ მრავალ-ფერად უმღერიან დიდი ადამიანის დიად საქმეებს. კინემატოგრაფიამაც კარგა უხვად მოგვაწოდა თავისი ნამუშევარი და გაამდირა ფონდი ბელადის სახის მხატვრულად ასახვისა.

ყველა ამ ღარგში სათანადო მონაწილეობა აქვთ მიღებული ქართველ ხელოვანთაც. მხოლოდ დრამატურგიაა. ჯერჯერობით და სამწუხაროდ, უფრო ღარიბად წარმოდგენილი.

მთელს კავშირში. აქამომდე, მხოლოდ ორად ორა პიესაა, სადაც დიდი სტალინის მომქმედ პირად გამოყვანილი.

ეს არის აშხ. პავლდინის „თოფიანი კაცი“ და ჩემი „ნაპერწყლიდან“.

ეს არ არის განსაკვირვებული პოეტის თავის ლირიულ ვანცლებში შეუძლიან ერთი სათანადო მომენტი დაიჭიროს და კოხტად თქვას თავისი სათქმელი.

მხატვრებზე უფრო ბედნიერია ამ მხრივ და მოქანდაკეც.

რამდენიმე შედმიწვევითი შტრიხი დაიჭირეს, შეასრულეს კარგის ოსტატობით და... ნაწარმოები მზად არის.

მე არ მინდა ამითი ისა ვთქვა, რომ იოლი იყოს საერთოდ პოეტებისა, მხატვრებისა და მოქანდაკეების ხელოვნება, მით უფრო მაშინ, როდესაც თემად ისეთი საგანი აქვთ აღებული, როგორც ბელადის თვალუწვდენი

პიროვნება, მაგრამ მათ თავიანთი სპეციფიკით მარტო ერთი მომენტიც დააკმაყოფილებთ, მარტო ერთი თუნდა გამოხედვის დაჭერა გააუხვებს მათ ნაშრომს.

ღრამა. ბელეტრისტიკა და კინემატოგრაფია კი მოითხოვს ბევრ მომენტთა მოზღვაებას, ხასიათთან და ნამოქმედართან უფრო ახლო მისვლას, ნამოღვაწარის შესტ და სწორ-უტყუარ ანალიზს, ისტორიული თანმიმდევრობის დაცვას, სოციალური არის ფართო გაშუქებას, გარეშემო მყოფთა ფენებისა და ტიპების ხელმოდებით ასახვას, რაც ბევრად ღირსა და რთულს ამოცანას უყენებს შემომქმედ ხელოვანს, ამ შემთხვევაში დრამატურგს, მწერალს.


ამას გარდა, აქ ის სიძნელეც ერთვის, რაც ყველა ხელოვანის წინაშე დგას. ეს არის ცოცხალ, თანამედროვე ადამიანზე წერა და შემდეგ ისეთ ბუმბერაზზე, როგორც ჩვენი უბაღლო, სწორ-უბოვარი ბელადია.

ამიტომ თუა, რომ კინემატოგრაფიაში უფრო ცოტა პროდუქტია გვაქვს ბელადის გარშემო მოცემული, ბელეტრისტიკაშიაც და დრამაშიაც, ვიდრე ვალექსილ პოეზიაში და ფერწერა — ქანდაკებაში.

იმავე დროს აქვე უნდა ითქვას: საერთოდ დღევანდელი ხელოვანი მწერალი ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება შემოქმედების მხრივაც, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა.

შემოქმედების მხრივ მას დიდძალი მასალა აქვს წინამდებარე. ეს არის თვით ჩვენი დიადი ეპოქის მაღალი საქმეები და დიდ საქმეთა ჩამდენნი, გამჩაღებელნი და გამამტაციებელნი.





სტალინი — სემინარიელი

მოჭანდაკე ს. კაკაბაძე

ნუ დაიფიქვებთ ბელადის სიტყვებს: „ჩვენ, კომუნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ, ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან“.

ბოლშევიკები!

ეს დღენდელი აქტიური პიროვნებაა. დღენდელი გმირი.

წინეთ მწერლებს გმირები არა ჰყავდათ.

აიღეთ თუნდაც მთელი მეცხრამეტე საუკუნის მხატვრული ლიტერატურა და ძალიან შორს რომ არ წავიდეთ ავიღოთ ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა.

ილია ჭავჭავაძე „ლუარსაბ თათქარიძეს“ გვიხატავდა, ეგნატე ნინოშვილი „ტარიელ მკლავაძეს“.

აკაკი წერეთელი, თუ ვინმე ნამდვილი, სახუკვარი ადამიანი დასკირდებოდა გამოსახატავად, ისტორიას მიმართავდა: „თორნიკე ერისთავის“ თავდადებულებას და გლეხ კაც გელას გმირობას აგვიწერდა თავის „პატარა კახში“.

ესე იქცეოდნენ სხვებიც.

დავ. კლიაშვილი და ვ. ბარნოვი მათ თანამედროვე ცხოვრებაში ღუბჭირი ცხოვრების, მომძლავრების, დაჩაგრვის და სულიერი დაჯინების მეტს ვერას ხედავდნენ და ამიტომ საერთოდ მთელი ჩვენი წარსული მხატვრული ლიტერატურა იყო მხილებითი.

თანამედროვეობას არ ჰყავდა გმირი.

ამ გმირებს, ე. ი. ადამიანის საუკეთესო, იდეალური თვისებებით აღჭურვილ პიროვნებებს წარსულში ეძებდნენ. თანამედროვეობით გულ-დაწყვეტილებს იქ, წარსულში უნდოდათ გმირები მოენახათ და... ცხადია, ცოტა ალამაზებდნენ ისტორიას, მათი წარმოდგენით ადამიანურ საუკეთესო ხასიათებს იქ გვიჩვენებდნენ, წარსულში.

ჩვენ დღეს უფრო ბედნიერები ვართ: ჩვენ გვყავს გმირები. ყოველდღე, ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ მათ. მაგრამ—გამოცუდით—ძალზე გვიჭირს მათი სინამდვილით გამოსახვა.

ამას აქვს თავის მიზეზები.

უწინარეს ყოვლისა ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძველი, უკვე მიღებული ზერხებით ვუღვებთ საგანს: ეტყობა საქიროა, კიდევ

უფრო მიგნებული. შესაფერი სიღებავები გამოენახათ თანამედროვე გმირის გამოსახატავად.

და თუ ეს ასეა, როდესაც ჩვენ თანამედროვე რაიონს გმირს ავიყვანთ მხატვრულ გამოთქმაში, და გვიჭირს მისი აყვანა, რა უნდა იქნეს მაშინ, როდესაც ჩვენ უნდა ხელი მოვკიდოთ კიდევ უფრო ძნელ საქმეს: ავსახოთ რჩეული რჩეულითა შორის.

ჩვენ გვაქვს ტრადიცია, მაგ., დრამატურგიაში საერთოდ გმირების ასახვისა, ამის კლასიკური ნიმუშები: ივანე შექსპირი, ივანე შილლერი.

მაგრამ ეს ტრადიცია აქ რომ არ გამოგვადგება!

გავხსენოთ კიდევ ერთხელ როგორ ახასიათებს ერთი დიდი გენიოსი, ამხანაგი სტალინი, მეორე გენიოსს დიდ ლენინს: „...უბრალოება და თავმდაბლობა... წარმოადგენს ლენინის, როგორც ახალი მასების ახალი ბელადის, კაცობრიობის უღრმესი „ქვედა ფენების“ უბრალო და ჩვეულებრივი მასების ბელადის ერთერთ უძლიერეს მხარეს“.

უბრალოება და თავმდაბლობა!

ამას სულ სხვა სიღებავები უნდა, რომ ერთი ბუმბერაზი ზალხს შენის პიესით გმირად დაანახო.

პიესას კი, თეატრს საერთოდ, უყვარს, რომ გმირი და ისიც „დიდი ადამიანი“ დიდის ამბით გამოაჩინო, დიდის პათოსით ალაპარაკო, სულ ზემოთ ატარო, რომ ის კი არ „დადიოდეს“, არამედ „გვიდოდეს“, კი არ „ლაპარაკობდეს“, არამედ „წარმოიტყოდეს“ და სხე.

როგორც ხედავთ, არც ერთი ეს დრამატურგიული საჭურველი აქ არ გამოადგება. უბრალოება და თავმდაბლობა!

ჩემის ფიქრით, ბელადის ასახვის დროს თვით ავტორი უნდა შეიქნეს ეგეთი უბრალო და თავმდაბალი. იგი უნდა მიუხვდეს ამ დიდ ადამიანს და იმავე დროს თავის შემოქმედებაში სიმარტივემდე არ უნდა ჩამოვიდეს.

რა შეემთხვა ამხ. პავლოდინს თავის „თოფიან კაცში“? მე მგონი არ შეეცდები თუ

ვიტყვი, რომ რამდენადაც ლენინი მან ასე თუ ისე დაუახლოვა სინამდვილეს და მისცა ღირსეული ანარეკლი ამ დიდი სახისა, იმდენად დიდი სტალინი თავისი შემოქმედებით მეტად მკრთალი გამოუვიდა.

ესეც ვთქვა: ორი დიდი გენიოსის ერთად და სრულყოფილად მოცემა მეტად ძნელი საქმე არის და ამითია, თუ ცოტა შეღავათით გადავიხედავთ პატივცემულ ავტორისაკენ.

რაც შეეხება „ნაპერწყლიდან“-ს, აქ ჩემ თავზე იმდენს ვერას ვიტყვი, რამდენსაც თვით ისტორიულ მასალაზე და იმ დიდ დახმარებაზე, რაც მე ამ პიესის დამუშავებაში გამიწია საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ.-მა და პირადათ ჩვენმა საყვარელმა, საქართველოს სასახელო შვილმა ამხანაგმა ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა მ.

ჯერ ერთი, თვით ისტორიული მასალა, ბათუმის მუშების დარაზმვა ბელადის მიერ და განსაკუთრებით ცნობილი ისტორიული ღამე, ახალწლის შეხვედრა ლომჯარიას სახლში, თავით თვისით იძლევა დრამატურ-გიულად თითქმის უკვე მზად აკინძულ დიალოგებსა და მოქმედებას, შემდეგ დემონსტრაცია, ბოლოს ტამერფორსი და სხვ.

აქ მე პაგოდინზე უფრო ბედნიერ პირო-


ბებში ვიყავი ეტყობა და იმიტომ თუა, რომ ამ პიესამ რივიანი სახელი გაითქვა, ~~რომ~~ ცხადია, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც თავე ავტორს თეატრი დიდად დაეხმარა: რუსეთში პირველად განსვენებულმა შჩუკინმა სასწაული ჩაიდინა, ლენინის როლში და ჩვენში კიდევ დიდი სტალინის სახე დიდის წარმატებით წარმოვიდგინეს ქართველმა მსახიობებმა, რომელთა შორის ორდენოსანმა მ. გელოვანმა ისეთი ნაბიჯი გადადგა ამ პიესით ბელადის გამოსახვაში, რომ, როგორც ვიცი, ამის შემდეგ მაგ. კინემატოგრაფიაში, ჯერჯერობით, ერთად-ერთი შემსრულბელია ამ „სათეფარისა“.

ამგვარად, დრამატურგია, სრულის პირდაპირობით უნდა აღვიაროთ, ჯერ-ჯერობით ძალიან ჩამორჩენილია, ღარიბი და მკრთალი, ამას აქვს თავისი რთული მიზეზები, როგორც ზემოთაც დავინახეთ, მაგრამ ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ საერთოდ ჩვენი საბჭოთა დრამატურგია უძლეური იყოს და არც მე ეს მიზეზები იმისათვის არ მომიყვანია, რომ ვინმე დავაშინო, ან თუნდაც მე თვით დავშინდე...

არა!

საჭირო იყო ფაქტის დადასტურება, თორემ ვანა არ ვიცი — ჩვენს ეპოქაში დაუძლეველი არა არსებობს-რა.





იმანაგ სტალინის გამოჩეცხვა თბილისის სასულიერო სემინარიიდან

შხატე, ვ. ბაგრატიონი



**მხილველი**  
ორდენოსანი რეჟისორი

# სტალინის სახე კინო-ხელოვნებაში

როგორც რეჟისორისათვის, ისე მსახიობისათვის ბედნიერებაა და სიამაყე, მაგრამ ამავე დროს რთული და პასუხსაგები ამხანაგ სტალინის სახის განსახიერება ხელოვნებაში, განსაკუთრებით კინო-ხელოვნებაში. რთული, ვამბობთ იმიტომ, რომ მსახიობმა აქ უნდა შესძლოს კაცობრიობის უდიდესი გენიოსის ნამდვილი სახის დამაჯერებლად მოცემა, რათა მილიონებმა კინო-ეკრანზე ნახონ სოციალისტური ქვეყნის მშენებლობათა გენიალური ორგანიზატორი.

ჯერ კიდევ ბევრ ახსოვს ამხანაგ სტალინის სახე 1901—1902, 1904 და 1905 წლებში; მის სახელთან მტკიცედ არის დაკავშირებული ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ყველა დეტალი.

პრომეთეოსივით აჯანყებულა რუსეთის ბიუროკრატული მთავრობის წინააღმდეგ, გამჟღავნა და მტკიცე გონების პატრონი, შეუმცდარი ორიენტირების უნარის მქონე ადამიანი—ასეთია სტალინი. აი დაიწყო 1917 წლის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია, შემდეგ უზარმაზარ გამარჯვებითა მოპოვება ცხოვრების ყველა ფრონტზე, ძველის ნგრევა და ახლის შენება და სტალინი — ხელმძღვანელი და შემომქმედი ამ უდიდესი გამარჯვებებისა—აი რა უნდა მოგვეცეს სტალინის როლის შემსრულებელმა მსახიობმა კინოში და თეატრში.

კინო-რეჟისორისა და კინო-მსახიობის წინაშე მეტად საპატიო ამოცანა იდგა: მილიონებისათვის გვეჩვენება სტალინი ბრძენი, სტალინი შემომქმედი და უღრეკი ნებისყოფის ადამიანი. და ჩვენ ვიცით, რომ სტალინს დღეს შეჰყურებს 183 მილიონი ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა, როგორც ისტორიაში ჯერარნახულ, ახალ

სახელმწიფო სისტემის შემქმნელსა და ფუძემდებელს. რთულია მილიონებსა წინაშე გამოცდების დაქერა, მაგრამ ჩვენ ამ სირთულის არ შეგვეშინებია, ვინაიდან ჩვენ მუდამ გვახსოვს ლენინისა და სტალინის მითითებების შესახებ, რომ არ უნდა შევეშინდეთ არავითარ სიძნელეს და სირთულეს და მაშინ მიზანს უსათუოდ მივალწევთ.

კინო-სურათ „დიდი განთიადზე“ მუშაობის მთელ მანძილზე ჩვენ მუდამ იმის ფიქრში ვიყავით, რომ „დამარცხება“ არ განგვეცადა, მოგვეცა და განგვესახიერებია ბელადის ნამდვილი სახე ეკრანზე. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ თვეობით განუწყვეტლივ ვმუშაობდით მსახიობებთან, მხატვრებთან და მთელ კოლექტივთან ერთად. არა ერთი და ორი ღამე გავვითევია მსახიობ მ. გელოვანთან და მხატვრებთან ერთად, რათა დაგვეძლია მეტად რთული და საპატიო ამოცანა— მოგვეცა კინო-ეკრანზე ბელადის მშობლიური და მიმზიდველი სახე.

მსახიობი მ. გელოვანი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება პირველად გამოსულიყო სტალინის როლში კინო-ეკრანზე, მთელ კოლექტივთან ერთად საათობით იდგა საოკის წინ და ჩვენ აღფრთოვანებულნი და ნერვებადჰიმულნი ვუყურებდით, თუ როგორ ანსახიერებდა მ. გელოვანი თანდათანობით სტალინის სახეს, მაგრამ ოდნავი გაღივება, ოდნავი მოძრაობა და დაიკრძალებოდა პორტრეტული მოძრაობის დიდი ჰარმონია. და მიუხედავად ამისა, როგორც იყო, ჩვენ შევძელით ბელადის დიქციის და მიმიკის დაახლოვებითი გადმოცემა ეკრანზე. აქ კარგი იქნება მოვიგონოთ გენიოსი არტისტის ირვინგის აზრი: „ძალიან ძნელია სცენაზე იყო ბუნებრივი, მაგრამ მანც ბუნებრივობის“

ერთი წვეთი შეუღარებლად უკეთესია, ვიდრე ხლოენურობის მთელი ზღვა“.

ჩვენ არა ერთხელ მოვისმინეთ ამხანაგ სტალინის სიტყვის ჩანაწერი ფორფიტაზე— მისი გამოსვლა მოსკოვში თავისი ამომრჩეველების წინაშე და მისი მოხსენება მე-XVIII პარტიკულობაზე; ჩვენ ვსწავლობდით და ვუყვირდებოდით ამხანაგ სტალინის ხმის ინტონაციას, სიტყვას ბგერადობას და მოძრაობას, როგორც დღეობით და საათობით დაჰყურებენ ტრობინის მიერ დახატულ პუშკინის სურათს, ისე ვუყვირდებოდით ჩვენ სტალინის ფოტო-სურათს, მაგრამ სტალინის დღემდე არსებული არცერთი სურათი არ იძლევა სტალინის ნამდვილ სახეს— მის უბრალოებას და შინაგან სიმართლეს. მით უმეტეს ძნელი იყო რეჟისორისა და მხანობისათვის დამაჯერებლად განესახიერებია კინო-ეკრანზე სტალინის სახე. ბევრჯერ ვფიქრობდით სად არის მარჯვენა მიჯნულ ანჯგლოს ან რემზრანდტის, რომ გამოკვეთონ დღემდე გამოუკვეთელი და დაუხატავი სახე კაცობრიობის უდიდესი გენიის— სტალინისა!

არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს კინოს ჯერჯერობით სავსებით გადმოეცეს ბელადის ნამდვილი სახე; ეს დიდი და საპატიო მხატვრული ამოცანა ჯერ კიდევ გადასაჭრელია, მაგრამ ჩვენს მოკრძალებულ პირველ ცდას დამარცხება მაინც არ განუცდია— სურათი „დიადი განთიადი“ მილიონებმა ნახეს და შეიყვარეს.

კინო-სურათი „ფიცი“, რომლის დასადგმელად მე ახლა ვმუშაობ, უფრო მეტ წარმატებას უნდა მოელოდეს: აქ უნდა ვაჩვენოთ მილიონებს ბელადის მოღვაწეობის ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი.

პარტია და ხელისუფლება ჩვენ ახლა არ გუჰატიებენ იმას, რასაც გვაპატიებდა ამ რამდენიმე წლის წინად, როდესაც ვერ ვახერ-

ხებდით კინოში და თეატრში ბელადის მამდვილი სახის ჩვენებას.

„ფიცი“ მიზნად მაქვს დასახული საზოგადოებას ვაჩვენო სტალინი როგორც ბრძენი და ერთგული დარაჯი ლენინიზმისა და ფიცის მტკიცედ შემსრულებელი.

ამხანაგ ლაფრენტი ბერიას წიგნმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის საკითხისათვის“ დიდი სამსახური გაუწვია ხელოვნების ყველა მუშაკს, ამ ძვირფასი წიგნის დახმარებით ხელოვნების მუშაკებმა, მხატვრებმა, დრამატურგებმა, პოეტებმა შექმნეს არაერთი ამალეღეველი ტილო. მეც დიდი დახმარება გამიწვია ამხანაგ ლაფრენტი ბერიას ამ წიგნმა „დიადი განთიადის“ და „ფიცის“ დადგმის დროს. აქ სტალინის რევოლუციური მუშაობა ამიერკავკასიის ყველა ქალაქში (თბილისში, ბაქოში, ბათუმში, კიათურაში) და საწარმოო ცენტრებში დოკუმენტურადაა დადგენილი.

„სიტყვები და ილიუზიები იკარგებიან, ფაქტები რჩებიან“.— სწერდა სახელგანთქმული პისარევი. აი, ამ ძვირფასი ფაქტების და დოკუმენტების შემქმნელი არის ამხანაგ სტალინი და ჩვენ გულწრფელად და დაბეჯითებით უნდა ვიმუშაოთ ბელადის სახის შესაქმნელად.

სტალინი ბუმბერაზი, გენიალური სტრატეგი, ჩაგრულთა მოამბეგე— აი, ამ უზარმაზარი და საპატიო ამოცანის შესასრულებლად უნდა იმუშაოს ყველამ, ვინც კი ემსახურება საბჭოთა ხელოვნებას.

მწერლებმა, დრამატურგებმა, რეჟისორებმა, მხანობებმა დაბეჯითებით და გულწრფელად უნდა იმუშაონ ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა დეტალის შესასწავლად და მხატვრული განსახიერებისათვის.

საბჭოთა ხელოვნებისათვის, ფუნჯისა და კალმის ოსტატებისათვის ეს არის ყველაზე უფრო საპატიო და სასახელო საქმე.





პროფ. შალვა ამირანაშვილი

# ამხანაგ სტალინის სახე საქართველოს სახვითი ხედვინებაში

ხალხთა დიდი ბელადის ყოველი მოქმედება, ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა, მისი თავგანწირული, შეუთრგებელი ბრძოლა ქვეშაირი მარქსისტული პრინციპების განმტკიცებისა და დამკვიდრებისათვის, წარმოადგენს დაუშრეტელ შემოქმედებით წყაროს ხელოვნების ყველა დარგის მუშაყებისათვის.

საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატები ქმნიან დიდ მხატვრულ ტილოებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის, დიდ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემებზე, ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის და ხალხთა ბედნიერი და საამური ცხოვრების თემებზე.

საქართველოს ხელოვნების ოსტატთა წინაშე, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში, ცხოვრებამ წამოაყენა დიდი და ამვე დროს უძნელესი ამოცანა: ფერწერისა და ქანდაყების საშუალებით ასახონ საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ძირითადი მომენტები, განსაკუთრებით მკვეთრად აღნიშნონ ის დიდი როლი, რომელიც მიუძღვის ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს ამ სახელოვანი, გმირული ბრძოლის ისტორიაში.

ისტორიული რეალიზმი დიდ მოთხოვნაღებს უყენებს ხელოვნების ოსტატს. მან დოკუმენტურად უნდა შეისწავლოს წარსული, გულდასმით უნდა გაეცნოს ყოველ ცნობას, კრიტიკულად უნდა მიუღდგეს მოცემულ მასალას და ამგვარი შესწავლის ნიადაგზე აღადგინოს ცოცხალი, ქვეშაირი, დამაჯერებელი სახე მომქმედი გმირისა, რომელიც თვითიულზე უნდა სტოვებდეს წარუხრიველ, ემოციურ, შთაბეჭდილებას.

მხოლოდ საბჭოთა კულტურამ დაუბრუნა სახვითი ხელოვნებას მისი დიდი დანაშნულება. მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელობა არ განისაზღვრება მაყურებელზე ემოციური შთაბეჭდილების მოხდენით; იგი ზრდის და ამდიდრებს ჩვენს გრძნობას, აზროვნებას, აძლიერებს ნებისყოფას და, ბოლოს, აღრმავებს ცოდნას. ჩვენს ხალხს დიდი სურვილი აქვს გაეცნოს და შეისწავლოს თავისი ქვეყნის ისტორია, თავისი პარტიის გმირული წარსული, საყვარელი ბელადის ცხოვრება, რომელიც ასე მდიდარია შეუდრეველი მოქმედებით, ხალხისათვის თავგანწირვითა და უმაგალითო გმირობით.

ჩვენი ეპოქის დიადი იდეების მხატვრულ განსახიერება ავალებს ხელოვნების ოსტატს საყვებით დაეუფლოს ოსტატობის ყოველ მხატვრულ ხერხს, სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებით მეთოდს; იგი მას ავალებს იყოს პოლიტიკურად მტკიცე და იდეურად მომზადებული ადამიანი, რომელსაც სინამდვილის რეალობის შეგნება, თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემა, ახალი ცხოვრების გრძნობა არასოდეს არ უნდა დაუჩლუნვდეს.... დიდადან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, არა ერთ საქართველ მხატვარს დაუხსნავს მიზნად სტალინის დიდი სახის მხატვრული გადმოცემა, მისი მოღვაწეობის ცალკეული ფაქტების აღბეჭდვა ფერწერისა და ქანდაყების სახით. ზოგ შემთხვევაში კიდევ გვაქვს საყურადღებო მიღწევები ისტორიული სისწორისა და მხატვრული ღირსების თვალსაზრისით (ი. ნიკოლაძე; მ. თოიძე, ი. თოიძე, სიღამონ-ერისთავი და სხ.).

უკანასკნელ დროს ამ დიდი ამოცანას გადაწყვეტა მიზნად დიასახა საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატთა მთელმა კო-

ლეტივმა, რომელიც დიდი ენერგიით, განსაკუთრებული სიყვარულით და ენტუსიაზმით შეუდგა დიდი სტალინის ცხოვრების მხატვრულ განსახიერებას. საქართველოს მხატვრებს იდეური ხელმძღვანელობა, კონკრეტული მითითება და დახმარება გაუწვია ამხ. ლ. ბერიამ, რომელმაც ხელოვანთა შემოქმედებას მისცა იდეური საფუძველი, შინაგანი სიმტკიცე და ერთიანობა. საქართველოს მხატვართა კოლექტივის მუშაობას საფუძვლად დაედო ამხ. ლ. ბერიას ისტორიული მოხსენება ქ. თბილისის პარტაქტივის კრებაზე „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. რომელიც შემდეგ გამოიცა ცალკე წიგნად. ჩვენი მხატვრები მუშაობის პროცესში იდეურად აღიზარდნენ, დაეფუძვნენ ოსტატობის ზერზეხს, გაიმდიდრეს მხატვრული გამოცდილებამ.

„სწრაფი ტემპებით ვითარდება საბჭოთა საქართველოს სკულპტურა და სახეითი ხელოვნება. აღიზარდნენ ყალმის და ფერადების პირველხარისხოვანი ოსტატები, რომელნიც ჰქმნიან დიდ მხატვრულ ტილოებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის, დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემებზე, ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის, მშრომელთა ბედნიერი და სამართრი ცხოვრების თემებზე“ (ლ. პ. ბერია, „ხალხთა ერთიანი ოჯახი“, თბილისი, 1937 წ. გვ. 26-27).

საქართველოს მხატვართა კოლექტივს უდავოდ პირველობა ეკუთვნის ამ თემის მხატვრული განხორციელების დარგში. თემის სიღრმე და შინაარსი რა თქმა უნდა ხშირად აღემატება თვითეული ოსტატის შემოქმედებითს შესაძლებლობას, მაგრამ თემის აქტუალობა და შინაარსის სიღრმე უნებლიედ ზიბლავს ადამიანს, ჩრდილავს წვირილმან ნაკლს.

თვითეული ოსტატი გულდასმით სწავლობდა ყველა მასალას, რომელიც მის მიერ შერჩეულ თემას აშუქებდა, ესაუბრებოდა ცოცხალ მოწმეებს, რომელნიც ამხანაგ


სტალინთან ერთად აქტიური მონაწილენი ყოფილან რევოლუციური მოძრაობისა, მუშათა გამოსვლებისა, გაფიცვებისა (ტა. სხვა. ამ დაუფიქსარი ამბებია მონაწილეთა ნაამბობი ამხანაგ სტალინის შესახებ, რომელიც იყო მათი იდეური ხელმძღვანელი და აღმზრდელი, აღვივებდა თვითეულ ოსტატში შემოქმედებით ცეცხლს, ბელადისადმი განუსაზღვრელ ერთგულებას და სიყვარულს.

ამ მასალების შესწავლამ, ცოცხალმა დაკითხვამ ადვილობრივად, მონაწილეთა მოგონებებმა ბელადის შესახებ, შექმნა გმირული, დიდი სახე ჩვენი ბელადისა, რომელიც ყოველთვის იყო ჩვენი ხალხის მშრომელ მასებთან, იცნობდა მათ გულის ტკივილს, გაჭირვებას და სულსკვეთებას.

ჩვენი მხატვრების კოლექტივი, გატაცებული ბელადის დიდი სახით, სულ მოკლე ხნის განმავლობაში ჰქმნის დიდი მხატვრული ღირსების ახალი ხელოვნების ნიმუშებს. საგულისხმოა, რომ ამ კოლექტივის წევრთა უმრავლესობა ახალგაზრდა მხატვრებია, რომლებსაც სულ რამდენიმე წელია რაც დამთავრებული აქვთ თბილისის სამხატვრო აკადემია. მათ შორის თავისი ნიჭით ვანირჩევიან: ა. ქუთათელაძე, უ. ჯაფარიძე, კ. გრძელიშვილი, ს. ნანარეიშვილი, ი. თოიძე, თ. აბაკელია, კ. სანაძე, ს. მისისაშვილი, კ. ხუციშვილი და სხ. ახალგაზრდა მოქანდაკეთა შორის ყურადღებას იპყრობენ ს. კაკაბაძე, ვ. თოფურიძე, კ. მერაბიშვილი, რ. თავაძე, რ. ამირთვი და სხ. ოსტატების უფროსი თაობიდან ყურადღებას იპყრობენ: სახალხო მოქანდაკე ორდენოსანი ი. ნიკოლაძე, შრომის გმირი — ორდენოსანი მ. თოიძე, მხატვარი ორდენოსანი ე. ახვლედიანი, მოქანდაკე ნ. კანდელაკი, მხატვარი ი. ვეფხვაძე, მხატვარი ციმაკურიძე და მხატვარი პორტრეტისტი ქ. მაღალაშვილი.

ქართველი ოსტატების შემოქმედება აშუქებს დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარ მომენტებს. რამდენიმე მხატვარს გამოსახული აქვს პატარა სახლი გორში, საქართველოს ძველ ქალაქში, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ხალხთა





ვლადიმერ ვლადიმერის პორტრეტი

მხატვ. ქ. მაღალაშვილისა

ბელადმა ამხანაგმა სტალინმა (ა. კობალიანი, ქ. გიორგიძე).

ჯერ კიდევ სავსებით ჭაბუკი, ამხანაგი სტალინი ებრძვის დახაცვებული რეჟიმის მოხელეებს, თავდადებულად იცავს ლარბ ჭართელ გლეხს მეფის მოხელეებისაგან, რომლებიც უღმობელად ავიწროვებდნენ და სძარცვავდნენ ლარბ გლეხებს (მ. თოიძე — ამხანაგი სტალინი იცავს ქართულ გლეხებს 1895 წ.).

მოქანდაკე ს. კაკაბაძე ნაწარმოებში „სტალინი—სემინარიელი“. გვაძლევს დიდი ბელადის მეტად დამაჯერებელ სახეს ჭაბუკობის ხანაში, მაყურებლის წინაშე წარმოდგენილია ღრმად მოაზროვნე, ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ჭაბუკი ბელადი, რომელსაც შეუწყვეტია წიგნის კითხვა. ჩაფიქრებულა წაკითხულზე, რომელიც გაუტაცნია მის ცნობიერებაში აღძრულ ახალ იდეებს, სახალხო მოქანდაკეს ი. ნიკოლაძეს გამოსახულა ჰყავს ცეცხლივით მგზნებარე, მებრძოლი ჭაბუკი—სტალინი, რომლის სახის გამომეტყველების სიძლიერე ჰხიბლავს და აჯადოვებს ყოველ მაყურებელს... დიდი მოაზროვნისათვის დამახასიათებელი შუბლი, ღრმად ჩასმული თვალები, თავის მობრა, — ქმნის ჭეშმარიტ რევოლუციურ პათოსს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ მოგვცა დაუვიწყარი სახე ბელადის, ჭაბუკობისა, რომელიც სავსეა რომანტიკული პათოსით; სახის გამომეტყველებას განსაკუთრებულ სითბოს ანიჭებს ბელადის ხალათის მოყვანილობა და ნაოჭები, რომლებსაც თითქმის შერჩა ქართველი დედის ალერსიანი ხელის სითბო...

მთელი რიგი დიდი ტილოები დაწვრილებით გვიამბობენ ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობაზე 1898-1901 წლებში. ამხანაგი სტალინი—ორგანიზატორი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეებისა თბილისში (ს. შაისაშვილი), ამხანაგი სტალინი—ორგანიზატორი თბილისის რკინიგზის სახელოსნოების გაფიცვისა 1900 წ. (ხუციშვილი). მხატვრები ი. ვეფხვაძე, უ. ჯაფარიძე და ვ. კროტკოვი აღბეჭდივენ ამხანაგ სტალინის

უახლოესი თანამებრძოლების ლაღვნიკი ველისა და საშა წულუკიძის სახეს, რომელთა წვლილი რევოლუციურ მოძრაობაში დაუვიწყარია.

განსაკუთრებული სიმძაფრით არის ასახული ჩვენს ხელოვნებაში სტალინის მოღვაწეობა ბათუმში, რომელიც ამხანაგ სტალინის მეოხებით გადიარტა მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან ცენტრად მთელ ამიერ-კავკასიაში. ამხანაგი სტალინი მეთაურობს ქ. ბათუმის პროლეტარიატის მოძრაობას, აწვობს გაფიცვებს, მედგრად ებრძვის მუშათა კლასის დაუძინებელ მტრებს. ამხანაგი სტალინი და მოწინავე მუშები ეწევიან დართო აგაბაციას აქარის მშრომელ გლეხობაში, აცნობენ გლეხებს ძველი მონური რეჟიმის დამხობის აუცილებლობას და იმ როლს, რომელიც მუშათა კლასს ეკუთვნის გლეხობის განთავისუფლებაში. მხატვარი ა. ქუთათელაძე განსაკუთრებული სიძლიერით სწორედ ამ თემას გადმოგვცემს თავის დიდ სურათში: „ამხანაგი სტალინი ესაუბრება აქარელ გლეხებს (1902 წ.)“. ბათუმის მშვენიერი ბუნების ფონზე გამოსახულია ბელადი, რომელიც დიდი ვატკებით ესაუბრება აქარელ გლეხებს. ბელადის მშვენიერი, ძლიერი სახე, აღსავსე შეუდრეკელი ნებისყოფით, ხიბლავს მაყურებელს. გლეხები გულდასმით, განუსაზღვრელი პატივისცემითა და სიყვარულით ისმენენ ბელადის ცეცხლივით მგზნებარე სიტყვებს. ამავე მხატვარს ეკუთვნის მეორე დიდი ტილო ბათუმის რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან 1902 წ. 29 მარტს ბათუმში გაიმართა ექვსი ათასი კაცის დემონსტრაცია, რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი სტალინი. მხატვარმა ა. ქუთათელაძემ ეს მომენტი მშვენივრად აღბეჭდა; მან ადგილზე შეისწავლა სათანადო დოკუმენტები, დაპკითხა დემონსტრაციის მონაწილეებს და დიდი მუშაობის შემდეგ შესძლო დემონსტრაციის მხატვრული ასახვა. მუშათა რიგების მოძრაობა, მულღვარება, მნახველზე ახდენს ძლიერ შთაბეჭდილებას. კომპოზიცია მხატვრული ოსტატობის მხრივ სავსებით დგას იდეური შინაარსის დონეზე.

მხატვარ ა. ქუთათელაძეს სავსებით დაძლეული აქვს ფერწერის ოსტატობის ყოველგვარი სიძნელე, მისი ტექნიკა ისევე ძლიერია, როგორც იდეური შინაარსი აღებული თემისა. ა. ქუთათელაძის შემოქმედება წარმოადგენს დიდ მოვლენას სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში. იგი სავსებით თავისუფალია ფორმალისტური ხელოვნების გავლენისგან.

1905 წელს საქართველო იქცა რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელოვან ცენტრად, რომელსაც აქტიურად ხელმძღვანელობს ამხანაგი სტალინი. დაიწყო მუშათა გაფიცვები, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება. ამხანაგი სტალინი აქტიურ ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. იგი ებრძვის ხალხის მტრებს—მენშევიკებს, ამჟღავნებს მათ იდეურ სიღატაკეს, გამცემლობას. მხატვარი ს. ნადარეიშვილი მშვენიერად ასურათებს ამ მომენტს თავის ნაწარმოებში: „ამხანაგი სტალინი მიტინგის დროს ჭიათურაში ამჟღავნებს მენშევიკების გამცემლობას“.

1905 წელი მდიდარია რევოლუციური ბრძოლის ფაქტებით; ამხანაგი სტალინი თავისი თანამებრძოლის ა. წულუკიძის საფლავზე, რამდენიმე ათასი მუშის წინაშე, წარმოსთქვამს სიტყვას, რომელიც დასაფლავებას გადააქცევს ნამდვილ პოლიტიკურ დემონსტრაციად. მხატვარმა ვეფხვაძემ შექმნა დიდი დემონსტრაციის მხატვრული სახე, დემონსტრაციისა, რომელიც ბელადს უსმენს და მზადაა დაიწყოს ბრძოლა საყვარელი ბელადის მეთაურობით. მხატვარმა კორტრეტისტმა ქ. მალალაშვილმა მოგვცა ამხანაგი სტალინის მშვენიერი პორტრეტი. ფსიქოლოგიური და მხატვრული თვალსაზრისით ეს პორტრეტი ერთ-ერთი საუკეთესოა. სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილალის შენობაზე მოგვცა მაღალი რელიეფის სახით ამოკვეთილი რთული კომპოზიცია, რომელიც გამოსახავს ამხანაგი სტალინს როგორც რევოლუციური ბრძოლის მეთაურსა და ხელმძღვანელს. კომპოზიცია, რომლის

ცენტრში გამოსახულია ბელადი თანამებრძოლთა შორის, სავსეა შინაგანი დინამიკით; იგი ახასიათებს ჩვენს საყვარელ ბელადს როგორც ადამიანს. რომელსაც შეუძლია აანთოს მასების გული რევოლუციური ცეცხლით, შეუდრეკელი თავგანწირულებით და შეუთოვარი გმირობით. სახალხო მოქანდაკის ი. ნიკოლაძის ნაწარმოები წარმოადგენს უდიდეს მიღწევას ქართული ხელოვნების დარგში; მისი მნიშვნელობა შორდება ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს.

ქართველ მხატვრებს მძაფრად აქვთ აღნიშნული ის განუწყვეტილი მტკიცე კავშირი, რომელიც არსებობდა ამხანაგი სტალინსა და ლენინს შორის. დიდი აღფრთოვანებით და სიყვარულით ექისრულა მხატვარმა ვეფხვაძემ სტალინის და ლენინის პირველი შეხვედრის სურათი ტამერფორსში. ასეთივე გრძნობით შესრულებულია უჩა ჯაფარიძის სურათი: „აბრილის კონფერენცია“ (1917 წ.) და მხატვარ ბლიოტკინის სურათი „თებერვლის თათბირი“ (1913 წ.).

ქართველ მხატვართა შემოქმედება აშუქებს ამხანაგი სტალინის მოღვაწეობის მრავალ თემას, რომლებიც მე სრულად დასახელებული არაა მაქვს; მათი სრული ვარჩევნ. ყოველი მხატვრული ნაწარმოების სათანადო შეფასება წარმოადგენს დიდსა და მეტად რთულ ამოცანას. ამჟამად ჩემი მიზანი მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით და მოკლე დაკვირვებით განისაზღვრება...

მსურს მხოლოდ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო დიდი მნიშვნელობა იმ დაუშრეტელი შემოქმედებითი წყაროსი, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი დიდი ბელადის გმირული მოღვაწეობა. საქართველოს სახვითი ხელოვნება გაძლიერდა თავისი შინაარსით, გამდიდრდა მხატვრული ფორმით. აღიზარდნენ და მომწიფდნენ ქართული ხელოვნების ახალგაზრდა ოსტატები. ოსტატების უფროსმა თაობამ შექმნა საუკეთესო ნიმუშები, მომავალ ნიჭიერ თაობას უჩვენა ახალი გზა, განათებული ბელადისადმი განუსაზღვრელი პატივისცემითა და სიყვარულით. ჩვენი ოსტატების ახალი შემოქმედება



ახალგაზრდა სტალინის ბუსტი

პროფ. ი. ნიკოლაძე



არ განისაზღვრება ცდით. ჩვენ ვვაქვს არა ერთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც უდავოდ წარმოადგენს სოციალიზმის დიადი ხელოვნების საგანძურს. ახალ მხატვრულ შემოქმედებას ზოგ შემთხვევაში ნაკლიც აქვს; მაგალითად, ზოგ მხატვარს ჯერ კიდევ არა აქვს საფესებით დაუფლებული ნატურა, არა აქვს სათანადო გამოცდილება ისტორიული მხატვრობის დარგში, ჰევრი რამ დამთავრებული არ არის, შესრულება ხშირად ბევრად უფრო მდარეა, ვიდრე დასახული იდეური ამოცანა; ხალხის მასას ზოგ სურათებში აქვს „აბსტრაქტული“ სახე და სხვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენმა ხელოვნებამ მთავარი სიძნელენი უკვე გადალახა. ჩვენი ოსტატები მტკიცედ ეუფლებიან სოციალისტური რეალიზმის მხატვრულ ხერხებს.

ჩვენი ოსტატები გატაცებული არიან ჩვენი დიადი ეპოქის იდეებით, გრანოზებით; ჩვენი ოსტატები გამსჭვალული არიან პელოდისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით. ჩვენ მოწამენი ვართ დიადი მოვლენის. სწორი მაჩვენებელი, გარკვეული ნიშნებია იმისა, რომ იქმნება ახალი ხელოვნება, რომელიც უდავოდ იქნება გაცილებით უფრო ძლევათოსილი, გაცილებით უფრო მშვენიერი, გაცილებით უფრო მეტად იდეური და შინაარსიანი, ვიდრე ის, რაც მოგვცა ისტორიამ წარსული მხატვრული მემკვიდრეობის სახით.

ამ ახალს, დიად ხელოვნებას გზას უნათებს კაცობრიობის გენია, ჩვენი ქვეყნის სიამაყე, ქართველი ხალხის შვილი დიდი სტალინი.





ბრიგოლ ჩხიკავაძე

# სვადინი ქაითუღ მუსიკალურ ფოლკლორში

ვილას უმღერო თუ არ შენ,  
სტალინო ხალხთა გენია!  
შენი მზრუნველი მარჯვენა  
ქვეყანას გადასწვდენია <sup>1)</sup>.

### ხალხური

ხალხი თავისი შემოქმედებისათვის დად ვასაქანს ჰპოვებს განსაკუთრებით იმ ისტორიულ ეპოქაში, რომელიც ხასიათდება ღრმა სოციალური გარდატეხებით. რომელსაც შეაქვს ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ახალი ნაკადი. ყოველი ახალი ეპოქა ამათუ-იმ ხალხის ისტორიაში იძლევა ახალ და მრავალფეროვან მასალას შემოქმედებისათვის, რომელიც თავის გამოხატულებას ნახულობს ერთის მხრივ პოეტურ, ხოლო მეორეს მხრივ მუსიკალურ ფოლკლორში.

ფოლკლორული შემოქმედება ძვირფასი განძია ხალხის კულტურის ისტორიის შესასწავლად; იგი სარგება ამათუღ ერის სოციალური ცხოვრებისა და ალაღმართალი გამოხატველი ხალხის სულისკვეთებისა როგორც წარსულში, ისე აწმყოში. მართალია ბურჟუაზიული მეცნიერები წინადაც და ახლაც უარყოფენ ფოლკლორის აქტუალობას და მას განმარტავენ, როგორც მხოლოდ არქაიკას, შორეული წარსულის გამოძახილს, მაგრამ საბჭოთა ფოლკლორისტიკამ აშკარად დაამტკიცა ამ დებულების უსუსურობა და სრულიად გარკვეულად გამოამჟღავნა ფოლკლორის ცოცხალი კავშირი თანადროულობასთან, მისი აქტუალური როლი სოციალური ბრძოლის ყოველგვარ პროცესში. „ახალმა მკვლევარებმა, — ამბობს პროფ. მარკ

აზდოვსკი, — გარკვეულად გამოამჟღავნეს, რომ ფოლკლორი დაკავშირებულია არა მარტო წარსულ დროსთან, არამედ მასში თავის ანარეკლს პოულობს თანამედროვე ეპოქა თავის სხვადასხვა გამოვლინებებში“ <sup>2)</sup> შემდეგ მასვე მოჰყავს ერთ-ერთი თანამედროვე მკვლევარის ფორმულირება: „ფოლკლორი წარმოადგენს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური პროცესების მკვეთრ ანარეკლს და ახალი და ძველი ყოფაცხოვრების ბრძოლაში გამოსაყენებელ აქტიურ იარაღს“.

ჩვენ ცოცხალი მოწმენი ვართ საბჭოთა მკვლევარების თეორიის ბრწყინვალე გამარჯვებისა. ამას ნათლად მოწმობს პროლეტარული რევოლუციის ეპოქა, რომელმაც მოახდინა ღრმა სოციალური ძვრები, გარდაქმნა ხალხის მსოფლმხედველობა და ფსიქიკა ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანაში, სადაც მასობრივად იქმნება ხალხური შემოქმედების შედეგები, ამსახველი ჩვენი მრავალფეროვანი და შინაარსიანი ცხოვრებისა.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ხალხს და მათ შორის ქართველ მშრომელ ხალხსაც ახალი ერა მოუტანა.


ახალმა ერამ წარმოშვა ახალი სიმღერები სრულიად ახალი თემატიკით, ახალი შინაარსით.

ისტორიას ჩიბარდა ის დრო, როდესაც უფლებმეყრდილი და გაღატაკებული გლეხი ასე მოსტყვემდა:

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს  
აღების ღამეს ღვინოსა.

<sup>1</sup> ი. გ. შვარცილის წერტილიდან „Из революционного фольклора“, ჟურნ. „Советский фольклор“, кн. VI, ლენინგრადი, 1939 წ., გვ. 116.

<sup>2</sup> М. Аздовский, „Предисловие“, журн. „Советский фольклор“, выпуск первый, ленинград, 1934 წ., გვ. 3.  
<sup>3</sup> ibid, გვ. 7.



აშხანავი სტალინი და ლადო კეცხოველი

ჰნატე. ი. შტეინბერგი



მკადი ქამოს და წყალი სევს  
დაწვეს და დაიძინოსა“<sup>4</sup>.

გაჭკრა ის ხანა, როდესაც სიმღერებში გა-  
მოსჭვივოდა უიმედობა, სიმშლილი და სიბეჭა-  
ვე გულხისა, რომელიც ასე უჩიოდა თავის  
ბედს:

ყველა თავში გვიჩაქუნებს —  
გარეშე და შინაური;  
ცხელსა მიწას უხვად ალობს  
ოფლი ჩვენგან მონაწერი.  
ჩვენის ჯაფით მონაყვანი  
სხვასთან მიდის საზრდო პური.  
შინ ცოლშვილს სიმშლილი გვიკლავს,  
მაგრამ ვინ მიუვდოს ყური?<sup>5</sup>)

სულ სხვა სურათია დღეს. საბჭოთა ქვე-  
ყანაში ხალხის გული აღსავსეა ხალისით და  
მისი სიმღერებიც დღეს მხნეა და ამაყი. ახა-  
ლი სიმღერების თემატიკა მრავალფეროვანია.  
იგი ასახავს მშრომელი ხალხის ახალი  
ყოფა-ცხოვრების ყოველ მხარეს — სოცია-  
ლისტურ მშენებლობას, სამშობლოსადმი  
სიყვარულს; იგი შეჰხარის შრომის ახალ პი-  
რობებს, კოლმეურნეობის განმტკიცებას.  
სოციალიზმის გამარჯვებას და იმ დიდ მიღ-  
წევებს ყველა დარგში, რომელიც მოიპოვა  
ჩვენმა ხალხმა.

დიდი ხანია დავმარბეთ ბატონები და  
აღები.  
ჩვენს მინდვრებს ჩაი ამშვენებს და  
მანდარინის ბალები.  
დღეს ჩვენი სოფლის სიტურფეს  
მგონი ვერ ასწერს მგოსანი.  
უხდება ჩვენს კარ-მიდამოს ია, ვარ-  
დი და სოსანი.  
ზურმუხტოვანი მთა-ბარი ქარხნის  
კოშკებმა დაჰფარა.  
მინდვრად ტრაქტორი გუგუნებს,  
როგორც დაფი ნაღარა.<sup>6</sup>

ხალხი გამარჯვებას უსურვებს წითელ არ-  
მიას, კომუნისტურ პარტიას და მის ხელმ-  
ძღვანელთ:

„მოდის ტურფა გაზაფხული,  
ვარდსა დავკრფვ, იასა,  
და ბულბული შემოსძახებს  
მისებურათ ტიასა.  
გაუმარჯოს ჩვენ დიდ სტალინს  
მტკიცე ფოლადიანსა,  
და ჩვენ დიდ გმირს ვოროშილოვს  
და წითელ არმიასა,  
მსოფლიოში ჩვენ ძმებს, მუშებს,  
მტკიცე კომპარტიასა.  
სწორი სახის გამტარებელს  
ლავრენტი ბერიასა“<sup>7</sup>.

მაგრამ უმნიშვნელოვანესი ადგილი ქარ-  
თულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში  
უჭირავს სიმღერებს. რომლებშიაც ასახუ-  
ლია სოციალისტური რევოლუციის სულს-  
ჩამდმელის, მსოფლიო პროლეტარიატის  
ბელადის—სტალინის გენიალური პიროვნე-  
ბა. მისი გმირული სახე აღიბეჭდა ქართულ  
მუსიკალურ ფოლკლორში. საქართველოს  
ყველა კუთხე დიდის გულწრფელობით უმ-  
ღერის სტალინს, რომელიც დაუშრეტელ მა-  
სალას იძლევა ხობბა-დიდებისათვის. ხალ-  
ხი განსაკუთრებული შარავანდელი მოსავს  
ამ დიდ პიროვნებას და სრულყოფილად ასა-  
ხავს მის ფოლადისებურ ნებისყოფას, აიმტ-  
კიცეს და შორსმჭკვრეტელობას.

თვითეული სიმღერა გამთბარია სტალინი-  
სადმი უაღრესი სიყვარულით და ერთგულე-  
ბით. ბარში თუ მთაში, მინდვრად თუ სახ-  
ლში. დღესასწაულებზე თუ შრომის დღეს-  
ყველგან გაჭქუს მდგარი სიმღერები  
სტალინზე, რომლებიც აგებულისა მხნე და  
გამახვილებულ ინტონაციებზე.

ქართელი, კახელი, იმერელი, გურული,  
რაჭველი, მეგრელი, სვანი თუ სხვა ცალ-ცალ-  
კე ან ყველა ერთად, დიდის გატაცებით  
უმღერის სტალინის ბუმბერაზ პიროვნებას,  
მის დიად ბუნებას.

სიმღერის უმრავლესობა სრულდება ფან-  
დურის ან ჩონგურის აყოლებით. ტექსტულ-  
ლო უმნიშვნელოა ამ სიმღერებისა დამახასია-  
თებელია თავისი მრავალფეროვნებით. მასში

<sup>4</sup> გ. ჩხიკავაძე. ხალხური სიმღერების კრებული  
„საღამური“, თბილისი. 1896 წ. „მუშური“ № 16.  
<sup>5</sup> ibid „მუშური“ № 25.  
<sup>6</sup> „საინფორმო სიმღერა სტალინზე. ჩაწერილი  
ერქომაილისაგან გრ. კოკლადის მიერ.

<sup>7</sup> ი. კ. მეგრელიძის მითითებულ წერილიდან,  
გვ. 108.



გამოსქვივის ერთის მხრივ ხალხის ერთგულება სტალინისადმი, მზადყოფნა საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად, გულითადად მადლობა სამური ცხოვრებისათვის, უაღრესი სურვილი სტალინის დღეგრძელობისა და სტალინური პოლიტიკის მუდამ გამარჯვებისა; მეორეს მხრივ ამ სიმღერებში სხვადასხვა ხერხის საშუალებით მოცემულია ამ ისტორიული პიროვნების იშვიათი თვისებები.

გადავიდეთ თვით მასალაზე. დაუგლოთ ყური კახელ მეფანდურეს ა. მისურაძეს, რომელსაც შეუქმნია მშვენიერი საფანდურო სიმღერა სტალინზე — „შენი ჭირიმე სტალინო“. ამ სიმღერაში საყურადღებოა პირველი და უკანასკნელი ორი ტაეპი, რომლებშიც, ერთის მხრივ, გადმოცემულია სტალინის მდგარა, ფოლადისებური პიროვნება, ხოლო მეორეს მხრივ, ავტორის პირადი მადლობა, რომ მას „აქამდის უსინათლოსა“, აეხილა თვალები, რის გამო სურს მუდამ უმღეროს დიდ ბელადს:

შენი ჭირიმე სტალინო,  
ნაწრითა ფოლადისაო,  
მუშათა ხალხის ბელადო,  
მეხის დამცემო მტრისაო...

და ბოლოს —

სტალინო, შექმენ ცხოვრება,  
გიმღერენ კაცი-ქალები,  
აქამდის უსინათლოსა  
მეც ამეხილა თვალები.  
მეც გიმღერ დიღო ბელადო,  
შენს სიტყვებს ვენაცვალევი,  
მინდა გიმღერო დღედაღამ  
ფანდურს აუწყო ლარები.

ა. მისურაძე, სარგებლობს ფანდურზე დასამღერებელი ლირიკულ-ეპიკური და საგმირო სიმღერების ძველი ფორმალური სტრუქტურით. მაგრამ მას ამავე დროს დიდი ოსტატობით აქვს გამოყენებული ახალი ხერ-

ხები ახალი შინაარსის გადმოსაცემად. სიმღერას წინ უძღვის საკმაოდ განვითარებული საფანდურო შესავალი, რომელიც სექციონური მოძრაობით მიიმართება თანდათანობით ზევით, ბოლოს კი უბრუნდება ისევ პირვანდელ მდგომარეობას, რომლის შემდეგაც იწყება თვით სიმღერა. სიმღერის მელოდიური მხარე დინამიურია და კარგად არის გაშლილი. მისურაძეს თავი დაუღწევია ჩვეულებრივი საფანდურო სიმღერების ტრაფარეტისაგან, გამოუყენებია ქართული ხალხური სიმღერების დამახასიათებელი მელოდიური და პარამონიული ხერხები და სიმღერაში შეუტანია ახალი მელოდიური შტრიხი, რომლის წყალობითაც სიმღერა, ტექსტუალურ შინაარსთან ერთად, იძლევა ახალ მუსიკალურ შინაარსს. ეს ახალი ფანდი, რომლითაც იწყება სიმღერა, წარმოადგენს აღმავალ მელოდიურ ხაზს, მეტად დამაბუღლს და იძლევა მთავარ ძარღვს სიმღერის შემდგომი განვითარებისათვის, ისევე, როგორც ტექსტში სტალინის სახე წარმოადგენს უმთავრეს ფაქტორს, რომლის ირგვლივაც იშლება მთელი სიუჟეტი. სიმღერა აგებულია კუბლეტური ფორმით და თვითეულ კუბლეტზე იმდებრება ტექსტის ორორი ტაეპი, რომლის ბოლოსაც ემატება „ვარულალი, ვარულალო“ და ყოველი მეორე ტაეპის უკანასკნელი სტრიქონი. მოგვყავს სიმღერის დაწყება ფანდურის შესავლის შემდეგ:

მ.ი.

\* ა. მისურაძე გაზაგანილ იქნა საქართველოდან ხალხურ საკარგებზე შემოსულებელთა საკავშირო კონკურსზე, სადაც დაჯილდოვებულ იქნა სიგელით, ამჟამად თბილისშია, ეწევა კულტმუშაობას ერთ-ერთ მუშათა კლუბში და გამოდის კონცერტებზე როგორც ანდივიდუალური შემსრულებელი.

ალ. მაისურაძეს ეკუთვნის აგრეთვე მეორე სიმღერაც — „სტალინი“, საკუთარივე ტექსტით, რომელიც პირველი სიმღერის მსგავსად სრულდება ფანდურთან ერთად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი, მელოდიური აღნაგობით, ბევრად ჩამორჩება პირველს. ამ სიმღერის მუსიკალური ენა გაცილებით ღარიბია და ერთფეროვანია. სამაგიეროდ ტექსტი სრულყოფით ასახავს სტალინის პიროვნებას, მის მტკიცე ნებისყოფას:

სტალინი! საქვეყნოდ საქებო,  
ახალ ცხოვრების სათავე;  
თავიდან გადაწყვეტოლი  
რაცა სთქვი კადმეც ათავე.

შენ გაჩენილხარ ამ ქვეყნათ  
ჩაგრულებისა მსხნელადა,  
საქვეყნო საქმეს აკეთებ  
ძალაც ვიდგია ხელადა!

შეკერვა და ზედ თამარის ხელით  
გვა:

ან უკვდავების პერანგი  
შენთვისა იკერებოდეს:  
თამარის ხელი ჰკერავდეს,  
ვარდის ფრად იმოსებოდეს\*.

სტალინისადმი მიძღვნილი ქართლ-კახურ ხალხურ სიმღერებიდან აღსანიშნავია ორი სიმღერა—„სტალინო ქვეყნის ბელადო“ და „ბელადო დედის გაზრდილო“. ერთიც და მეორეც ფანდურთან ერთად შესასრულებელი სამზმიანი სიმღერაა და აგებულია ძველღებური ქართლ-კახური საფანდურო სიმღერების პრინციპზე. პირველი წარმოადგენს ერთ-ერთ სახეს საისტორიო-საგმირო სიმღერისას, რომელსაც ახასიათებს კუპლეტური ფორმა და მღერადი მელოდია. ფანდურის შესავლის შემდეგ ჯერ ცალკე ხმები იწყებენ სიმღერას, ხოლო მერმე მათ უერთდება მთელი გუნდი:



უფრო ძლიერია და ბელადისადმი იშვიათი თავაზიანობის გამოხატველი ამ ლექსის ორი უკანასკნელი ტაევი, სადაც ავტორი გამოსთქვამს სურვილს — გაცოცხლებოდეს შოთა, რომელიც მართლა შესძლებს დაწეროს სტალინის შესაფერი ქება-დიდება:

რა კარგი არის ბელადო,  
შოთა რომ გაცოცხლებოდეს  
და შენი ქება-დიდება  
იზისგან იწერებოდეს, —

ან შეიძლებოდეს უკვდავების პერანგის

მეორე სიმღერა—„ბელადო დედის გაზრდილო“—საზიარო სიმღერის მიხედვით არის აგებული. ყოველ კუპლეტს წინ უძღვის ფანდურის შესავალი, რომლის შემდეგაც სიმღერას იწყებენ ცალკე ხმები—ჯერ ორი, შემდეგ სამი, ხოლო ბოლოს ჩაერთვის მთელი გუნდი.

\* ჩაწერილია გრ. კოვქლასის მიერ.



ამხანაგ სტალინის შეხვედრა ამხანაგ ლენინთან ტაშკენტში

მხატვ. ი. ვეფხვაძე



კოლმეურნე გულაშვილს თავისი სიმღერა ამოეთ 1-ამს საქართველოში საბჭოთა ხელი- დამკარების თხუთმეტი წლის- ვენე, რის შესახებაც თვით ლექსის უკანას- ლი ტაევი ლაპარაკობს:

რაც შენ აშენებ ქვეყანას  
ჩვენში თხუთმეტი წელია;  
მუშა და გლეხს უხარია  
მტერს კი ადგება მკვალია.

ემომოყვანილ ტაეპს წინ უსწრებს ორი ურადლებო სტრიქონი, სადაც გულაშვილი აქვს ზოგიერთთა უბედურებას, რომელ- ცაც დღემდე ვერ დაინახეს საბჭოთა საქარ- თველოს წინსვლა:

ზოგი ვერ ხედავს წინსვლასა,  
პირი ვერ დაიბანაო.

გულაშვილის სიმღერაში აღსანიშნავია ადევ ერთი მომენტი. საერთოდ ცნობილია, რომ ხალხი სტალინისადმი მიძღვნილ სიმღე- რებში ხშირად ქებით მიმართავს სტალინის მობღვსაც, როგორც ეს ერთ-ერთ ზემო- აყვანილ სიმღერაში შეგვხვდა, მაგრამ გულაშვილის სიმღერის ეს ადგილი განსა- კუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმით, რომ აქ ხალხური პოეტის ფანტაზია უფრო შორს მიდის და მადლობით იხსენიებს არა მარტო „ქვეყნის ბელადს“ დედას, არამედ ის მამა-მამას:

სტალინო ქვეყნის ბელადო,  
შენა ხარ ქვეყნის მამაო,  
რომელმა დედამ გავზარდა  
რომელმა გითხრა ნანაო.  
ჯერ მისი დედა განათლდეს  
მერე იმისი მამაო...

მართალია, მსგავსი ადგილები ხალხურ სიმღერებში არ წარმოადგენს ერთი-მეორის შემოვრებას სიტყვა-სიტყვით და ყოველ- ცე შემთხვევაში სხვადასხვა კონტექსტ- აცემული. მაგრამ მათ მუდამ ერთი აერთიანებს, ყოველთვის ერთი მომენ- ახვასმით არის აღნიშნული: ტკბილი ალიური ნანა დედისა, რომლის როლი ლის აღზრდაში ცნობილია ისტორიულად.

არც ერთი მომღერალი არ უხვევს გვირდ- ამ მნიშვნელოვან მომენტს და აუცილებლივ ჩაურთავს ხოლმე ამათუიმ სახით თავის ლექ- სში.

აი კიდევ ერთი სიმღერა თქმული გარე- კახელ კოლმეურნე ივანე მკვდლიშვილის მიერ (ჩაწერა გრ. კოკელიძემ), რომელიც, ალტაცებულია დიდი სტალინის პიროვნებით, ასე მიმართავს ბელადს:

ნეტა რა დედამ გავზარდა  
ე მავნარი ვმირია,  
დაგიღვა რბილი აკვანი  
ნანა დაგძახა ტკბილია!  
დაგიღვა რბილი აკვანი  
ნანა დაგძახა ტკბილია.  
მშრომელი ძუძუ გაწოვა  
ნოყიერი და ტკბილია!



სამივე მომღერალი ლაპარაკობს ნანაზე, ხოლო თვითთელი სხვადასხვაგვარად. იმ შენი მშობლის ქირიმე ვინაც გამღერა ნანაო...

ან:  
რომელმა დედამ გავზარდა  
რომელმა გითხრა ნანაო.

ან:  
ნეტა რა დედამ გავზარდა  
ე მავნარი ვმირია,  
დაგიღვა რბილი აკვანი  
ნანა დაგძახა ტკბილია.

სტალინზე შეთხზულ სიმღერებში გლეხი ხშირად ეხება სამეურნეო საქითებს—მიწის



საერთის სწორად გადაკრას, კოლექტივების ჩამოყალიბებას, გლეხის შრომას კოლმეურნეობებში. ერთ-ერთ ასეთ სიმღერას წარმოადგენ ა. ხუცურაულის სიმღერა „ჩვენ ძია სტალინს“, რომელიც ეხება უმთავრესად კოლექტივის საკითხს:

გაუმარჯოს ძია სტალინს  
ვენაცვალეთ ყველაო:  
კოლექტივის საქმეზედა  
მაგან დაგვაყენაო.

ან: შრომის დროშა ხელში მოგვცა  
ხედაც დააწერაო —  
გაუმარჯოს გლეხის შრომას,  
კოლექტივში ყველაო!  
ბატონებიც მოგვაშორა  
რიგში ჩააყენაო —  
კოლექტივში რო შეგვიდეთ  
არ გეკუთვნით თქვენაო!<sup>12</sup>

მუსიკალური მხარე ამ სიმღერისა ძალიან მოგვაგონებს ქართულ-კახურ დიდათ გავრცელებულ საყოფა-ცხოვრება სიმღერას, შეწყობის თანდურთან, რომელიც ისევე, როგორც გულაშვილის სიმღერა, ატარებს თხრობითი ხასიათს:

*Allegro ma troppo*

რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მომენტა კიდევ მრავალი სიმღერა, ასახველი სოციალისტური ყოფა-ცხოვრებისა, მათ შორის სიმღერები სტალინზე, რომლებშიაც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის პიროვნება ხალხის მიერ დიდების მარაგანდებით არის შემოსილი.

ამგვარ სიმღერებს შეიძლება მივაკუთვნოთ „საჩინგურო სიმღერა სტალინზე“, „სალამი სტალინს“ და „სიმღერა სტალინზე“ ჩაწერილი გრ. კოცელაძის მიერ ცნობილი გურული ხალხური მომღერლებისაგან არტ. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. და „იცოცხლე ჩვენო სტალინო“ და „სტალინს“, ჩაწერილი მისგანვე გურული სიმღერების ცნობილი ოსტატის ვ. სამონიშვილისაგან.

ამ სიმღერებიდან შეგჩერდები მხოლოდ ორ მათგანზე—„სიმღერა სტალინზე“ და „იცოცხლე ჩვენო სტალინო“.

პირველი წარმოადგენს გუნდურ სიმღერას, რომელშიაც გამოყენებულია გურული სიმღერების სხვადასხვა დამახასიათებელი მხარეები—კრიმანჭული, მოძრავი ხანი, მკვირცხლი ხასიათი და ხმების პოლიფონური შეხამება. სიმღერას იწყებს ბანი, რომელსაც შემდეგ უერთდება მთელი გუნდი, რაც აგრეთვე დამახასიათებელია გურული სიმღერისათვის:

*Allegro*

ისტორიულად ცნობილია გურულების მებძოლი რევოლუციური სული. ქართული მუსიკალური ფოლკლორი მდიდარია მრავალი გურული რევოლუციური სიმღერით,

<sup>12</sup> ჩაწერილია ნ. ჩიგოვიძის მიერ.



ბარელიეფი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის  
თბილისის ფილიალის შენობაზე

პროფ. ი. ნიკოლაძე



ამ სიმღერაში მკვეთრად არის მოცემული ერთის მხრივ სტალინის უსაზღვრო მზრუნველო. ხაის კეთილდღეობაზე, ხოლო მეორეს ახივ ხალხის მზადყოფნა თავგანწირული ბრძოლისათვის სოციალისტური სამშობლოს დასაცავად:

სტალინ მსოფლიოს ბელადო,  
მგავსო მნათობი მთვარისა,  
მშრომელი ხალხის დამცველო,  
მხსნელო ჩაგურლი ხალხისა.

შემდეგ:

ხალხის მხსნელად გაჩენილო  
გამნათებელო დამისა;  
მაცოცხლებელო, დამცველო  
ყველა ჩაგურლი ერისა.

ან:

შენის იმედით ბელადო  
ვცხოვრობთ, ვნეტარობთ ყველანი;  
თავს განაცვალებთ, ფიცსა ვსდებთ,  
ვერ შეგვაშინებხ ვერაფინ.  
მძიმე მონობის უღელი  
შენ მოგვაშორე მუშებსა.  
სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ  
დავიცავთ წითელ დროშებსა.

მეორე სიმღერა „იცოცხლე ჩვენო სტალინო“ საჩინგურთა. სიმღერა შესდგება უმთავრესად ერთი მუსიკალური წინადადებისაგან,



რომელიც შემდეგში, ოდნავი შეცვლით, პერიოდულად მეორდება. სიმღერა იწყება ჩინგურის შესავალით, რომელსაც შემდეგ უერთდება სამხმიანი გუნდი და მასთან ერთად მიიმართება ნაზ და ლირიკულ ფერებ-

ში. თუმცა სიმღერა ძალიან მოკლეა, სიღრმე რომი ტაქტის ფარგლებში, მაგრამ სადავიდოოდ ძალიან მოხდენილი, მტკბარი და დიდოგულწრფელობის ამსახველია.

სიმღერა უსათუოდ გამსჭვალულია უღირესი სიყვარულით „დევემირი ბელადის“ მიმართ, რასაც ზაზასმით აღნიშნავს ყოველი სტრიქონი. შემდეგ ხდება ხან „შენი ჭირამეს“ და ხან „შენ გენაცვალეს“ მიმართება იცოცხლე ჩვენო სტალინო,

შენი ჭირამე,

ჩვენო დევე-გმირო, ბელადო,

შენ გენაცვალე!

შენა ხარ მოვლინებული დაჩაგრულების მხსნელადო,

დაჩაგრულების მხსნელადო

შენ გენაცვალე!

და ბოლოს:

დიდხანს იცოცხლე ბელადო,

შენი ჭირამე!

დიდხანს გვიხარე გულია,

შენ გენაცვალე!

ცხოვრება კარგი შეგვექმნა, ცხოვრება სიხარულია,

ცხოვრება სიხარულაა,

შენ გენაცვალე!

არ შეიძლება არ შეგვიხოთ აგრეთვე შეგარულ სიმღერებს, შეთხზულს ძვირფასი ბელადის სტალინის სადიდებლად. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საპკოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციისადმი მიძღვნილ სიმღერას — „სტალინურ კონსტატუციას“, რომელიც ფართოდაა ცნობილი არა მარტო საქართველოს ყველა კუთხეში, არამედ მოძმე რესპუბლიკებშიც. ამ სიმღერამ მტკიცე ადგილი დაიკავა თვითმომქმედ მუსიკალურ წრეებში და დიდ ენტუზიაზმს იწვევს მსმენელთა შორის.

ძირითადად აქ გამოყენებულია ძველი მეგრული სიმღერა, მაგრამ ახალ ტექსტთან დაკავშირებით გადამუშავებული. ის იძლევა ახალ ეფექტს, ახალ ფერებს.



სიმღერა იწყება მშვენიერი საჩონგურო შესავალით, რომელსაც მისდევს იშვიათი გემოვნებით და დიდი ოსტატობით დაბუნებულ „ტექსტი“. რომელიც შედახილებით „ვაშა, ვაშა, ვაშა სტალინს“ მეტის მეტად ახალისებს და მხნე ხასიათს აძლევს სიმღერას; ხოლო შემდეგ, როდესაც სიმღერაში ჩაერთვის მთელი გუნდი და ყველა ერთად დასძახებს „ვაშას“, სიმღერის დინამიკა კულმინაციას აღწევს.

The image shows a musical score for the song 'Vasha, Vasha, Vasha Stalin'. It consists of multiple staves with musical notation and lyrics in Georgian. The lyrics include: 'ვაშა, ვაშა, ვაშა სტალინს, ვაშა, ვაშა, ვაშა დიდი ბრძენს. მთელი ქვეყნის მშრომელები ამას შეჰხარებენ დღეს. ნა. რაოდენათ მაგარია ჩვენი ნამგალი და კვერი, ვერაფერი ვერ დაგკაკლეს. თუმც ბევრი გვარტყია მტერი. ნა. ვაშა, ვაშა...'. The score includes vocal lines and piano accompaniment.

ხალხი ამ სიმღერით გამოხატავს თავის უსახდერო სიყვარულს და მთელი ქვეყნის მშრომელების სახელით აღიდებს კონსტიტუციის სულის ჩამდგმულს დიდ სტალინს:

სტალინური კონსტიტუცია,  
 ირ ქიანას ახარებს.  
 ირ ქიანაშ მოხანდელი  
 მიახილონა თეს. ნა.  
 ვაშა, ვაშა, ვაშა, სტალინს,  
 ვაშა, ვაშა, ვაშა დიდი ბრძენს.  
 ირ ქიანაშ მოხანდელი  
 მიახილონა თეს. ნა.  
 მუში მამანგარა რე

ჩქინი მაგანა ღო კვერი.  
 მითინს მუთუნქ ვალოლუჟ,  
 ბრელი გუმორენა მტერი. ნა.  
 ვაშა, ვაშა...  
 საზღვარიშე მიჯინება,  
 მუჭოთ მაჩამინჯე გვერი,  
 მარა მაგანა ღო კვერს  
 მუქმოცენს ნაცეცხერი. ნა.  
 ვაშა, ვაშა...

სტალინური კონსტიტუცია,  
 მთელ ქვეყანას ახარებს,  
 მთელი ქვეყნის მშრომელები  
 ამას შეჰხარებენ დღეს. ნა.  
 ვაშა, ვაშა, ვაშა, სტალინს,  
 ვაშა, ვაშა, ვაშა დიდი ბრძენს.  
 მთელი ქვეყნის მშრომელები  
 ამას შეჰხარებენ დღეს. ნა.  
 რაოდენათ მაგარია  
 ჩვენი ნამგალი და კვერი, —  
 ვერაფერი ვერ დაგკაკლეს.  
 თუმც ბევრი გვარტყია მტერი. ნა.  
 ვაშა, ვაშა...

საზღვარიდან გვიყურებენ,  
 როგორც მოსისინე გველი, —  
 მაგრამ ნამგალსა და კვერს  
 ცეცხლი ცვივა მეტად მწველი. ნა.  
 ვაშა, ვაშა...

ეს ლექსი მთლიანად მოვიყვანე განგებ, რადგან მისი რომელიმე ცალკე ნაწყვეტი ვერ მოგვცემდა მთლიან შინაარსს.

და ვანა მხოლოდ ბარში იქმნება სიმღერები სტალინზე? დიდი ბელადის გენიალურ პიროვნებას უმღერიან ავრეთვე საბჭოთა საქართველოს მთიან ადგილებში—სვანეთში, ხევსურეთში, მთიულეთში. ისინი თავისი ჩვეული სიმღერით გამოხატავენ სტალინის გმირულ სახეს.

სვანა კოლმეურნის: იოსებ მუკბანიანის, სიმღერა (ჩაწერილი გრ. კოკელაძის მიერ) სრულდება სვანური ხემიანი საკრავის ჭუნირის თანაყოლებით. სიმღერას იწყებს ერთი; რომელსაც შემდეგ უერთდება გუნდი. ამ სიმღერაში დაცულია ერთის მხრივ სვანური ცალფა სიმღერების ელასტურობა და ლი-





ბარელიეფი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის  
თბილისის ფილიალის შენობაზე

პროფ. ი. ნიკოლაძე



რიზმი, ხოლო მეორეს მხრივ გუნდური სიმღერების ვაჟაკური რიტმი, ძალუმი პარმონია და მედიდური ხასიათი.



ამ სიმღერის ტექსტი ატარებს ხობტა-დიდების ხასიათს. იოსებ მუკებანიანი სვანების სახელით ადიდებს და აღღერძელებს მას, ვინც თავისი დაკვირვებული ხელმძღვანელობით, შეუპოვარი ბრძოლით საბჭოთა ქავეშირის მტრებთან, „შეგვიქმნა ოქროს ხანა“.

დიდება და დღე ნაკვდი  
ერვიდ ოვსეე ხოჩაღირდე,  
უტკეინ ქვეყნოშ მუშაი მარას,  
მვე ახწედენე პილნეშ—პილთე.  
ქვეყანაჟი მ შაი ხალხიშ  
ნაერდგული ესდე გვითე,  
ერვაი გვეერი, ესვაი ლალატდ,  
ერვაი მასალხ მასართ გვითე.

დიდება და დღეგრძელობა  
ვინც შეგვიქმნა ოქროს ხანა,  
მრავალტანჯულ მუშათა კლასს  
გაუნათა ეს ქვეყანა.  
შრომელ ხალხის მტარვალებსა  
შრომის ცეცხლი დაატანა,—  
ბნელი ქვეყნის ნანგრევებზე  
სოციალიზმი დაამყარა.

ხეცსური მღერის ფანდურით ხელში. თავისებური სიღინჯით ჩამოსთვლის ლექსებს ახალ ცხოვრებაზე:

უნდა ვიამბოთ ახლები,  
ერთ აღარ იყოს ძველი.

ეგება ვუთხრა სტალინსა  
ლექს ნაუბარი ჩემია.  
სოციალისტური სამშობლოს  
საზღვრებში  
სიმაგრეებზე ის ამბობს:

გითქვა საზღვარგარეთა  
სტალინ სიმღავრე შენია  
ვამავრდა ვრანიცები  
მაგრად ჩასტიდე ხელია...  
მტერ მიჯნას ველარ ვადმოვა  
დაედო მკედრისა ფერია.

ამ სიმაგრეებს ვერავინ ვადმოლახავს რად-  
გან სტალინის ირგვლივ შემოკრებილი არი-  
ან ნაცადი პარტიელები:

პარტიელებიც ბევრი გეყავს  
ეგეთი, როგორც ვეფხვია.

ხოლო თუ მტერმა ვაბედა და დაიძრა ჩვე-  
ნი საზღვრებისაკენ, მაშინ:

წამოვლენ მთის ხეცსურლები  
ოღონდ ხმა დასწვდეს შენია,  
მხარზე ქართული თოფები,  
წელზე გამჭრელი ხმლებია.

ერთი საყურადღებო მომენტიც, ხეცსურებს  
დიდი სურვილი აქვთ თავისი საყვარელ  
ბელადი ესტუმროს მათ ხეცსურეთში, იხი-  
ლოს მათი სამშობლო და გაიცნოს „ზოგ  
ახალ, ზოგი ძველი“:

მობრძანდით ხეცსურეთშია,  
ადგილ იხილე ჩვენია;  
გაიცან მთის ხეცსურლები  
ზოგ ახალ, ზოგი ძველი.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს ერთი სა-  
ინტერესო მოვლენა ქართულ მუსიკალურ  
ფოლკლორში. ისევე, როგორც ზოგიერთ  
ხალხურ ლექსს ხშირად შეაწყობენ ხოლმე  
რომელიმე ქალაქურ სიმღერას და ამ სახით  
ვრცელდება ის ხალხში, იმგვარადვე ემჩნევა  
ქართული პოეტების ლექსებით სარგებლობა  
ხალხური სიმღერების შესაქმნელად. ასეთ  
შემთხვევას ვამჩნევთ სტალინისადმი მიძღუ-  
ნილ ზოგაერთ ხალხურ სიმღერას, სადაც მუ-  
სიკა ხალხურია, ხოლო ტექსტი ეკუთვნის  
რომელიმე ქართველ საბჭოთა პოეტს. მაგა-  
ლითად შეიძლება მოვიყვანოთ იმერული

სიმღერა. ორდენოსანი პოეტის ვ. ლეონიძის  
ლექსზე შეთხზული:

მიიღე ქართველ ხალხისგან  
სალამი გაბარებული... და სხვ.

შემდეგ ორდენოსანი პოეტის ს. ჩიქოვანის  
ლექსი:

სტალინ! სტალინ! საყვარელო  
შენ მოგძახის საუკუნე.

ამ ტექსტს სიმღერა შეუწყო გურული სიმ-  
ღერების დიდმა ოსტატმა არტ. ერქომაი-  
შვილმა.

ასეთივე შემთხვევას ვხვდავთ მეორე გუ-  
რულ სიმღერაში სტალინზე—„სტალინი“,  
რომლის ტექსტიც ეკუთვნის გრ. ბერძენი-  
შვილს.

ბოლოს, აღენიშნავთ სიმღერას „შენ, რომ  
ხარი ჩამოკარი“, რომლის ტექსტის ავტორი  
მ. ჯაფარიძეა. ამ სიმღერაში გამოყენებუ-  
ლია ქართლ-კახური კილო, რომელიც ორი-  
ვინალურადაა გაკეთებული სამხმანის გუნ-  
დისათვის. ამ სიმღერამ დიდი გამოძახილი  
ჰპოვა ხალხში. მას ასრულებენ საქართვე-  
ლოს თითქმის ყოველ კუთხეში, რასაც დი-

დათ უწყობს ხელს თვით ლექსი, რომელიც  
მშვენიერადაა გააზრებული. აქ მღვწავნილი  
იშვიათი შედარებები, რომლებიც იძლევიან  
მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის —  
სტალინის სრულყოფილ სახეს. ყველაზე  
ძლიერია მათში უკანასკნელი ტაეპი:

შადრევენმა ამოხეთქეს, —  
შენი სადღეგრძელო არის,  
დილაზე რომ მზე ამოდის  
კობა ჯულაშვილი არის.

ზემოაღნიშნული სიმღერებით არ ამოი-  
წურება სტალინზე შექმნილი სიმღერები; ეს  
მხოლოდ მცირე ნაწილია. მაგრამ ვინაიდან  
ყველა მათგანზე შეუძლებელი იყო მკითხვე-  
ლის ყურადღების შეჩერება, ჩვენ ამოვკრი-  
ფეთ მათ შორის დამახასიათებელი. ესეც  
ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯია ქართულ  
მუსიკალურ ფოლკლორში სტალინის მრავ-  
ალმხრივი პიროვნების ასახავად. გავა-  
დრო და ხალხი შეჰქმნის მუსიკალური ფოლ-  
კლორის არა ერთ საუკეთესო ნიმუშს, მიძ-  
ღენილს მსოფლიო პროლეტარიატის სიამა-  
ყის, სოციალისტური სამშობლოს ღვიძლი  
შვილის დიდი სტალინისადმი.





# გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა დიპლუმატიკური წესი იოსებ ჯულაშვილის ხელმძღვანელობით

გორის რკინიგზის სადგურიდან ქალაქ გორისაკენ რომ წახვალთ ხილზე ვადავლით, თანავე ლენინის ქუჩას (ყოფილი სამეფო ქუჩა) მიადგებით. ხილიდან მარცხენა ნაპირას იდგა ორსართულიანი დიდი შენობა მრავალი ოთახით. ეს შენობა ახალი აგებული იყო და თავისი სილამაზით გამველეთა ყურადღებას იპყრობდა. ეს იყო ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის შენობა. ამ სასწავლებელს დასაველეთით დიდი ეზო ჰქონდა, რომელსაც ჩამოუდიოდა მდ. მტკვარი და ლიხვი. შენობის ოთახებიდან დიდიდან საღამომდი ისმოდა მოსწავლეთა შეწყვეტილი ჟივილ-ხივილი.

ასე იყო 1889 წლის შემოდგომაზეც, სასწავლო წლის დასაწყისს.

„კარვად მახსოვს,—წერს თავის მოგონებაში ვანო კეცხოველი,—უნკენისთვის მიწურული, მზიანი დღე. მთელი სკოლის მოწაფეები, დიდი და პატარა, შესვენებისას ყველა გამოშლილიყო სკოლის ეზოში. ეზოს ერთ კუთხეში შეგროვილიყვნენ ჩემი განყოფილების (სამუშაო მოსამზადებელი) მოწაფეები და მეც გავეჭანე მათკენ.

მისვლისთანავე შევამჩნიე, რომ მოწაფეების შუა იდგა ჩემთვის სრულიად უცნობი ბიჭი, გამოწყობილი მუხლებამდე გრძელ შავ ახალუხში, ახალ შეკერილ ყელაან ჩექმებში. წელზე შემოჭერილი ჰქონდა ტყავის ბრტყელი ქამარი. თავზე ეხურა შავი მაულის კარტოზიანი ქუდი. ტანად გამხდარი იყო, სახე ოდნავ ფერმკრთალი ეს იყო ამხანაგი სოსო ჯულაშვილი“<sup>1</sup>.

სასწავლებელში შესვლის პირველ ხანე-

ბიდანვე იოსებ ჯულაშვილმა მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, როგორც კარგმა მოკრივემ, მოჭიდავემ, მობურთავემ, საუკეთესო მოწაფემ და შესანიშნავი ხმის პატრონმა. ვიორგი ელისაბედაშვილი იგონებს:

„ვინ გაიმარჯვა კრივში?—სოსომ, ვინ წააქცია ჭიდაობაში ამხანაგი?—სოსომ; ვინ გაითრია წრიდან მოხეჩხებულად ქამარი და რიგიანად აუხურა ფეხები წრეში მდგომს?—სოსომ; ვინ გაჰკრა ყველაზე შორს ბურთი?—სოსომ; ვინ კითხულობს ყველაზე მეტ წიგნებს?—სოსო; ვინ არის ამხანაგური გრძნობით ყველაზე მეტად გატაცებულ?—სოსო; ვინა სწავლობს ყველაზე უკეთესად?—სოსო; ვინა მღერის ყველაზე ტკბილის ხმით და მოხდენილად?—სოსო“<sup>2</sup>.

სასწავლებელში სულ მალე იოსებ ჯულაშვილის გულმოდგინე მეცადინეობითა და მეთაურობით მოწაფეთა ლიტერატურული წრე იქნა ჩამოყალიბებული. ამ წრეში იოსებ ჯულაშვილის გარდა შედიოდნენ: დ. გოგონია, პ. კაპანაძე, მიშა დავითაშვილი, ვანო კეცხოველი, კოტე ჩუტკერაშვილი, გ. გლურჯიძე, ალექსანდრე ციხითათრიშვილი, ვიორგი გიგითაშვილი, სოსო ირემაშვილი, ვასო ხახანაშვილი, სანდრო კავსაძე, პეტრე ადამაშვილი და სხვანი.

ხსენებული წრის წევრნი თავიანთ ხელმძღვანელად სრულიად ღირსეულად თვლიდნენ იოსებ ჯულაშვილს და ისიც შეძლებისამებრ უძღვებოდა წრეს. აღნიშნული ლიტერატურული წრის წევრი ვანო კეცხოველი გვიამბობს:

<sup>1</sup> მარტს-ენველს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ფონდი 34, საქმე № 99 A.

<sup>2</sup> იქვე, ფონდი 34, საქმე № 13.

„იქ, სადაც ამხანაგი სოსო გაჩნდებოდა ხოლმე, უეჭველად მის გარშემო შეიქნებოდა მოწაფეთა ჯგუფები და თითქოს ბრძანებას ელიანო, ისე ვიყავით გამზადებულნი. მისი სიახლოვე რაოკორდაც ყველას ახარებდა და მასთან ყოფნის დროს უფრო მზნედ და თავისუფლად გრძნობდა თავს ყველა ჩვენგანი.

ამხანაგ სოსოს უყვარდა წიგნების კითხვა. ხელში უჭირავს ი. ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის და სხვების თხზულებები, კითხულობს მათ გაფაციცებით და მსჯელობს სხვადასხვა ტიპებზე, ახლა (უფროს კლასში) ამხანაგ სოსოსთან მიდიან არა სათამაშოდ, არამედ მისი აზრის, შეხედულებების გასაგებად ამათუიმ მომქმედი პირის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ მისგან გამოთქმული აზრი ჩვენთვის რატომღაც გადამჭრელი იყო ხოლმე. ვცილობდით შეკამათებას, მაგრამ სასტიკად ვეპარცხებოდა. მიუხედავად ამისა, უფრო მეტი პატივისცემით და სიყვარულით ვიშსკვალდებოდით მისდამი“<sup>3</sup>.

იოსებ ჯულაშვილი, როცა რაიმე კარგ წიგნს წაიკითხავდა, მამინეგ წრის წევრებს წინაპირობის შინაარს ვადასცემდა და თან ურჩევდა თვითონაც წაეკითხათ იგი. წრის ერთ-ერთი წევრი—პეტრე კაპანაძე მოგვითხრობს:

„სოსო თუ რომელიმე რიგიანი წიგნის შესახებ გაიგონებდა რამეს, უსათუოდ იშოვიდა და წაიკითხავდა. ამასთანავე, მას ერთი საუკეთესო თვისება ჰქონდა: თუ წაიკითხული წიგნი მოეწონებოდა, უსათუოდ ურჩევდა ამხანაგებს, მათაც წაეკითხათ. მახსოვს; ერთხელ ეგნატე ნინოშვილის „გოგია უიშვილის“ წაიკითხვის შემდეგ ჩვენთან მოიხრბინა, მაჩვენა წიგნი და აღუშოთებით მომიყვა იმ უქულმართობაზე, რაც მოთხრობაში იყო დახასიათებული“<sup>4</sup>.

მართალია, გორის სასულიერო სასწავლებელს თავისი ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ სასწავლებლის ადმინისტრაცია მოწაფეებს ისეთ წიგნებს ურიგებდა, რომელიც ოდნა-

ვდაც ვერ აკმაყოფილებდა ლიტერატურული წრის წევრთა განვითარების დონეს. წრის წევრი იძულებულნი იყვნენ საკითხავი წიგნები სხვაგან ეშოვნათ.

„სასწავლებელთან,—წერს თავის მოგონებაში გ. გულურჯიძე,—ყო ბიბლიოთეკა, როცა ჩვენ წამოვიზარდენით. წიგნების კითხვამ ვავიტიცა. მართულობა ვეძლევედა წიგნებს, რომლებიც არ შეეფერებოდნენ ჩვენს გემონებას და ამიტომ სათანადო ლიტერატურას საკითხავად ვშოულობდით არსენ კალანდაძისაგან. რომელსაც იმ ხანად გორში წიგნის დუქანი ჰქონდა გახსნილი. კალანდაძესთან ჩვენ ვშოულობდით აკაკ წერეთლას, ილია ჭავჭავაძის, რაფიელერის თავის და სხვათა თხზულებებს“<sup>5</sup>.

განსაკუთრებული სიყვარულით და გატაცებით ჰკითხულობდნენ ერთად შეყრისას ლიტერატურული წრის წევრები ილია ჭავჭავაძის „რამდენიმე სურათს ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერებს.

ვანო კეცხოველი იგონებს: „ყველაზე ძლიერ გვიყვარდა „კაკო ყაჩაღი“. რომლის წაიკითხვის დროს ცივი ყრუანტელი გვივილიდა ტანში, ზაქროს მხუტი მამის ვალახვის სცენას, ჩვენი თვალეები ცრემლებით აუვსია. ალ. ყაზბეგის გმირები კიდევ პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდა ჩვენს ნორჩ გულში“<sup>6</sup>.

ლიტერატურული წრის ის წევრები, რომელთაც ცოტად თუ ბევრად ემარჯუებოდათ ხატვა, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ისტორიულ პიროვნებათა, კლასიკოსებისა და მათი გმირების დახატვაში. ამ შეჯიბრებაში იოსებ ჯულაშვილიც იღებდა ხოლმე მონაწილეობას.

„ჩვენს კლასში,—მოგვითხრობს პეტრე ადამაშვილი,—ყო ერთი ამხანაგი, თუ არა ტელეტი ბასიშვილი, რომელსაც ხატვან დაღიან ეხერხებოდა. ის იყო, ასე ვთქვათ, პორტრეტისტი. მოჰქონდა ხან ილიას, ხან აკა-

<sup>3</sup> მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის, თბილისის ფილიალის ფონდი 34, საქმე № 99 A

<sup>4</sup> იქვე, ფონდი 34, საქმე № 10.

<sup>5</sup> „Рассказ старых рабочих Закавказья“; 1937 წ., გვ. 17—18.

<sup>6</sup> მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ფონდი 34, საქმე № 99 A.

ქს, ხან კიდევ ყაზბეგის სურათები. მაგრამ მთელი კლასის ყურადღება ბოლოს თამარ მეფის სურათით მიიქცია.

ეს გულში ჩავარდნოდა სოსოს. კლასში ისიც ხატავდა, მაგრამ ბასიშვილის თამარ მეფემ მასში აღძრა მეტოქეობის სურვილი. ერთი თვის განმავლობაში არაფერი არ მოუტანია ნახატებიდან.

აი, მიწვლდა თამარ მეფის სურათის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილებაც, ბოლოს სულაც მივიწყებდა. სწორედ ამ დროს შემოიტანა სოსომ შოთა რუსთაველის სურათი, კარგა ვებერთელა ქალაქზე და შეუმჩნევლად შუა კედელზე ჩამოჰკიდა.

როცა თვალი შევავლეთ, ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. დამარცხდა ბასიშვილი, რომელმაც აღიარა, რომ ამნაირად შევერ შევეძლებ ამის დახატვასო. სურათი ყურადღების საგნად გადაიქცა. ნახეს მასწავლებლებმაც.

მასწავლებლებს არ სჯეროდათ, რომ ეს მისი ნახატი იყო. მაშინ გაჯავრდა სოსო და დასვენების დროს ყველას თანდასწრებით იგივე სურათი დახატა. ოღონდ უფრო მიწვლული სახით“ 7.

1893 წელს, როცა იოსებ ჯულაშვილი გორის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში იყო, დაიწყო მზადება რაფიელ ერისთავის იუბილეს ჩასატარებლად. ლიტერატურულმა წრემ იოსებ ჯულაშვილს დაავალა დაეწერა რაიმე რაფიელ ერისთავის საიუბილეოდ. იოსებმა ეს დავალება მაშინვე შეასრულა. სამწუხაროდ, იუბილემ ორი წლით დაიგვიანა. იგი გაიმართა 1895 წლის 22 ოქტომბერს, როცა იოსებ ჯულაშვილი უკვე თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მაგრამ შრომას ტყუილა არ ჩაუვლია. ამხანაგ სტალინის მიერ გორის სასულიერო სასწავლებელში ყოფნისას დაწერილი რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1905 წლის 29 ოქტომბრის ნომერში.

გრივოდ გლურჯიძე ამის გამო თავის მო-

გონებაში წერს: „რაფიელ ერისთავის იუბილე იყო გადასახდელი. ამხანაგებმა სოსოს დაავალეს ამის შესახებ რისამე დაწერა. არ მახსოვს რომელ ვაზეთში, ამხანაგმა სოსომ მოათავსა ლექსი სხარტი და შინაარსიანი. მიუხედავად იმისა, რომ რაფიელი, როგორც გლეხის მოსარჩლე, ბრძოლის გზას ვერ სახავდა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, — ამხანაგი სოსო მაინც იწონებდა რაფიელს, როგორც აღმნიშვნელს გლეხის გაქირვებულ მდგომარეობისა.“ მაშინ ამხანაგი სოსო მესამე კლასში იყო“ 8.

აი თვითონ ლექსიც:

ო. რ. ერისთავს.  
როს მშრომელ გლენთა ვაებით  
საბრალოდ აცრემლებული  
ზეცას შექცენსდი, მგოსანო,  
ერისთვის თავ-დადიბული;  
როს ერის კეთილდღობით  
საამოდ აღტაცებული,  
სიმთ აელტრებდი ტკილ-ხმაზედ,  
ვით ზეცით მოვლინებული;  
როს დაგვლობდა სამშობლოს,  
ის იყო შენი ტრფიალი,  
მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა  
გულს-წარმტაცი წკრაილი...  
მაშინ, მგოსანო, ქართული  
თურმე ეიფრს ძველს გივივდა  
და წარსულს შრომას, ვაებას  
აწმყოთი გიგვირგვინებდა.  
შენმა სიტყვებმა მის გულში  
შვეე გაიდგა ფესვია,  
მოამკე წმინდა მცოვანო,  
რაც სიყმით დაგითვისია;  
ნამგლად იხმარე ერიასგან  
გრძობით ჰაერში ძახილი:  
„ვაშა, რაფიელ! გამრავლდეს  
ნამგლში შენებრი შვილი!!!“ 9

გორის სასულიერო სასწავლებლის ლიტერატურულ წრესთან ჩამოყალიბებული იყო სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელიც თავის წარმოდგენას გორის გარეთაც აწყობდა. სცენის მოყვარეთა ჯგუფში ხანდახან იოსებ ჯულაშვილიც იღებდა მონაწილეობას. ესაზ ხახანაშვილი ამხანაგ სტალინზე დაწერილ მოგონებაში ამას გამო წერს:

7 მ. რუს-ენგელს ლენინის ინსტიტუტის თბილის-ს ფილიალის ფონდი 44, საქმე № 292.

8 იქვე, ფონდი 34, საქმე № 84.  
9 გაზ „ივერია“ 1895 წ., № 234.



„ერთ დროს ჩვენ გაგვიტაცა თეატრმა და ვიღებდით ხოლმე მონაწილეობას სცენის-მოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებში. მასხაეს, სოსო მეჩექმის ბიჭის როლში, (ვალერიან გუნიას) ვოდეველ „არც აქეთ, არც იქათში“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ როლს სოსო 13-14 წლისა სამავალითოდ ასრულებდა. სცენის-მოყვარეთა ჯგუფი, რომელიც უმთავრესად მოწაფეთაგან შესდგებოდა, წარმოდგენებს მართავდა არა მარტო გორში; სოსომ აქტაური მონაწილეობა მიიღო წარმოდგენების გამართვაში ცხინვალშიაც“<sup>10</sup>.

აღნიშნულ სასწავლებელში სიმონ გოგლიჩიძის მეთაურობით მოწაფეთა სავალბოელი გუნდი იყო ჩამოყალიბებული, ამ გუნდის წევრთა უმრავლესობა ლიტერატურული წრის წევრებიც იყო. მათ შორის გამოირჩეოდნენ: იოსებ ჯულაშვილი, სოსო ირემაშვილი და სანდრო კავსაძე. პეტრე ადამაშვილი გვიმბობს:

„სოსო (ჯულაშვილი) შესანიშნავად ვალობდა. განსაკუთრებით აუწერელ შთაბეჭდილებას სტოვებდა იგი ტრიოში. თითონ პირველი დისკანტი იყო, სწორედ ირემაშვილი — ალტი, ხოლო სანდრო კავსაძე, ბარიტონი“<sup>11</sup>.

იოსებ ჯულაშვილის რიციაციით ჯგუფმა ხელისუფლებისაგან მიიღო საერო ხასიათის სიმღერების შესრულების ნებართვა. „სოსოს ხელმძღვანელობით, — წერს სიმონ გოგლიჩიძე, — უფალო ღალად გყავ შენდამი“ და „ღმერთი და უფალი გამოგვიჩნდა ჩვენ“-ის მაგიერ ყველას ყურებს ატკობდა სოსოს მოხდენილი ქართული ტკბილი სიმღერა: „ჩაუხტეთ და ჩაუხტეთ ბარათაშვილსა“, „კურღლევი ჩამოცანცარდა ფენმოტეხილი საწყაღ“, „ვაი შენ ჩემო თეთრო ბატო“, „შენ ჩემო და დღრო“, „სამგორისა მინდორზედა, თეთრი გოგო მიგოგავდა“ და სხვა. ამ სიმღერებს ასრულებდა სოსოსთან ერთად მისი ჯგუფი. ეს სიმღერები და სხვებიც მოთავსებული იყო კომპოზიტორ ანდრია ბენა-

შვილის საეკლესიო კრებულში, დამატებით სოსო ამით სარგებლობდა“<sup>12</sup>.

ლიტერატურული წრე, როცა რაიმე საღამოს მოაწყობდა; ეს საღამო მათ აუცილებლად საკონცერტო ნომრებით უნდა დაესრულებინათ. ხშირად კი წრე მარტო მუსიკალურ კონცერტებს მართავდა.

როცა იოსებ ჯულაშვილმა და მისმა რამდენიმე ამხანაგმა გორის სასულიერო სასწავლებლის დარბაზების შემდეგ თბილისში სასულიერო სემინარიაში განაგრძეს სწავლა, მათ არ შეუტყვლიათ ურთიერთობა გორის სასულიერო სასწავლებლის ლიტერატურულ წრესთან. ისინი კვლავ განაგრძობდნენ საღამოებსა და კონცერტებში მონაწილეობას.

ალექსანდრე ციხითათრიშვილი ამხანაგ სტალინზე დაწერილ მოკონებაში ამის გამო შემდეგსა წერს

„გორის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ სოსო სემინარიაში მიიღეს სახელმწიფო ხარჯზე, მაგრამ სოსოს გორელ ამხანაგებთან კავშირი არ შეუწყვეტია. ვკონებ 1896 წელს უნდა ყოფილიყო: ეროვნულ სანდრო კავსაძე ეწვია გორს თავისი ახალ შედგენილი გუნდით. მის კონცერტს აუარებელი ხალხი დაესწრო.“

ადვილობრივმა ძალებმაც გადაწყვიტეთ, რომ ბატარა გუნდრ ჩვენც შეგვედგინა. შევიკრიბენით გორში დარჩენილი და არდადეგებზე მოსული ამხანაგებე. მათ შორის სოსოც იყო და სიტყვა საქმედ იქცა.

ღრტბარად ავირჩიეთ გივა ხუციშვილი, შევამზადეთ საუკეთესოდ სიმღერები. რეპერტუარში შედიოდა: „ჩაუხტეთ და ჩაუხტეთ“, „წარვედ წყლის პირას“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „მგზავრება“, „ჩუხჩუხით“, „მოდის გემი — ჩქარა ჩასხედით“, „რატლისა“ და სხვანი.

პირველი კონცერტი გორში ვერ ვაგებდეთ, ვინაიდან სანდრო კავსაძის მიერ დატოვებული შთაბეჭდილების გაქარწყლება არც ის ადვილი იყო. სამავაიეროდ ჩვენ ამოვირჩიეთ ცხინვალი, სადაც უნდა გვეცადნა ჩვენი ნიჭი და უნარიანობა.

<sup>10</sup> მარტა-ენკელა-ლენინის ინსტრუქტის თბილისის ფილიალის ფონდი 34, საქმე № 306.

<sup>11</sup> იქვე, ფონდი 34, საქმე, № 292.

<sup>12</sup> იქვე, ფონდი 34, საქმე № 130.

დილის 10 საათი, იქნებოდა უკვე ცხინ-  
ვალში ვიყავით. აქ დაგვხვდა ჩვენი გულითა-  
დი ამხანაგი ვასო ხახანაშვილი, შემდეგ ვი-  
ნახულეთ დათა მაჭავარიანი და სხვები. მაჭა-  
ვარიანმა მასპინძლობა გაგვიწია სამ ამხა-  
ნაგს, რომლებთანაც ქაღიან დაახლოვებუ-  
ლი იყო. სახელდობრ მე, სოსოს და კოტე  
ჩუკერაშვილს. წაგვიყვანა სოფ. დგვრისში,  
სადაც კარგად ვისიამოვნეთ, დავისვენეთ.

მეორე დღეს ცხინვალს ვესტუმრეთ და  
ჩვენი კონცერტით გავახარეთ დამსწრე სა-

ზოგადობა. დიდი იყო აღფრთოვანება, დი-  
დი იყო აქეთ-იქეთ წევა, რომ სტუმრობა გა-  
ჩალებულიყო, მაგრამ სოსოს ამხანაგებით არ  
ეტალა და დავბრუნდით<sup>12</sup>.

ორიოდე კვირის შემდეგ ჯგუფმა მორიგი  
კონცერტი სურამში მოაწყო. კონცერტში  
მონაწილეობდნენ: სოსო ჯულაშვილი; დათა  
სალარიძე, არჩილ ბეგოიძე და სხვები.

<sup>12</sup> მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ფონდი 34, საქმე № 258.





## მ. გოზალიანი

# ბელარუსადმი სოციალისტური პოეზიის პეა

აყვავებული სამშობლო—მზიურ საქართველოს შესანიშნავ მხარეს წარმოადგენს მშვენიერი ქართლი, რომელსაც ამშვენებს კომწიად მორთული პატარა ქალაქი—გორი; აქ პირველად დაირწა აკვანი იმ ადამიანისა, რომელმაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩაგრულთ შეუქმნა თავისუფალი ბედნიერი და საამური ცხოვრება.

გორის ციხის ქვედა კალთებზე მდებარე ღარიბულ პატარა ქოხში ქართველმა დედამ პირველად ჩაიხუტა მკერდში პატარა კობა, ჯულაშვილის პატარა ქოხში, მადლიანი დედის ძუძუთი იზრდებოდა კაცობრიობის მომავალი გენა, მშრომელთა ბელადი, რომელმაც ხალხს გაუთენა სასიხარულო ცხოვრება თავისი ბრაქიანი, უხვი მოსავლით.

აყვავებული ქართლის მიდამოებში თავის ტოლ ამხანაგებთან ერთად, გაუტარებია ბავშვობის სასუქვარი წლები ხალხთა დიდ ბელადს—სტალინს.

ქ. გორში არის პატარა სახლი, რომელიც უდიდესი სიყვარულით ავსებს მნახველთა გულს. აყვავებული ბედნიერი ქართლი, ქალაქი გორი—სამშობლო ბელადისა, სიყვარულის ძლიერი ძაფებით არის დაკავშირებული ყველა მშრომელის გულთან.

ორდენოსან საქართველოს თვალმარჯალიტს წარმოადგენს ქართლის კალთებზე გაშლილი ქ. გორი — სამშობლო სტალინისა.

მადლიერი ქართველი ხალხის საამაყო შვილის—ლაერენტის პაველს-ძე ბერიას ინიციატივით, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მიერ მიწვევა ფრთად ღირსშესანიშნავი გამოფენა ქ. გორში სტალინის სახლთან; გამოფენა ასა-

ხავს დიდი სტალინის მიერ განვილლ შესანიშნავი გმირული ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარ პერიოდებს.

გამოფენის სამივე დარბაზში გადაშლილი სურათები და გმირული ბრძოლების მომენტები უდიდესი სიხარულითა და სიყვარულის გრძნობით ავსებს მნახველთა გულს. პირველ ძლიერ შთაბეჭდილებას იღებთ პირველი დარბაზის შესავალში გამოფენილ სურათებისაგან. აქ არის ამხანაგ სტალინის ბედნიერი ქართველი დედის ეკატერინე ჯულაშვილის სურათი, ძველი გორის საერთო ხედის ფოტოსურათი; გორის სასულიერო სასწავლებლის შენობა; მოწმობა სტალინის მიერ გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შესახებ.

სასიხარულო შთაბეჭდილებას ახდენს სტალინის მიერ ახალგაზრდობის დროს დაწერილი ლექსები: „დილა“, „მთვარეს“, „მოხუცი ნინიკა“, „რ. ერისთავს“, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. აქვე არის ჯაფარიძის სურათი—„ი. სტალინი ილია ჭავჭავაძესთან „ივერიის“ რედაქციაში“. აქვეა მოცემული მრავალი სურათი, რომლებიც გადმოგვცემენ ამხანაგ სტალინის მიერ ჩატარებულ უდიდესი რევოლუციური მუშაობის ეპიზოდებს.

ამხ. ლ. პ. ბერიას ცნობილ წიგნიდან ამოღებულია წარწერა: „მესამე დასის“ უმცირესობა ამხანაგების სტალინის, კეცხოველისა და წულუკიძის მეთაურობით წარმოადგენდა „მესამე დასის“ რევოლუციურ-მარქსისტულ ინტერნაციონალისტურ ფრთას, რომელმაც დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ. ლენინური „ისკრის“ პრინციპებისათვის.



...ეს უმცირესობა შეიქმნა რსდმპ ლენინურ-  
ისკრული მიმართულების ბირთვად ამიერ-  
კავკასიაში“. ამ წარწერის ქვეშ კედელზე  
გამოფენილია ლენინის, ი. სტალინის, ა. წუ-  
ლუკის ლ. კეცხოველის, ვ. კურნატოვსკის,  
ი. ციურუპას, ფედოსეევის და ლალაიანცია  
სურათები.

აქვე მოცემულია ქ. თბილისის რუკა, რო-  
მელშიაც მშვენიერად არის ნაჩვენები ყველა  
ის ადგილი, სადაც უხდებოდა ცხოვრება და  
მუშაობა ამხანაგ სტალინის 1894—1910 წლე-  
ბის განმავლობაში. აქვე არის მდიდარი ბიბ-  
ლიოთეკა—მარქსის, ენგელსის, ლენინის,  
პლეხანოვის და სხვათა შრომებით, რომლებ-  
საც კითხულობდნენ სტალინის მიერ მოწყო-  
ბილ სემინარისტთა პირველ არალეგალურ-  
რევოლუციურ წრეში.

გამოფენის შემდეგ განყოფილებაში ნაჩე-  
ვებია სტალინის ცხოვრება და რევოლუციუ-  
რი მუშაობა 1907—1924 წლებში. აქ ნათ-  
ლად არის წარმოდგენილი ცნობები რსდმპ-ის  
ლონდონის ყრილობის მონაწილე ბოლშე-  
ვიკთა ჯგუფის: ლენინის, სტალინის, შაუმიან-  
ის, ვოროშილოვის და იაროსლავსკის შე-  
სახებ; ნაჩვენებია ბაქოს ბოლშევიკური კომი-  
ტეტი სტალინის მეთაურობით.

უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს დიდი  
სტალინის დაპატიმრების, გადასახლებისა და  
გამოქცევის შესახებ შედგენილი რუკა 1902  
—1917 წლებში. მოცემულია ცნობები ბოლ-  
შევიკური პარტიის 1912 წლის პრაღის კონ-  
ფერენციაზე; ნაჩვენებია ვ. ი. ლენინის ჩა-  
მოსვლა რუსეთში 1917 წელს; ლენინისა და  
სტალინის მუშაობა ოქტომბრის რევოლუცი-  
ის გამარჯვებისათვის; სამოქალაქო ომის  
ფრონტზე ამხანაგ სტალინის გამორული მუშა-  
ობა.

შესანიშნავი სიკბადით არის გამოხატუ-  
ლი მთელ რიგ სურათებში ლენინისა და  
სტალინის და მათი თანამებრძოლების—ამხა-  
ნაგების ორჯონიკიძის, კიროვის, ვოროში-  
ლოვის, ძერჟინსკის დიდი მეგობრობა და  
თავდადება საერთო საქმისათვის.

გამოფენის ამავე განყოფილებაში ნაჩვენე-  
ბია ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელის-  
უფლებისათვის და მისი დამყარება.

გამოფენის შემდეგ, მესამე განყოფილე-  
ბაში, მოცემულია მდიდარი მასალა 1924—  
1939 წლების პერიოდიდან, როდესაც საკ-  
ქ. პარტიამ (ბ) ვ. ი. ლენინის ვარდაცვა-  
ლების შემდეგ, დიდი სტალინის გენიალური  
ხელმძღვანელობით, ხალხის გაბოროტებული  
მტრების, დაქირავებული აგენტების განადგუ-  
რებით, ჩაატარა გიგანტური მუშაობა კომუ-  
ნისტური საზოგადოების პირველი ფაზის  
—სოციალიზმის მშენებლობისა და განმტკი-  
ცებისათვის, რამაც ჩვენი ქვეყანა—სსრ კავ-  
შირი—გადააქცია ერთერთ მძლავრ სოცია-  
ლისტურ სახელმწიფოდ მთელს მსოფლიოში.

დიდი სტალინის მიერ განვლილი მშვენიე-  
რი ცხოვრების 60 წლისთავზე, კიდევ უფ-  
რო მეტად თვალწარმტაცი, მომხიბლავი  
და საყვარელი ვახდა მსოფლიო მშრომელი  
კაცობრიობისათვის ლენინ-სტალინის დიადი  
პარტია.

პატარა ხანლი ქ. გორში, სადაც დაიბადა  
და თავისი ბავშვობის წლები გაატარა ამხა-  
ნაგმა სტალინმა და ეს შესანიშნავი გამოფე-  
ნა, არის უდიდესი კერა ლენინ-სტალინის  
პარტიის ისტორიისა და მისი გენიალური ბე-  
ლადის დიდი სტალინის განვლილი ცხოვრე-  
ბის შესწავლასათვის. იგი მასებისადმე  
ერთგულების, თავდადებისა და გამორული  
საქმეების აგიტატორია.



## გორის თეატრი

ქალაქ გორში, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სამშობლოში, მიმდინარე წელს აშენდა ულამაზესი მონუმენტური თეატრის შენობა 500 მაყურებლისათვის. თეატრი კვლავ სდგას ქალაქის შუაგულში, იგი დასამრებელია ქალაქის ყოველი უბნისათვის, მისი მთავარი ფასადი, ლამაზათ მორთული, გამოდის პოეტ ი. ჭავჭავაძის სახელობის მოასფალტებულ ქუჩაზე. რომელიც მიემართება იმ სახლისაკენ, სადაც დაიბადა და აღიზარდა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

თეატრი თავის სილამაზით და სიკვლეულებით პირველ დანახვისთანავე იპყრობს მაყურებელს. იგი აშენებულია ეკლარის თეთრი ქვისაგან.

თეატრის ფასადს აშვენებენ ოთხი ცალკე მდგომი კოლონა, რომელთა კვარცხლბეგები ოთხკუთხედიანია.

კვარცხლბეგების მასივობა ოდნავ შემსუბუქებულია ქართული ხუროთმოძღვრების მოტივებით: ისინი მრავალსახოვანია—ზოგი წარმოადგენს სიბრტყეს რომბისებურად ამოღრმავებულ ოთხკუთხედებისას და ზოგი შემსუბუქებულია ვერტიკალურ, ნახევრად მრგვალ და კუთხოვან ღეროებით. ამგვარი მოტივებით დამუშავებული სვეტების კვარცხლბეგები რიგრიგობით ერთი კოლონიდან მეორეზე გადადის, რაც მაყურებლის თვალს იზიდავს. თვით კოლონების ტანი წარმოადგენს მშიდროდ შეკრულ ოთხღეროიან კონას, რომლის წვერები შეკრულია ლამაზად დაწესულ-დახვეული გვერგვით; ეს უკანასკნელი წარმოადგენს სვეტის თავის (კაპიტელის) ქვედა ნაწილს. ამის ზევით იშლება სვეტის თავი, რომელიც აგვირგვინებს კოლონას. კოლონა თავისი კაპიტელით კორინთულ

ორდერს წარმოადგენს; ხოლო გარეგნულად მთლიანად ქართული ხუროთმოძღვრების ელემენტებისაგან არის დამუშავებული.

კარგად არის შეხამებული სვეტის ყველა ნაწილი ერთი-მეორესთან: კვარცხლბეგები—სვეტის ღეროსთან და უკანასკნელი—კაპიტელთან. მთავარი ფასადის სვეტებზე დაყრდნობილია საინტერესო მოხაზულობის ანტაბლემენტი, რომელიც გამოხატავს ტალღისებურ, რითმულ, მწყობრ მოძრაობას; იგი აძლიერებს შთაბეჭდილებას მაყურებელზე ანტაბლემენტის სამივე ნაწილი—არქიტრაფი, ფრიზი და კარნიზი შეხმატკბილებულია ურთიერთშორის და მთელ ფასადთანაც; მისი ორიგინალური მოხაზულობა, მაყურებელზე ჩრდილ-სინათლას მდიდრული თამაშის შთაბეჭდილებას სტოვებს.

წყნარად და დინჯათ მთავრდება თეატრის მთავარი ფასადის მარჯვენა და მარცხენა გვერდები, გაფორმებული ყრუ კედლებით; მათზე დაყრდნობილია ქართული პროფილიანი არქიტრატები, რომლითაც გაფორმებულია ფასადის კარ-ფანჯრების აშვიები.

თეატრის გვერდითი ფასადები (როგორც აღმოსავლეთით; ისე დასავლეთით) სრულეზით არ ჩამოუყვარდებიან თავისი სილამაზით და ცალკეული ელემენტების ურთიერთ შეხამებით მთავარ ფასადს. აქ რითმიულად არის ჩამოყვარებული კოხტა სვეტები. გვერდითი ფასადების გაფორმებით შენობის ავტორი — არქიტექტორი შ. თაყაი აღწევს ქართული სხვადასხვა სახის ჩუქურთმების ერთმანეთთან შესხმატკბილებას. ორიგინალური სვეტის თავები (კაპიტელები) ძლიერს და საამოს ზღის მთელი ფასადის ანსამბლს.

საინტერესოდ და ოსტატურად აქვს ავტორს შეუღლებული მთავარი და გვერდითი

ფასადები დაგრეხილი კავეებით, რომელნიც თავდახურული, ქალის კავეების მთლიან ილუზიას ქმნიან.

მთავარი ფასადიდან მაყურებელი შედის თეატრის სალაროს ფართო და გაწიერ ეესტიბიულში და შემდეგ ტანსაცმელის ვასახედელში, რომლის ჭერი დამუშავებულია კუსონებით, ამ უკანასკნელთა წიბოებზე უხვად არის ქართული მოტივები. ეესტიბიულის თავზე, მეორე სართულში, ავდივართ კიდევ უფრო მდიდრულად და ლამაზად მორთულ ფოიეში. ფოიე მაყურებელზე უსათუოდ საინტერესო შთაბეჭდილებას ახდენს. მის ყუჩადლებას უწინარეს ყოვლისა იპყრობს. ფოიეს ორსართულიანობა. მისი ჭერი ისე იხურება, როგორც ქართულ დარბაზთა ჭერი. გადახურვის კონსტრუქციული ელემენტები (კოჭების გადაჭდობა და სხვა) მაყურებელზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. გადახურვის ცენტრში მოთავსებულია ქალი, რომელიც

უხვი სინათლის საშუალებით, თბილ ფერებში გაფორმებულ დარბაზულ ტიპის გადახურვას აძლევს სასიამოვნო ელფერს. ფოიედან შევდივართ საყურებელ დარბაზში, რომელიც გაფორმებულია ნეიტრალური ფერებით. მოხდენილად არის გაფორმებული სფერული სამკუთხოვანი თაღები მრავალი ფანჯრებით.

პორტალი გაფორმებულია ლამაზად დაკეცილ დეკორირებულ მასებით, რომელიც ნაოჭყაროდ ფარჩის შთაბეჭდილებას ქმნის.

თეატრის სცენა მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით; ის მბრუნავია, აქვს ყრველგვარი მექანიკური მოწყობილობანი.

გორის თეატრის აგებით ავტორმა შესძლო მონუმენტურ შენობაზე ქართული არქიტექტურის მოტივების ისე დალაგება და ურთიერთ შეხამება, რომ მთელი ნაგებობა წარმოადგენს ამ მოტივების ერთ მთლიან ანსამბლს.





# ჩხუთავედის მსოფდმხედველოზისა და შიდლოსოფიური აზროვნების ფყარო

მიხნად ვისახავდი: ერთის მხრივ შემესწავლა მხატვრული პროზის ნიმუშების სუჟეტურ-ფაბულური მხარე „ამირან-დარეჯანიანის“ და „ვეფხის ტყაოსნის“ სუჟეტებთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ, მსოფლმხედველობისა და რელიგიურ რწმენათა და შეხედულებათა მხრივ გამეცნო და შემესწავლა „ვეფხის-ტყაოსანი“ და მისი ავტორი.

ეს მე საჭიროდ მიმაჩნდა ყოვლის უწინარეს ქართული საერო ნიმუშების წარმოშობის პრობლემის საუკეთესო გადაჭრისათვის, რაც ყველაზე აქტუალურ საკითხად ძოვლება, განსაკუთრებით დიად სტალინურ ეპოქაში, როდესაც მსოფლიო მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ძვირფას ლიტერატურულ მემკვიდრეობას, როგორც არის დიდი ქართველი გენიოსი პოეტის ნაწარმოები.

ასეთი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე იმ გარემოებამაც, რომ დღეს განსაკუთრებით საჭირო იყო გაძლიერებულიყო ამ ნახევარი საუკუნის წინათ ამ საკითხში დაწყებული წმინდა მეცნიერული კვლევა-ძიება პირველი წყაროების მიმართულებით ყოფ. პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტთან არაბისტიკის და ორიენტალისტიკის ვიქტორ ბარონ როზენის მიერ შექმნილი წრის საუკეთესო წარმომადგენლის ნ. ი. მარის მიერ.

სამწუხაროდ, საკითხის ეს წმინდა მეცნიერული კვლევა-ძიება დღეს სრულიად უკუგდებულია და ხსენებულ საკითხში ადგილი აქვს ათასგვარ შეუწყნარებელ მსჯელობას პოემის წარმოშობის შესახებ.

„ვეფხის-ტყაოსანის“ და „ამირან-დარეჯანიანის“ მსგავსი სწდევმირო ამბების სუჟეტურ-ფაბულური მხარის შესწავლის მიზნით მე შეეკრიბე მასალები როგორც სპარსული

მხატვრული პროზის „ყისია ამირ ჰამზას“ ხელნაწერისა და ლითოგრაფიული გამოცემის, ისე ხრალისაგანი ლიტერატურის გადმოკითხვის დროს და სხვათა შორის მივაგენი „ყისია ამირ ჰამზას“ თურქულ ვერსიას სათაურით „ამირ ჰამზა საჰიბ ყურან“ და „ჰარამ გულანდამიანის“ ვალექსილ თურქულ ვერსიას და სხვებს, რომლებიც შუქს ჰვენს ქართული საერო ლიტერატურის ნიმუშების წარმოშობის საკითხს და საბოლოოდ ცხადჰყოფს, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ სუჟეტი წარმოადგენს ტიპიური მოართული აღმოსავლური ამბის საუცხოო ნიმუშს, რომლის შინაარსიც იძლევა მთელი აღმოსავლეთის არაბულ ინდურ - სპარსული ყოფაცხოვრებისა და მსოფლმხედველობათა სრულ სინთეზს.

ამას გარდა, „ვეფხის-ტყაოსანში“ წარმოდგენილი რწმენა-შეხედულების და ავტორის მსოფლმხედველობის გასაცნობად მე საჭიროდ დავინახე როგორც ლენინგრადის აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის წიგნთსაცავში, ისე საჯარო ბიბლიოთეკაში ამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის გადახედვა.

შედეგები ამ მხრივაც თვალსაჩინოა.

ძველი არიელები და განსაკუთრებით ირანელები როგორც მათი პრიმიტიული მდგომარეობის დროს, ისე შემდგეშიაც, დიდ მიდრეკილებას იჩენდნენ სხვადასხვა სტიქიური ძალების ვალმერთებისადმი.

ზოგი მათგანი, როგორც მილანიანები (უძველესი სექტა) აღმერთებდნენ ჰაერს, სხვები—ალარიანები—წყალს. შედობიანები—მიწას, პეიქარიანები—ციცხლს, ანშიანები—ოთხსავე სტიქიას, შიდრენგიანები (აგრეთ-



ამხანაგი სტალინის ბავშვობისას თავის ტოლ-ამხანაგებთან

მხატვ. დ. ვოლგინი

ვე უხსოვარი დროის სექტაა, რომელსაც ზო-  
პაქის დროს აკუთნებენ) აღიარებენ, რომ  
ღმერთი არის ბუნება, ადამიანი კი ბალახის  
მსგავსი, ან ყვავილისა, რომელიც გადაყვავ-  
დება და მისგან კვლიც კი აღარ დარჩება.  
მაგრამ ყველა ეს სექტა გამომდინარეობს  
სპარსთა მითაგორი რელიგიიდან, ე. წ. სეფა-  
სიანების სარწმუნოებიდან, რომლის მიმდევ-  
რები განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენ-  
დნენ მნათობთა ვაღმერთებისადმი.

ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ უხსოვარ  
დროიდანვე სპარსელებში არსებობდა მნა-  
თობების კულტი, რომლის ნიადაგზე წარ-  
მოიშვა თეორია შვიდი მნათობისა და შვი-  
დი ცის შესახებ. ეს რწმენა მტკიცედ არის  
დატული დღემდე.

ძველი ირანის გავლენის ქვეშ, როგორც  
სპარსელებს, ისე არაბებს, დღესაც მტკიცედ  
სწამთ, რომ მოჰამედი ამადლდა მერვე ცაში,  
სადაც მის ადგილსამყოფელს არ შ ეწოდებ-  
და.

ამავე სეფასიანების რელიგიიდან მომდი-  
ნარობს რწმენა, რომლითაც სამოთხე მდებ-  
არეობდა სხვადასხვა ცაზე მეცხრე ცამდე.  
ხლოდ უკანასკნელი იყო მეთათე ცა, რო-  
მელზედაც მდებარეობდა სამოთხეთა  
სამოთხე, სადაც სუფევდა განუსაზღვ-  
რელი ნეტარება, თუ კი ვინმე ქეშმარიტე-  
ბის გზაზე მდგარი გახდებოდა ამ მეთათე ცა-  
ზე ასვლის ღირსი, ის იმყოფებოდა ღმერთის  
მუდმივ ხილვაში.

როგორც ვიცით, მთელი ეს სისტემა და-  
ცულია სეფასიანების მთავარ სწავლა-მოძ-  
ღვრებაში.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის,  
რომ სეფასიანების მოძღვრება სულთა გადა-  
სახლების შესახებ ძლიერ ვავაგონებს პლა-  
ტონის მოძღვრებას.

მათი რწმენით, ღმერთმა შექმნა ცა და ღე-  
დამიწა რამდენიმეჯერ. ყველაზე პირველად  
მან გააჩინა ანგელოზი—ბაჰმან და შემდეგ  
უკვე მისი საშუალებით—მნათობებიც. მხე  
ღმერთის ხატებაა, მისი ქეშმარი-  
ტი სახეა. ღმერთისადმი ლოცვა-ვედ-  
რება შესაძლებელია მხოლოდ ვარსკვლავე-

ბის საშუალებით, რომლებიც ისე არიან და-  
ახლოვებული ღმერთთან; როგორც მეფეს-  
თან მინისტრები და დარბაისლები.

ადამიანთა სულები, მათი ღირსება-ნაკლო-  
ვანებათა მიხედვით, გადასახლებებიან ადამი-  
ანშივე, ან ვარსკვლავებში—როგორც, მაგ.,  
დიდგავაგონანი და ღირსეული ადამიანები;  
დაბალი წოდების ან ცუდი ადამიანები კი  
გადასახლებებიან სხვადასხვა ცხოველებში  
ან ქვებში, ცოტა უკეთესები—მცენარეებსა  
და ბალახებში და ა. შ.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ესევე მსოფლ-  
მხედველობა სავსებით გამოვლინებულია  
რუსთველის „ვეფხისტყაოსანშიაც“.

მეორედ გაპარვით წამოსული ავთანდილი,  
რომელიც, პოეტისავე სიტყვით, „მევა და  
მისტირს გულმდღურად, ვერ იტყვის ცრემ-  
ლთა მცრობასა, წამწამ მობრუნდის, იაჯდის  
მისთვის მზისავე მზობასა“, ამ უზომო სეე-  
დისაგან დაპყრობილი „დაბნედა“ მიახლე-  
ბული იტყვის:

„ჰე მზეო, ვინ ხატად ეტქვის მზიანისა  
ლამისად,  
ერთარსებისა, ერთისა, მის უქამოსა ეამი-  
სად,  
ვის გმორჩილებენ ციერნი ერთის იოტის  
წამისად,  
ბედსა ნუ მიტყვე, მიაჯე შეყრამდე ჩემად  
და მისად“.

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილა-  
სოფოსნი წინანი,  
შენ მიშველე რა ტყვექმნილსა, ჯაჭვნი  
მამიან რკინანი...  
„რა შეუღამდის ვარსკვლავთა, ამოსლვა  
იამებრდის:  
მთვარესა ეტყვის: „იფიცე სახელი ღმრთი-  
სა შენისა,  
შენ ხარ ღმრთემი მიჯნურთა მიჯნურობი-  
სა სენისა,  
შენ გაქვს წამალი მიჯნურთა მოთმინებისა  
თმინისა;  
მიაჯე შეყრა პირისა, შენგამო შენებრ  
მშვენისა“.

მზე მზიანი ღამის გამოსახულებაა, მისი  
ხატია სამოთხეთა სამოთხეში (მეცხრე ცაზე).

ე. ი. იქ, სადაც აღამიანი ღმერთის მუდმივ ხილვაშია მარადისობაში გადასვლის (გადასახლების) შემდეგ.

ნესტანდარეჯანი, თავის მიჯნურთან შეერთებაზე სასოწარკვეთილი, ასე სწერს მას ქაჯეთის ციხიდან:

„ღმერთსა შემეფდრე, ნუ თუ კვლავ დამხსნას სოფლისა შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა,

მომცნეს ფრთენი და აღფრინდეს, მივჭვდეს მას ჩემსა ნდომასა,

და დღისით და ღამით ვზედვიდე — მზისა ელვათა კრთომასა“ —

და ა. შ.

რომ ბევრი არ გავაგრძელო, მოვიგონოთ ავთანდილისავე მიმართვა და ლოცვა-ვედრება მნათობებისადმი — შვიდი ვარსკვლავისადმი. შვიდი ვარსკვლავისა და შვიდი ცის კულტი — მეტისმეტად რეალურად და მასთან მეტისმეტად რელიგიურად არის წარმოდგენილი პოემაში, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს პოეტის სხვადასხვა სახეებში (ტროპებ-სა და ფიგურებში).

ფრიდონ მეფე ამ სიტყვებით მოუთხრობს ტარიელს კიდობანში მჯდომი მზებრ-დამაზრმავებელი სილამაზის ნესტანზე:

„მთვარე უჯდა კიდობანსა, — ცა მე შევიდე მას ცავეცი,

მას რომე ელვა ჰკრთებოდა, თვალნიმცა ჰგვანდეს რისანი,

მან ჯანანათლა სამყარო, ვაცუდდეს შუქნი მზისანი“.

ნესტანი თავის მიჯნურს, როცა დაასაქმებს საგმირო საქმეს — ხატაელების დამარცხებას, ამ სიტყვებით შეჰფიცებს სიყვარულის სიმტიციეში:

„...აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტიციითა:

აშას შეესჯერდი დიდითა ზენარითა და ფიცითა,

და გეცრუო, — ღმერთმან მიწა მქმნას, ნუ მცა ცხრითა ვე ვიცი თა“.

როსტევეანს, ნესტანის პირველსავე დანახვაზე:

„დაუყვნა თვალნი ელვამან, მისთა ლაწე-

თავან კრთომილში“.

ანდა აქვე 1370 სტროფი: (აბულ. ვამ.).

„გაპკვირდეს ყოვლნი მხედველნი მისთა ელვათა ფენასა:

ვით მზემან დაყვნა მჭკრეტელთა თვალნი ნათლისა ჩენასა“.

1371: „შესდეს, წავიდეს ყველანი შინათ თავისა მარებად,

ჰქონდეს შვიდნივე მნათობნი მის მზის დასადარებლად...“

ფრიდონიდან წამოსულ ძლევა მოსილ ლომ-გმირებს:

„იგი მზე უჯდა კუბოსა და აგრე არონინებდეს“...

„მას ჰგავდეს, თუმცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთვარეთა“.

უცხო ყმის მპოვნელი ავთანდილი რომ დაბრუნდება როსტევიანთან და „ორნივე გულმხიარულნი, შევებულნი მივლენ დარბაზსა სეფესა“, და ყმა მიჯნური წარდგება.

თავის მზეთუნახავ სატრფოს წინაშე, პოეტი ალტაცებით ამბობს: 6.584:

„მას ავთანდილ თაყვანი სცა ლომთა-ლომ-მან მზეთა-მზესსა,

მუნ ბროლი და ვარდ-ვიშერი გაეტურფა სინაზესა

პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა.

და სახლ-სამყოფი არა ჰმართებს ცამცა „გაიდარბაზესა“ —

„ო...“

მზე პოეტის მოცემულ სახეებში მიწიერიც არის და ზეციერიც; მაგრამ პოეტის ექსტაზი ამ მხრივ ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ მის პოეტურ სახეებში მიწიერი მზეც (მზეთუნახავი) კი ზეციერად იქცევა.

ამ მხრივ საკმაოა მოვიგონოთ ავთანდილ — თინათინის ქორწილის აწერილობიდან პირველი ტაევი:

„მას დღე ავთანდილ ხელმწიფედ ზის და ხელმწიფე ზენია,

მასთანა მჯდომსა ტარიელს ჰშვენიან სინა-ზენია;

ნესტან-ჯან ახლავს თინათინს ვით მჭკრეტ-თა ამაზრუნეთა,

და ჰგავს თუ ცა მოდრკა ქვეყანად, შეყ-რილან ორნი მზენია!“



ამნაირად, ნესტანდარეჯანი, რომელსაც არ შეპყვრის სააქაო ანუ მიწიერი სახლსამყოფი საცხოვრებლად, არამედ ცა უნდა იყოს მისი დარბაზი, თინათინთან შედარებით, წარმოდგენილია პოეტის მიერ ზეციური მზედ, ამიტომ იგი ამბობს:

„ნესტან-ჯან ახლავს თინათინს, ვით მჭვრეტი ამაზრზენია,  
და ჰგავს, თუ ცა მოდრკა ქვეყანად, შეყრილიან ორნი მზენია!“

და ეს ორი მზე:

მიწიერი მზე თინათინი და ზეციერი — ნესტანი, რომლებიც, როდესაც ერთად სხედან საქორწილო ზეიმზე, ექსტაზში მოსული პოეტის სიტყვებით:

„ჰგავს თუ: ცა მოდრკა ქვეყანად, შეყრილიან ორნი მზენია“—ო, რაც ჰნიშნავს: ცას დაუდრეკია თავი მიწამდე (ქვეყანად) იმი-სათვის, რომ შეყრილიყვნენ ორი მზე: მიწიერი — თინათინი და ზეციერი—ნესტანდარეჯანიო.

ამავე მნათობების თეორიიდან გამომდინარეობენ შემდეგი უაღრესად მხატვრული პოეტური სახეებიც:

ასე მაგ., მთავარი გმირი-ქალები პოემაში წარმოდგენილი არიან მზის მეტოქეებად. ქაჯეთს გაპარებული ნესტან-დარეჯანის შეხვედრას ამ სახით აგვიწერს სამეყოზოდ წამოსული ქაჯათა მფლობლის მონა რომაქი „თავადი მონისა ბევრ-ათასისა“ და მისი მხლებელი ასე მონა:

„მინდორ-მინდორ მოვდიოდით ჩვენ ღამესა ღია ბნელსა, დიდი რამე სინათლენი გამოგვიჩნდის შუა ველსა;

ვთქვით თუ: „მზეა ნუ თუ ზეციით ჩამოჭრილი...

ზოგათა ვთქვით: „არის ცისკარი. ზოგათა ვთქვით: „არის მთავარო“.

„პირმზე რამე ცხენოსანი გავიცადეთ თვალით ჩვენით!..

ვუჭვრითეთ პირსა მნათობსა, ელვათა მწვლვარებსა,

მიხი (ჩმიციმი მზისაებრ ეფინებოდა არებსა“...

აგრეთვე მზეთუნახავი თინათინიც პოემა-

ში წარმოდგენილია მზის მეტოქედ, რომელიც არა მარტოდენ ეკამათება და ეჯიბრება მზეს სიტურფის ელვარებაში, არამედ მეტწილად კიდევ აშკარად აჭარბებს და სჯობნის მზეს: ასე, მაგ., პოეტის წარმოდგენით, „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“ და ამიტომაც პოეტი ამ-კობს მას ეპითეტებით: „მზის ზოწუნარი“ ან „მზის მოკამათე“.

აგრეთვე მზე ვერ შესძლებს მას, რასაც უეცრად მოვლენილი და წამსვე გადაკარგული, — მომჯადოებელი უცხო ყმის სახით, — უებრო რაინდი ტარიელ, რომლის შესახებაც როსტევანი ამ სიტყვებით მოსთქვამს თავისი საყვარელი ასულის წინაშე:

„უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდევკიდე,

მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე“.

გამოდის, რომ მთელი სამყაროს არცერთ ადგილს, ხმელთა კიდესაც კი, არ სტოვებს გაუნათლებლად უცხო ყმის სახით მოვლენილი მზე-ქაბუკი.

ამნაირად, პოეტის საყვარელი გმირი, საუკეთესო (რჩეული) ადამიანი, არა თუ მარტოდენ განსახიერება „მზის და მთვარისა“, იგი ბევრად მეჯობიც კია მათი და კიდევ მეტიც: იგი აშკარა განუყრელი ნაწილია კოსმიური ღმერთის—მზისა; და მასთან იმდენად საჭიროც კი მისთვის, როგორც ბუნების უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის მისი განუყრელი ნაწილი:

„მზე უშენოდ ვერ იქმნებოს, რადგან შენ ხარ მისი წილი, განაღამცა მას ეახელ ზისი ეტლი, არ თუ წმილი,

მუნა ვნახო, მადვე ვსახო, განმინათლო გული ჩრდილი,

და თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი“

ამნაირად, ადამიანი მზეა თავისი არსებით, იგი მზის განუყრელი ნაწილია და მზეს უნდა შეუერთდეს, როდესაც მისი სუბსტანციის ელემენტები დაიშლება და მისი საიჭიოს გადასახლების დრო მოვა.



# ე. გრიბოედოვის „ვაი ქუისაგან“ სომხურ სცენაზე და რაკით პრისტაჟის რეჟანზია

ა. გრიბოედოვის უკვდავი კომედია „ვაი ქუისაგან“ პირველად 1827 წელს სომხეთში (ერევანში) იქნა წარმოდგენილი: „Начальник 20-й пехотной дивизии, занимавшей с 1827 года Эриванскую область, Афан. Ив. Красовский в постоянной заботливости о пользе, удобствах и даже удовольствии подданных, устроил в Эривани театр, на котором офицеры давали представления отборных пьес, в том числе „Горе от ума“<sup>1</sup>); ამ წარმოდგენას ავტორიც დასწრებიდა და მის აღტაცებას საზღვარი არ ქონია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან იმ ხანად, კომედია „ვაი ქუისაგან“ ჯერ კიდევ დასტაჟებული არ იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბულგარიის მიერ 1824 წელს დამახინჯებულად დაბეჭდილ ნაწყვეტებს, რომლებსაც ხალხი ვადაწყოების მიერ ვავრცელებული ხელნაწერების მიხედვით ასწორებდა. რუსულ ენაზე კომედია შედარებით უფრო გვიან გამოიცა (1862 წ.), ვიდრე გერმანულად. (1831 წ.), რაც შეეხება სომხურად კომედიის თარგმანს, ის მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში თარგმნა თბილისელმა სომეხმა ტერ-ასტვაცატურიანმა შესაფერი სათაურით „ხელქიცატუჰას“, ხოლო კომედიის სრული ტექსტი პოეტ ლევან მახველიანის მიერ გამოცემულ იქნა 1913 წ., თბილისში.

თუ სომხურ ენაზე ძალზე დავგვიანებით ითარგმნა კომედია „ვაი ქუისაგან“, სამაგიეროდ თარგმანის სახით ყველაზე უწინ, — 1881 წელს, 8 იანვარს, თბილისში, — წარმოდგენილ იქნა სომხურად, მაგრამ ეს ამ შემთხვევაში ჩვენთვის იმდენად საინტერესო არ არის, რამდენადაც სომხურ ჟურნალ „ფორძის“ მიერ (1876-1881 წ. წ. გამოდიოდა თბილისში ანგარ ჰოვანისიანის რედაქტორობით) სპექტაკლის რეცენზენტად ქართველი დრამატურგის, „სამ-

შობლოს“ ავტორის, კრილოვის „საძაველის“, ნევეინის „მეორე გაყმაწვილების“, ჟოზეფის „პარიზელი ბიქის“, ოფენბახის „მწვენიერი ელენეს“ მთარგმნელს — დავით ერისთავის მიწვევა, რომლის მეტად საყურადღებო და ვრცელი (8 გვერდიანი) რეცენზია მოთავსებული იმავე ჟურნალის 1881 წლის № 2-ში (გვ. 142-149) სათაურით „გრიბოედოვის კომედია“ „ვაი ქუისაგან“ სომხურ სცენაზე“.

დავით ერისთავი, რომლის გვარს „ფორძის“ რედაქცია წერს „ერისთავი“ — აღ (რუსულში დავლენით), თავის რეაგირებულ რეცენზიაში დაწვრილებით არჩევს წარმოდგენას. იგი არა თუ მარტო მთლიან სპექტაკლზე ჩერდება, არამედ ცალკე აქტებზე, სურათებზე, მიზანსცენებზე, მოძმედ პირებზე, და ამასთანავე მეტად მწვავე და სერიოზულ სახეებში აყენებს საკითხს სომხური თეატრის მიერ ორიგინალური პიესების დადგმის აუცილებლობაზე.

იმ ხანად, დავით ერისთავის რეცენზიის სომხურ ჟურნალ „ფორძი“ მოთავსება, — ეს ხალხთა მეგობრობისა და სიყვარულის დაუმქნარი დოკუმენტია. კომედია „ვაი ქუისაგან“ რუსი, სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობის მაუწყებელია. ამ მოსახრებით ვთარგმნეთ და აქვე შემოკლებით ვათავსებთ დ. ერისთავის რეცენზიას, რომელშიაც ქართული თეატრის ისტორიკოსი, ვეფქრობთ, ნახავს ზოგიერთ საინტერესო ცნობას.

„სანიმუშოდ მრგვეყავს რამოდენიმე ადგილი ბ — ტერ-ასტვაცატურიანის თარგმანთან:

Ври да знай же меру  
Да умный человек  
не может быть  
Не плутом.  
Служить бы рад  
Прислуживаться тошно.

ილაპარაკე ტყუილი, იყავ ურწმუნო, მაგრამ ყოველთვის იცოდე ზომა და კარგად იფიქრე, ვაჰ, რომ ჰკვიან ცაცის არ ძალუძს

<sup>1</sup> Ал. Веселовский, Русекий Архив, 1874 г. стр. 1564-1565.

არ იყოს ყანალი, ტყუილა და ქრდი...

სამხატურის შეწირულება ვარ, ხოლო სასტიკია  
უგმყოფილება  
რომ სამხატურში იყოს კაცი მადლიერი<sup>2</sup>.

მაგრამ მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც აქებენ ბ—ნ ტერ-ისტვაცატურიანის თარგმანს, რითაც განიტყვებულნიც კი დარჩენილან და ადასტურებენ, რომ სომხურში ეს თვით გრიბოედოვიანო და სხვა... ამისთანა სასტიკი მებოტბენი და მოსამართლენი, შეიძლება მხოლოდ გავამართლოდ „პატრიოტიზმის“ გრძნობით, თუ კი არ სურთ მახინჯების სახელის მიკუთვნება. არა, რომ ამ ბატონების უმრავლესობასთვის ჰოვზია ლექსია, რომელშიც დიდი უპირატესობა აქვს რითმას, ხოლო აზრს კი მეორეხარისხოვანი. აზრის გავება მათთვის ზედმეტი შრომაა. თვით მთარგმნელი ამ ბატონების პატივისცემის ნიშნად (ანდა სხვა მისახარებით) აზრს სწირავს თვით რითმისათვის<sup>3</sup>.

მსგავსი დამახინჯებები შეიძლება მხოლოდ კავკასიური ენებით: სომხურითა და ქართულით. რუსი ნაცვლად *пришел*-ის არასტოდ არ იტყვის *пришел*, *перевел*-ის ნაცვლად *перевил*-ს, ფრანგი *bonjour*-ის ნაცვლად *bonjar*-ს და სხვა, ხოლო ბ—ნ ტერ-ისტვაცატურიანი კი თავისთავს უფლებას აძლევს... მსგავსი მარგალიტებისათვის. მაგრამ ამაში მარტო მთარგმნელი არ უნდა გავამტყუნოთ, რადგან ასეთი მოვლენები ჩვენში ხშირია. შეიძლება *პანს* მიზეზი იმაში მდგომარეობდეს, რომ ხალხური ენა ძლიერ განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან. ზოგიერთნი ამ მდგომარეობას ენის სიმდიდრეს მიაწერენ. ჩვენი უხეველულებით კი პირიქით, ეს განსხვავება ერთ-ერთ ნაკლებანებაა, რომელიც დიდათ აფერხებს ხალხის კულტურის წარმატებას... მაგრამ დავშორდით ჩვენს ძირითად საკითხს.

როგორც მაყურებლის დაკვირებიდან ჩანს, თეატრის რეჟისორს საკმაო ადგილები შეუშოკლებია, რაც ძლიერ ბუნებრივია, მაგრამ ამ თვალთახედვით ჩვენ მეტად გავვაკვირვა სომხურ სცენაზე მისამდე მოქმედებაში ხელსტოვის იმ ნაწილის შეუკეცელობამ, სადაც იგი აკრიტიკებს სტუმრებს. ეს ადგილი არაღც ერთ გამოცემაში არ მეორდება. და მას ჩვენ ვნახულობთ მხოლოდ ბ—ნ გარუსოვის გამოცემაში. დასაჯერებელია, რომ ეს სურათი თვით გრიბოედოვს წაუშლია, რადგან ამძიმებს მოქმედების მსვლელობას. სომხურ სცენაზე ამ

<sup>2</sup> მოგვყავს სომხურის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი—ი. ბ.

<sup>3</sup> აქ სომხურ ენაზე მოყვანილია რამდენიმე მაგალითი—ი. ბ.

46 სტრიქონისაგან ქ—ი სათენიკ ჩმეკიანი (ხელსტოვის როლის შესრულებით) იქმლებული გახდა დამატებით ეთქვა შემდეგი ცხრა სტრიქონი<sup>4</sup>.

კომედიაში ყველაზე ურთულეს როლს წარმოადგენს ფაშუსოვის როლი. იგი შეძლებული მოსკოველის ტიპია, „ცალკე შტამით“; იგი გასული საუკუნის წარმომადგენელია, რომელიც თანამედროვეობას საესებით დაშორება. თვით რუსეთშიაც ძლიერ მკვირე მსახიობები არიან, რომელნიც ამ როლს კარგად ასრულებენ. მაშასადამე, მით უფრო რთული იქნებოდა ფაშუსოვის როლი მნაკიანისათვის, რომელიც რუსეთში არასადეს ყოფილა და არც „შეძლებული“ რუსი უნახავს. მიუხედავად ამისა, ბ—ნ მნაკიანმა ყოველგვარი წარმატებითა და სრულყოფილობით დაძლია ეს სირთულე. მნაკიანი, როგორც ფაშუსოვი სრულყოფილი იყო. იგი დარბაისელი და თავიდან ბოლომდე „აღა“ იყო როგორც ლიხასთან კეკლუტობით, ისე მეორე მოქმედებაში, ცნობილ ძონალოვის დროს, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება:

„საქმე ისაა, რომ თქვენ ყველანი ქედმაღლნი ხართ, ვაშნაკი სულს შემეცვლელი საშუალება“...

მხოლოდ ის ცოცხალი სანახაობა, რომელიც იწყება ჩაცკის სიტყვებით: „ნამდვილი დღე ქეყანაა“ (წიგნი II, გან. 2), —ორმა მსახიობმა, თუმცა საესებით უფერულად და უტემპერამენტოდ ჩაატარეს, მაგრამ როგორც დავინახეთ, დანაშაუნი არა მსახიობებია, არამედ მთარგმნელი. ვიმეორებთ, რომ მსახიობისაგან უფრო უკეთესი თამაშის მოთხოვნა, ნიშნავს მეტი სიამოვნება ნახო მხოლოდ მასში, რაც „სხვას მიეკუთვნება“. საერთოდ ბ—ი მნაკიანი თავისი ნიჭით შეიძლება ყველა სცენის მშვენივალ ჩაითვალოს.

საკმარისად რთულია ჩაცკის როლიც, თუმცა ეს როგორც საერთოდ ხალხის ტიპი, დასრულებულ მსახიობისათვის მთლიანად შესაფერია. უსაფუძვლოა ის მოსაზრება, რომ ჩაცკის წინატიპი (წინამორბედი) მოლიფრის ალცესტია. ბ—ი ადამიანი ფრანგული სკოლის მიმდევარია და ძლიერ ნიჭიერი მსახიობი. ადამიანის ჩაცკის კომედიაში აკლდა ენერჯია. მოსამართლეთ და ფრანგ ბოროდს შესახებ მონოლოგები მან კარგად ჩაატარა და უფრო კი, არაუშავს რა. ვინ იცის კვლავ შეიძლება მისი დანაშაული არაა. მხოლოდ ალაპმა უწყის, ასეთი ნათარგმნი გრიბოედოვის მხარულად და ენერჯით გადაცემა შეიძლება თუ არა?

იმ ადგილებში, სადაც საკრიო სათუთი

<sup>4</sup> სომხურ ენაზე მოყვანილია ცხრა სტრიქონი—ი. ბ.

გარძობებში, სონიასთვის სიყვარულის გაზიარება, იმ ადგილებში ადამიანი შეუღარებელი იყო. მესამე მოქმედებაში ის ნაწილი, სადაც ჩაკვი ქალს უმხელს თავის სიყვარულს, მან დიდი გარძობიერობით ჩაატარა, და დაიმსახურა საზოგადოების ოვაციები.

ადამიანი შეღარებით სუსტია მეოთხე მოქმედების იმ სურათით, როდესაც იგი შირმის უკან მოსჩანს და ამბობს: „ოი აქა ვარ, ფარისევლო“. Молчалины блаженствуют на свете“.<sup>5</sup> ეს სიტყვები წარმოთქმულ უნდა იქნას მთელი სასტიკი რისხვით, თითქმის თვალმანაც ცრემლის ღვრით, საჭიროა ითქვას, რომ მან ბოლო მონოლოგი ჩაატარა დიდი პათოსით.

ამჟამად, არა ბოროტი განზრახვით, გავიხსენოთ ორი სუსტი ადგილი. პირველი ადგილის სისუსტის მიზეზი მთარგმნელია, ხოლო მეორეის თვით მსახიობი, მეორე მოქმედებაში, როდესაც ჩაკვი ფაშუსგთან იწყებს კამათს, მთელი ეს სურათი დიდი ტემპერამენტით უნდა ჩატარდეს, ჩაკვი თითქმის ყურს არ უგდებს ფაშუსს, რადგან სიტყვას სწყეტს (პაუზა), ერთი სტრიქონისაგან შემდგარ წინააღმდეგობის გულისათვის:

„Ах, боже мой, он карбонарий“<sup>6</sup>.

\*\*\*

„Опасный человек“<sup>7</sup>

\*\*\*

„Терпенья, мочи нет, досадно.“<sup>8</sup>

მაშასადამე, როგორც მკითხველი ხედავს, ეს ადგილები ოდესღაც ორ სტრიქონად არის ნათარგმნი. ესაა მიზეზი, რომ ჩაკვი იძულებულია ყოველთვის პაუზა გააკეთოს, რათა ფაშუსგმა დაამთავროს თავისი გრძელი წინააღმდეგობი, რთაც მთელი სურათი ცივად ტარდება. ამ სისუსტის მიზეზი ბ—ი ტერ-ასტვაცატურიანია.

<sup>5</sup> მხოლოდ ბ—ნ. ტერ-ასტვაცატურიანის მსგავს რუსულენი ნის მოსუსტო კაცს შეუძლია ამ სიტყვების შემდგენიად თარგმნა;

<sup>6</sup> „მალჩალინიები მუდამ არიან ამ ქვეყანაში,

ბედნიერად ცხოვრობენ—პატივითა და დიდებით“.

<sup>7</sup> დღერთო ჩემო, ეს საშინელებაა.

<sup>8</sup> როგორი მშობარა, მაგნე კაცია.

<sup>9</sup> საკმარისია საკმარისი... ბოლმა მომეცა

აღარ შემიძლიან შენი მითმენა.

(სამივე მაგალითი სომხურის სიტყვა-სიტყვიით თარგმანია—ი. ბ.).

მეორე სუსტ მხარეს ჩვენ უნდა მივაქვეთებოთ ბ—ნ ადამიანის უზრუნველობა, ჩაკვი მესამე მოქმედების ბოლოს ამბობს მოლოცვით. სტუმრები, რომელიც ფიქრობენ, რომ იგი ქუთიდან შეიშალა, თანდითან შორდებიან. ჩაკვი მას ვერ ამჩნევს, რადგან იგი ვატაცებულა მონოლოგით, მაგრამ იგი უცბად ბრუნდება და ხედავს, რომ მის სახალხოვეს არავინ არ არის და უცბად სიტყვად უსრულდება.

როდესაც მონოლოგის დროს სტუმრები მოსცილებულა, ბ—ი ადამიანი რამდენიმეჯერ შემობრუნდა, მოძრაობდა სცენაზე და ალბად ნახა, რომ მის ვარშეში არავინ არის. რამდენიმეჯერ დაჰქონდა სიტყვის ვარშელებს, რადგან მოქმედების ბოლო ნაწილის მიმხველობა და შთაბეჭდილებები ვაქარწყლდა—ეს უპარტიკული შეცდომაა ადამიანისათვის.

დანარჩენ ნაწილებში ბ—ნ ადამიანმა ძლიერ კარგად შესარულა თავისი როლი.

ჩვენ თუ ამდენს შეგვირდით ადამიანზე დაცოტაოდენ დაწვრილებით განვიხილეთ მისი თამაში, ამის მიზეზი მისი დიდი შესაძლებლობა და ამიტომაც მისგან მეტს მოვითხოვთ.

ლიზას როლი შესარულა შინაურობაში „სომხური თეატრალური დასის მთავრეთ“ წოდებულმა ქალიშვილმა კარაკაშიანმა. ლიზა მზიარული უნდა იყოს, ენათაფლიანი, ხოლო კარაკაშიანი ყოველ მოძრაობას, სიტყვას მიმხიდელობით—სიცოცხლით ავსებს და ამასვე უნდა დაემატოს ისიც, რომ საუცხოვოდ ემთავრება.

სკალოზების როლის შესრულება უკეთ შეიძლება. შესცდა ბ—ი ჩმშვიანი, რომ იგი სცენაზე თავისი ხმით არ ლაპარაკობდა. ბ—ნ ჩმშვიანმა როგორც გამოცდილმა და შესანიშნავი ჟესტის მქონე მსახიობმა, კარგად უნდა იცოდეს, რომ არაფერი ისე მიუზიდელი არ არის, როგორც მსახიობის მიერ არა ბუნებრივ ხმით ლაპარაკი და ძნელია ასე თავის ბოლომდე გატანა. ძლიერ ნაკლებად იყო საკები ბ—ი მანდინიანი რეპერტიოვის როლში. იგი ძლიერ ერთფეროვნად ლაპარაკობს, რაც მართლაც მის მოუქნელ ხმას უნდა მიეწეროს, რომ მთლიანად შემოკლია ინტონაციით.

აი რამოდენიმე სიტყვით მთავარ მოქმედ პირთა ტიპური სურათი.

დანარჩენ შემსრულებლებზე არაფერს ვამბობ. სომხური დასი იმდენად ძლიერი არ არის, რომ შესაძლებელი იყოს მოსთხოვო ყოველმხრივ კარგად შესრულება ისეთი პიესისა, რომელშიც 30 მდე მოქმედი პირია და ყველანი ცოტათ თუ ბევრად „მთავარი“.





ლადო გუანელი

# კინო „რადიუმის“ დაარსება ქუთაისში

ქუთაისის კინო-თეატრის ხსენებას ადგილი არ ჰქონდა 1907 წლამდე. პირველად აქ აჩვენდა ვილაც იტალიელი გვარად პაულინი, რომელმაც მოაბა ამ საქმეს თავი და ჩაუყარა საფუძველი, როგორც მასხოვს, 1907-8 წლებში. მან მოათავსა კინო ქალაქის თეატრის კერძოთ ორ პატარა დარბაზში, რომელიც იტყვედა 70—80 მაყურებელს. ქუთაისში ცხოვრები ინტელიგენტი ტიხონ ალექსის-ძე სათიანი მეტად დაინათა, როგორც ცნობის-მოყვარე, კინოს საქმიანობამ და დაისახა სიხნად შეესწავლა როგორმე ეს ხელობა, რათა შემდეგ ვისმესთან შეთანხმებით გაეჩინა უფრო მოზრდილი და კეთილმოწყობილი კინო. ამის გამო მან გაიცნო ახლოს კინოს პატრონი პაულინი, ხშირად დადიოდა მასთან. დაუმეგობრდა კარგად და მალე ვაეცნო ამ საქმეს ყველა პროცესს. 1910 წ. პაულინიმ განიზრახა თავისი საქმის გაფართოება და დაიწყო უფრო სრული შენობის ძებნა. ადგილობრივმა მცხოვრებმა მოქ. მურადოვმა დაუდო პაულინის ხელშეკრულება, რომ იგი დაეგებდა თავისი მიწის ნაკვეთზე ყოფილ კარვასლის ქუჩაზე, კინო-თეატრისათვის შენობას პაულინის მიერ მიცემულა გეგმით, რომელიც შემდეგ უნდა აეღო იჯარით 10 წლის ვადით. მორიდგნენ. მურადოვი შეუდგა შენობის აგებას, როდესაც სანახევროდ მზად იყო 1911 წლის გაზაფხულზე, პაულინმა გადასწყვიტა თავისი საქმის ლიკვიდაცია და სამშობლოში დაბრუნება. ამიტომ მან პირველად წინადადება მისცა ტიხონ ასათიანს, შეეცადა კინოს მოწყობილობა და მიეღო მის თავზე მურადოვთან დადებული ხელშეკრულება. ტ. ასათიანს ჭკვაში მოუვიდა ამ საქმის ხელის მოკიდება, მაგრამ ამას თანა ესაჭიროებოდა და უცებ ვერ ნახა ისეთი ვინმე, რომელსაც აღმოეჩინა დახმარება. ვერ

მონახა თანამგრძობი. ბოლოს ასათიანმა მიმართა ქუთაისის საურთიერო ნდობის საზოგადოების ბანკს, რომელმაც ამ საქმის მოსაწყობად გაუხსნა კრედიტი და ამ საშუალებით მან შეიძინა პაულინის ქონება. ამხანაგად შეიყვანა სკოლის ყოფილი ამხანაგი პავლე ანტონის-ძე მეფისაშვილი. კინოს მექანიკოსად მოიწვია, ამ საქმეში კარგად გამოცდილი, ვასილ იაკობის-ძე ამაშუკელი და შეუდგნენ მუშაობას იმავე წლის ოქტომბრიდან. კინოს დარბაზი იტყვედა 400 მაყურებელს; სცენაც საკმაოდ ფართო იყო და გამოსაყენებელი შეიქნა სხვადასხვა კულტურული საჭიროებისათვისაც. ყვირაობით მეპატრონეები დარბაზს სცენად უთმობდნენ სრულიად უსასყიდლოდ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას ლექციებისათვის, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციებს კრებების გასამართად. იმართებოდა აგრეთვე საბავშვო სურათები დაკლებულ ფასებში. 1912 წ. ტ. ასათიანმა შეიძინა კერძო პირისაგან კინოსურათების ვადასაღები აპარატი—„გომონი“, რომლითაც (მექანიკოსი ვ. ამაშუკელი იღებდა სურათებს ადგილობრივი ქუთაისის ცხოვრებიდან, როგორც მაგ., ქუთაისის პანორამები, ავიატორ ქებურიას გაფრენა, ლადო მესხიშვილის იუბილე და სხვა... ვადალების შემდეგ სურათს ამჟღავნებდა და ბეჭდავდა ქუთაისელი ფოტოგრაფი ვეგეჰკარი და შემდეგ იდგმებოდა „რადიუმში“.

ამ კინომ დიდი სამსახური გავეციწია 1912 წლის ზაფხულში, როდესაც გადაწყდა „რადიუმ-ლენჩუმელთა კომიტეტის“ მიერ აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლენჩუმში. კომიტეტის წევრთა თხოვნით ტ. ასათიანმა გადაწყვიტა გადაეღო აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლენჩუმში, რისთვისაც მოგზაურობის მომწყობ კომიტეტს გზაში სურათების და შეხვედრების

გადასაღებად გააყროლა თავისი მასალებით კინემატოგრაფი ვ. ამაშუკელი. აღუთქვა კომიტეტს, როდესაც იგი სრულად აინაზღაურებდა სურათების გადაღებაზე გაწეულ ხარჯებს, შემდეგ სურათებს გადასცემდა მუზეუმს, რაც შესრულებულ იქნა. მოგზაურობა გავრძელდა 20 დღეს. ამაშუკელმა თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა. ქუთაისში დაბრუნების შემდეგ სურათები წარწერებით გაიგზავნა თბილისში, სადაც იქნა გამოჩინებული ივანიკუაის ლაბორატორიაში დიდიმელოვის მიერ, რომელიც იმ დროს იქ მუშაობდა. გადაღებულ იქნა „აკაკის მოგზაურობის სხვადასხვა სურათები.

როდესაც სურათები დამზადდა, კინოს მეპატრონეებმა აცნობეს აკაკის, რომ 20 სექტემბრიდან შესაძლებელი იქნებოდა სენსების გამართვა. 20 სექტემბერს საღამოს მატარებლით საჩხერიდან მობრძანდა აკაკი კოტე აბდუშელიშვილის თანხლებით. სადგურზე შეხვდნენ მგოსანს ტინონ ასათიანი და პავლე მეფისაშვილი, აგრეთვე ქუთაისის კომიტეტის წევრი მასწავლებელი სამსონ დათეშიძე.

კინო „რადიუმს“ ადრიადად მოაწყდა საზოგადოება, ბილეთების აღება შეუძლებელი გახდა. თეატრის შესავალი, აგრეთვე სავარძელი „ლოჯაში“, სადაც უნდა დაბრძანებულიყო მგოსანი, მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით. „სენსები“ დაიწყო 6 საათიდან. რვის ნახევარზე გაჩერდა თეატრთან მგოსნის ეტლი. ხალხმა დასძახა „ვაშა“, მუსიკამ მალედიან დაუკრა შესახვედრი „მარში“ და „სულიკო“. მგოსანი დაბრძანდა ლოჯაში, სენსი შეაჩერეს, დარბაზი გაკედილი იყო ხალხით. საზოგადოება ფეხზე წამოღდა და შესძახეს „აკაკის გაუმარჯოს“, და მოისმა ტაშის გრიალი. სენსი გავრძელდა. უკრავდა „რადიუმის“ საკუთარი სიმებიანი ორკესტრი ქართული მოტივებიდან ლოტბარის აფანასიევის ხელმძღვანელობით. ანტრაქტების

დროს უკრავდა სერგო ქუთათელაძის ორკესტრი „კოლხიდა“. 12 საათამდე მიდევრო 4 სენსი, დაესწრო 2000-ზე მეტი მაყურებელი. სურათების ჩვენება გავრძელდა ერთ კვირას, ყოველ დღე 4 საათიდან 12 საათამდე. ქუთაისის შემდეგ სურათები დიდგაჭიათურაში. თბილისში კინოები იმ დროს უცხო ტომის ხალხის ხელში იყო და არც ერთმა კინოს მეპატრონემ არ მოკიდა ხელი დასადგმელად. კინოების პატრონები იყვნენ ვინმე ზურკოვი და შენდეროვი, რომლებიც მალე უცხოეთში გაიპარნენ, ბოლოს სასტუმრო „ნოე“-ს შენობაში მოთავსებულ პატარა კინოში მოხერხდა სენსების გამართვა მხოლოდ იმ პირობით, რომ მთელ შემოსავალს კინოს პატრონი წაიღებდა. შემდეგ კი, 1913 წლიდან „აკაკის მოგზაურობის“ სურათები, დაპირებისამებრ, ტ. ასათიანმა ჩააბარა კომიტეტის წევრს მუზეუმისათვის გადასაცემად.

1925-26 წლებში ტ. ასათიანი იყო მიწვეული ქუთაისში „რადიუმის“ გამგედ და მაშინ აღმოჩნდა იქ ნეგატივები, რომლებიც აღწერეს და შეიტანეს „რადიუმის“ ქონების სიაში. ბოლოს ყველა ეს ნეგატივი ჩაბარდა ვანათლების განყოფილებას.

ამგვარად ტ. ასათიანს მიუძღვის ზრუნვა ქუთაისის კინოს დაარსებაში და „აკაკის მოგზაურობის“ სურათების გადაღებაში.

1912 წ. მე მივიღე მონაწილეობა ამ მოგზაურობაში და ყოველივე ავწერე დაწერილებით. შემდეგ „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ ქუთაისში გამოსცა წიგნაკებად მესტამბემ დომ. შარაშენიძემ 3.000 ცალის რაოდენობით. მოგონებანი ამ მოგზაურობის შესახებ, აკაკის დაუბეჭდავი პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“, აგრეთვე ცნობები მისი უკანასკნელი დღეების შესახებ, ხელახლა დაწერილი და შევსებული აწ. 8 სექტემბერს გადაეცემა მწერალთა მუზეუმს.





# ქართული ტაქვიზის გარეგნო

უდალა, რომ ქართული ცეკვები ულამაზესად ითვლება. განსაკუთრებით ჩვენი ტრადიციული ლეკური. ამ ცეკვას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ყველა ერის ცეკვაში. რომელ ცეკვაში არის ჩართული იმდენი ყურადღება, გატაცება, ემზი, პატივისცემა, მორიდება, დარბაისლობა და მოწიწება ვაჟის მხრივ ქალის წინაშე? ამ ცეკვის დროს, როგორც ქალს, ისე ვაჟს სრულიად ავიწყდებათ ყველაფერი. ისინი გამსჭვალულნი არიან მხოლოდ იმით, რომ მოეწონონ ერთმანეთს, ცეკვით მიიპყრონ ერთმანეთის ყურადღება. ამიტომაც არის, რომ ჩვენმა პოეტებმა ლეკურს დაარქვეს: „შეყვარებულთა ცეკვა“, „არშიყობის ცეკვა“. ამ ცეკვის პრინციპი იყო და უნდა იყოს განსაკუთრებული რაინდული მოპყრობა ვაჟის მხრივ ქალისადმი. შე მინახავს ისეთი მოცეკვავეები, როგორც: ქალებიდან — ქეთო ანდრონიკაშვილი, მელანია იოსელიანი, ნინო ფალავანიშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი; ვაჟებიდან: ლევან ციმაკურიძე, ლევან ფალავანიშვილი, ვანო ნანიშვილი, კონისთაი, ალექსიძე, დიანამიძე და სხვანი. ყოველი მათგანი ცეკვაში ურთავდა თავისებურ ელფერს, თავისებურ ილეთებს. ხელის გაშლა, დავლა და ცეკვა ერთიერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

ამ ექვსი წლის წინათ ჩვენს ცეკვაში შემოიჭრა ახალი სტილი. თითქმის ყველა მოცეკვავე, რომლებიც ამ ხანაში გამოვიდნენ ცეკვის ასპარეზზე, ცეკვავს ახალი სტილით. ძველმა მოცეკვავეებმა დ. ჩიკვაძემ და ნ. სიხარულიძემაც ხელი მიყვეს ახალ სტილით ცეკვას. ამრიგად, ყველა ახალი სტილით ცეკვავს.

შევეცდები ახალი სტილით ცეკვას დასუზათებას.

მოცეკვავე სცენაზე გამოდის ჩოხის მკლავების სწორებით, თითქო დრო არ ჰქონდა გასწორებისა, ვიდრე სცენაზე გამოვიდოდა; იწყებს დავლას მარჯვენა და მარცხენა ფეხის მუხლში წინ-მალლა მოხრით. ეს დავლა არის მთიელების დავლა. ჩოხის კალთები უფრიალებს. გამიგონია, ვაჟმა მთელი ცეკვა ისე უნდა ჩაატაროს, რომ ქალმა არ იცოდეს რა ფერის შარვალი აცვია. განაგრძობს დავლას ორივე ფეხების წინ-მუხლში მოდრეკით, რაც დავლა გამოდის ქანაობით. ვადასქრის წრეს შუაზე და გაემართება მყურებლისაკენ ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს იქვე მდგომ ქალს, რომელთანაც უნდა იცეკვოს. თითქოს ის კი არა, მყურებლიდან სურს გამოიპატიჟოს ქალი. გააკეთებს ცეკოს, შემოტრიალდება მარჯვენა ფეხის მალლა აკვრით და ისევ აუფრიალდება ჩოხის კალთები. განაგრძობს დავლას და დაუპირისპირდება ქალს. მივა იმდენად ახლოს რომ, როცა ცეკოს აკეთებს, ჩოხის კალთები ქალს ედება. დაუკრავს თავს. ახლა იწყება ქალის ცეკვა, ისეთივე დავლა, როგორც ვაჟისა—ქანაობით. ქალის დავლა უნდა იყოს ისე სრიალა, ნარნარი, როგორც მდინარი წყალი, განსაკუთრებით კი უკან წასვლის დროს. აქ იმდენად ახლოს მისდევს ვაჟი ქალს, რომ ვიღებთ ასეთ შთაბეჭდილებას აი, ახლა ქალი წაბარბაცდება და ამიტომაც მისდევს ვაჟი ქალს ასე ახლოს. აქ არ ჩანს ქალის წინაშე ის მოწონება, მორიდება, დარბაისლობა, რომელსაც უნდა ვხედავდეთ. გააკეთებს წრეს. შუა წრეში სვლის შეცვლის მიზნით ქალი უცბად ისე გააკეთებს თავბრუ ტრიალს, თითქოს ვაჟისაგან რაღაც ეწყინა და თავს უშველაო. ტრიალის დროს ქალის კაბა ისე აფრიალდება ხოლმე, რომ ქალს წვივები გამოუჩნდება. გაგონილი მაქვს,

რომ ქალმა მთელ ცეკვაში ფეხსაცმლის წვერების მეტი არაფერი არ უნდა გამოაჩინოსო. ქალი წავა უკანა სვლით, კვლავ გააკეთებს ტრიალს და გაემართება იმ ადგილისაკენ, საიდანაც დაიწყო ცეკვა. ვაჟი შეასრულებს თავის სოლოს, მივა ქალთან, წამოიყვანს, გააცილებს, შუბ წრემდე და დადგება. იწყება ქალის სოლო. ის შემოუვლის წრეს და როგორც ცეკვის დაწყების დროს ვაჟმა მოაკლო ყურადღება ქალს, ქალიც უხდის სამაგიეროს და გაემართება მაყურებლისაკენ, შესდგება ერთ ადგილზე და იწყებს ქართული ცეკვის ერთ იმ მთავარ დარღვევას, რომელიც მთლიანად სხვა ერის ცეკვიდან არის ჩართული. დამკვრელებიც შეანელებენ დაკვრას, როგორც თხოულობს ქართული ცეკვა. ამ დროს ვაჟი, იმის მაგიერად, რომ მთელი თავისი ყურადღება ქალს მიაქციოს, სდგას ერთ ადგილზე და თავისთვის აკეთებს ცეკოს. ქალმა გაათავა (უზუნდარა), დამკვრელებმა ხმა ამოიღეს. ქალი მოიკონებს თავის მოპირდაპირეს, გვერდზე ნელი სვლით მივა ვაჟთან, დაბრუნდება უკან და უკვე მოჩქარებული წინსვლით მიუახლოვდება ვაჟს, რომ თან წაიყვანოს. აქ ვაჟი მოიკუნთება, იღლის ქვეშ გაუძვრება ქალს და ერთხელ კიდევ არღვევს მოწიწებითს მოპყრობას ქალთან. ჩემთვის გადმოუციათ, რომ ქალმა და ვაჟმა ისე უნდა იცეკვონო. ერთიერთმანეთის იღლია არ უნდა დაინახონო. წავიდნენ ერთად, გააკეთეს წრე. შუა

წრეში ჯვარდინიდან მხრების ერთმანეთზე მიდებით გააკეთებენ ორ ტრიალს. ორივე ბირს იბრუნებს მაყურებლებისაკენ, გააკეთებენ ორ მოკლე წინ და უკან სვლას, ორივენი შემოტრიალდებიან და ცეკვა დამთავრდება. აი, ამ სტილით ცეკვავს ახლა ყველა; მოცეკვავთა შორის არავითარი განსხვავება არ არის. ასე რომ, ახალი სტილი გადაქცეულია სტანდარტად.

ასე, სხვა ერების ცეკვების ნაწილების ჩართვით, შექმნილია ახალი სტილი. ნაწილიც ბალეტიდან არის დართული.

მართალია, ქართული ცეკვების სახელმძღვანელო არ მოიპოვება, არც ერთ წიგნში არ არის ქართული ცეკვების აღწერა, ყველა მოთხრობაში, რომანებში, მოგზაურთა დღიურებში არის მხოლოდ ამ ცეკვის ქება, აუწერელი სილამაზე ცეკვისა, დაუციყარი შთაბეჭდილებანი, რომელსაც ეს ცეკვა სტოვებს.

მაშ, რას უნდა დავეყრდნოთ? ჩემის აზრით რჩება მხოლოდ ვით ერის გადმოცემანი, ნაამბობი, ნანახი. ბევრჯერ ვყოფილვარ მაყურებელთა შორის, როცა სცენაზე სრულდებოდა ახალი სტილის ლეკური. ბევრი მაყურებელი გამოსთქვამდა სინანულს, რომ ნამდვილი ლეკური შესცვალეს ახალ სტილით. ყველა ერი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ცეკვა და ჩვენც შევინარჩუნოთ ძველი ქართული ცეკვები.







ქართული მწერლების ნიშნები  
რეკონსტრუქცია

# ბელადს



ქართული  
მწერლები



\* 19 : ფედერაცია : 39 \*

გამომცემლობა „ფედერაცია“ გამოსცა ქართველი მწერლების კრებული „ბელადს“, კრებული დააბეჭდა ილია თავაძის, ალიო მამაშვილის, ირაკლი აბაშიძის, სიმონ ჩიქოვანის და ლეო ქიაჩელის რედაქციით.

კრებულში წარმოდგენილია შემდეგი პოეტები და მწერლები: ვალაქტონ ტაბიძე — „გორი“, ალიო მამაშვილი — „დაბადება“, შალვა დადიანი — „ქარბუქი“, ალექსანდრე აბაშელი — „სტალინისადმი“, სიმონ ჩიქოვანი



—„ბელადის მოძმე“, ი. გრიშაშვილი—„სო-  
სელო“, კონსტანტინე გამსახურდია—„ბელა-  
დი“, ილო მოსაშვილი—„ბელადის სახლი“,  
ირაკლი აბაშიძე—„წულუკიძის სიკვდილი“,  
ლეო ქიაჩელი—„სტალინი“, რაედენ გვეტა-  
ძე—„სტალინის სურათი“, კონსტანტინე ქი-  
ქინაძე—„ხალხთა ბელადი“, დემნა შენგუ-  
ლაია — „ყრმობა“, კარლო კალაძე — „ბარა-  
თი“, სერგო კლდიაშვილი — „შემთხვევა  
ძველ გორში“, სანდრო შანშიაშვილი —  
„სტალინის სახე“, ვალერიან ვაფრინაშვი-  
ლი—„ზღვა და ბელადი“, ალექსანდრე ქუ-  
თათელი—„მენავე“, ალექსანდრე გომიაშვი-  
ლი—„ბაზალეთის ტბა“, რაედენ გვეტაძე—  
„გზაზე“, ვიქტორ გაბესკირია — „ბელადის  
სადღეგრძელო“, გრიგოლ აბაშიძე — „ფუძე-  
მდებელი“, სოლომონ თავაძე—„ბელადისად-  
მი“. ა. ბელიაშვილი—„პოეტის ოცნება“,  
იაკინთე ლისაშვილი — „სტალინი“, ვასო  
გორვაძე—„ჯამბული გორში“, ლევან მეტ-  
რეველი—„ხარი ლომი... შწყემსი თედორე“.  
გიორგი ქუჭიშვილი—„იქ, სადაც იშვა ბელა-  
დი“, ბორის ჩხეიძე—„ძვირფასი თვალი“,  
ხარიტონ ვარდოშვილი—„ქართლის ზეცა“,  
ა. ხახუტაშვილი—„მეგობრები“, სანდრო  
ეული—„ემპოქის ავტორი“, ლადო ბალიაური  
—„ხვამიადი“, კალე ბობოხიძე—„ბელადის  
სამშობლო“, პანტელეიმონ ჩხაკვაძე—„სწორ-  
უპოვარი“, გაბრიელ ჯაბუშანური — „შეხ-  
ვედრა“, ელიზბარ პოლუმორდენიოვი—„გან-  
თიადის წინ“, გიორგი კაქაბიძე—„გორის  
ბაღებში“, გიორგი კალანდაძე—„გორის ცი-  
ხეზე“, ნინო ნაკაშიძე—„შთაბეჭდილებანი“,  
გერონტი ქიქოძე—„წარსულის მოგონებე-  
დან“.

სის მუშათა პირველი ს.-დ. წრეების ორგა-  
ნიზატორი და ხელმძღვანელი (1898 წ.)“,  
ა. გიგოლაშვილი — „არაღვალური კრება  
ამხანაგ სტალინის მეთაურობით თბილისში,  
ხოჯევანქის სასაფლაოზე (1898 წ.)“, კ. ხუ-  
ციშვილი—„ამხანაგი სტალინი — თბილისის  
რკინიგზელ მუშების გაფიცვის ორგანიზატო-  
რი (1900 წ.)“, ა. ქუთათელაძე—„ბათუმის  
მუშათა პოლიტიკური დემონსტრაცია ამხ-  
ნაგ სტალინის ხელმძღვანელობით (1902 წ.)“  
კ. სანაძე—„ამხანაგ სტალინის დაპატიმრება  
ბათუმში (1902 წ.)“, ა. ბაქმუტქ-მელიქოვი—  
„ამხანაგი სტალინი ესაუბრება პოლიტპატიმ-  
რებს ქუთაისის საპყრობილეში (1903 წ.)“,  
ს. ნადარეიშვილი — „ამხანაგი სტალინი  
მიტინგზე ქიათურაში ამხელს მენშევიკებს  
(1905 წ.)“, ა. ქუთათელაძე — „ამხანაგი  
სტალინი ესაუბრება ქართულ გლეხებს  
(1905 წ.)“, ი. ვეფხვაძე—„ამხანაგი სტალინი  
ამბობს სიტყვას ა. წულუკიძის დაკრძალვი-  
სას (1905 წ.)“, ი. ვეფხვაძე — „ამხანაგ  
სტალინის შეხვედრა ვ. ი. ლენინთან ტამერ-  
ფორსში (1905 წ.)“, ვ. სიღამონ-ერისთავი—  
„ამხანაგი სტალინი ბაქოს ნავთის მრეწვე-  
ლობის მუშათა მიტინგზე (1908 წ.)“, შ. მა-  
ყაშვილი—„ამხანაგი სტალინი ბაქოს საპყრო-  
ბილეში (1910 წ.)“, ი. ვეფხვაძე—„ამხანაგი  
სტალინი თავის თანამებრძოლებთან“.

კრებულის მხატვრული გაფორმება ეკუთ-  
ვნით ლადო გრიგოლაიას და ლადო ქუთათე-  
ლაძეს. კრებული ტექნიკურად იშვიათადაა  
გაფორმებული.

„მშენა, სადაც იშვა ბელადი“

გამოვიდა სანდრო ეულის ლექსებისა და  
პოემების, წიგნი „ქვეყანა, სადაც იშვა ბელა-  
დი“. გამოცემა საქ. ალკკ. ც. კ-ის საბავშვო  
და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობისა.

კონსტანტინე გამსახურდიას

# ბელადი

ბრილოგი  
წიგნი  
პირველი

სახელგამი

1939

„ბელადი“

სახელგამმა გამოსცა კონსტანტინე გამსახურდიას ბრილოგის „ბელადის“ პირველი წიგნი, რომელშიაც ასახულია ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ცხოვრების ბავშვობისა და ყრმობის პერიოდი. წიგნი შეიცავს შემდეგ თავებს; 1) უფლისა არაბული, 2) „ლოლია, ლოლია...“, 3) ლანდები გარბიან, 4) რაინდები არა სტირიან..., 5) გაფრენილი სურათი, 6) „აგა!“, 7) ტონთიო, 8) „რატომ?“, 9) ცხვირბაჭუთა დალასკუტა, 10) „წარმართი“, 11) ხიფათი, 12) „ფენდრიხან“, 13) ვარსკვლავები ცრემლიან თვალიდან..., 14) სარდაღის კრივი, 15) „კეთროვანი“ 16) სიტყვა ქვასაც ჰვავს..., 17) აშლოყინე, 18) სიკვდილს უდიმისო..., 19) ვერცხლის ქამარი, 20) „მუხრანბატონო გაგიხმეს მარჯვენა“, 21) კვირაძალი, 22) ოსმანას სიკვდილი, 23) მხერხავეები, 24) შავი ორშაბათი, 25) ფოტოგრაფიული აპარატი, 26) ჰყვიოდნენ ყორნები წმინდა, წყლის მინდორზე..., 27) დანახვისა.

წიგნი ლამაზადაა გაფორმებული მხატვარ ლ. გრიგოლიას მიერ.



გიორგი ლენინი

# სტალინი

ბავშვობა და ყრმობა



ეპოპეა

წიგნი პირველი



სახელგამი

1939

39

თბილისი

გიორგი ლენინის ბავშვობა „სტალინი“  
„ბავშვობა და ყრმობა“

დაიბეჭდა და გამოვიდა გიორგი ლენინის ახალი ნაწარმოების ეპოპეა „სტალინის“ პირველი წიგნი „ბავშვობა და ყრმობა“ შემდეგი შინაარსით: პროლოგი: 1. მთები, 2. ქართლის ბაღი, 3. ქალაქი ვერხვის ფოთლებში, 4. გორის ციხე, 5. გორი—ქართლის მეთაური, 6. ეს იყო დრო, იმ საუკუნეთა, 7. იბადებოდა. კარი პირველი: 1. დაბადება, 2. ძეობა, 3. ივენანა, 4. ბატონები, 5. ამირანის მთვარე, 6. სისხლიანი მიწა, 7. კერა, 8. არწივის ფრთები, 9. ზაზა ჯულაშვილი; კარი მეორე: 1. შენი ნააკენარი, 2. მისის წვიმა, 3. არსენა, 4. კრივი, 5. სულისა და ტვინის ციხე, 6. სახრჩობელა, 7. გულის ფიქრი და ნიშანი, 8. თქვენი რიგია, ახლებო, 9. ჩაუბტეთ ბარათაშვილსა.

ეპოპეა შეიცავს 3500 სტრიქონამდე, 160 გვერდს. წიგნი გაფორმებულია მხატვრების ლ. გრიგოლიას და ლ. ქუთათელაძის მიერ.



პ. ს-ს

ალიო მაშაშვილი

ლექსები და პოემები

საბელგამი, 1939 წ.

ბესარიონ ბელინსკი შენიშნავდა, რომ მწერალმა უნდა წეროს სიმართლე და რასაც წერს ის უნდა განიცადოს, მაშინ მის ნაწერებს მილონებია წაიკითხავენ და განიცდიანო.

არც ერთ ქვეყანაში მწერალს იმდენი მკითხველი არა ჰყავს, რამდენიც ჩვენს ქვეყანაში. მილიონები კითხულობენ დღეს საბჭოთა ლიტერატურას. საბჭოთა მწერალი დღეს ქეშმარიტად ბედნიერია.

საბჭოთა მწერლებმა შექმნეს მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომლებშიაც მოცემულია ჩვენი ეპოქის მაღალი იდეები და მისწრაფებები. მაგრამ ყველა ჩვენი მწერალი თავისი შემოქმედებით როდი ღვას ჩვენი ეპოქის სიმაღლეზე.

საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობაზე ამა, ილია თავაძე სამართლიანად აკრიტიკებდა ჩვენს მწერლებს. უსაყვედურებდა ერთფეროვნებას და ნაძალადევად მოთრეული, უშინაარსო სიტყვების ხმარებას. მართლაც არიან ჩვენში ისეთი მწერლები და პოეტები, რომელთა ლექსებსა და მოთხრობებს არაფერი არ აკლია, არც რითმა, არც რიტმი და გრამატიკულადაც შემასშენელი და ქვემდებარე თავის ადგილასაა ნახმარი, მაგრამ ლექსი მაინც არ არის და მკითხველში არ იწვევს არავითარ ემოციებს და განცდებს. აკაკი წერეთელი პეტრე უმიკაშვილთან კერძო საუბრის დროს თურმე ამბობდა: პოეტი ის არის, რომელსაც თავისი საკუთარი სახე აქვს და ჩვენს სულსა და გულს რამეს ეუბნებაო.

ალიო მაშაშვილი ორიგინალური ფიგურაა ჩვენს მწერლობაში. ლექსებში შინაგანი სტიქია, მაღალი ემოციები და განცდები,

მომავლისადმი ურყევი რწმენა, — აი რა ახასიათებს ალიო მაშაშვილის შემოქმედებას. პოეტმა პირველი ლექსი დაბეჭდა 1921 წელს ფოთის ვახუთში და მთელ საქართველოში ძალიე ვაზდამ პოპულარული პოეტი. 1923 წელს პოეტი შემდეგ სტრიქონებს წერდა:

„დღეს ჩემი სიტყვა ახალია და უჩვეულო,  
ჩემს სიმღერაში არც ბოდვია და აღარც სევდა,  
ცეცხლიან გვარში ხომ, ვაგები სულო რჩეულო  
აწ ქვეყანაზე უფრო, მეტი გსურს დავასება“.

ალიო მაშაშვილი ორიგინალური მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში, მის ლექსებში ჩვენ არ ვხვდებით რიტორიკას და სიტყვების უშინაარსო წყობას.

1923 წელში დაბეჭდილ ლექსში პოეტი წერს:

„პოეზიაში სასტიკი ვარ, როგორც ნერონი,  
ფიქრების გროვა მაღალია როგორც ყაზბეგი,  
ქუხან ლექსები საგმირო და სასიმღერონი  
გამომსახველი ამ ცხოვრების მაღალ აზრების“!

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდან ალიო მაშაშვილი იმედიანად უმღეროდა ბედნიერ მომავალ ცხოვრებას.

ქეშმარიტად, ალიო მაშაშვილი მართლაც არის „ამ ცხოვრების მაღალი აზრების გამომსახველი“.



„მონურ ცოვრებას მუდამ სჯობია, რომ ხელში თოფი დაატრიალო“.

ულწრფელად ამბობს პოეტი და მკითხველსაც მის გულწრფელობაში ეჭვი არ არება.

1926 წელს პოეტი წერს:  
„არის თუ არა ვინმე ისე შესაბრალოსი, როგორც პოეტი ცხოვრებისგან ჩამორჩენილი“.

პოეტი რომელიც მოსწყდა ჩვენს გვიანულ მშენებლობას და ვერ ნახა მასში მომავლის პერსპექტივები, მართლაც შესაბრალოსი და საცოდავია.

ალიო მაშაშვილი დიდი ემოციის პოეტიც, მს. ლექსებში არ არის არც ერთი ნაძალადევი და ყალბი სტრიქონი.

„ჩემო სამშობლოვ, შენ ვინაროდეს, აზრთა გენიის რომ ხარ მშობელი, ამიერიდან შენ გენიჭება ხალხთა მადლობა დაუშრობელი“.

ალიო მაშაშვილი გულწრფელ და ანტიტულ სტრიქონებს უძღვნის კაცობრიობის დიდ გენიოს სტალინს:

„ყოველ საქმეში ბრწყინავს იმედი, ყველგან სტალინის სიბრძნე ჰხატია, ამას უამბობს კაცობრიობას გამარჯვებული ხალხის ხარტია“.

პოეტი უმღერის ვანახლებულ სამშობლო არეს და აღფრთოვანებული შემდეგ სტრიქონებს უძღვნის მას:

„ჩემო სამშობლოვ დღეს შენი ვრი ვანახლებული ქართულის ვრია. ასე ხშიერად და ბედნიერად შენ არასოდეს არ გიმღერია. ალისფერია შენი მიდამო, ეგ შენი დროშაც ალისფერია, შენი სიცოცხლე არის სტალინი, შენი მარჯვენა არის ბერია“.

ქართულ ლიტერატურაში ალიო მაშაშვილის პოეზია, ეს არის ბრძოლისა და გამარჯვებას პოეზია.

„ქვა რომ დაჰკარი ქვას გულმოსულად

უფრო აგანთო ცეცხლის, გაჩხამ, ცეცხლი ყოფილა, თურმე საქირო თავისუფლების გადასარჩინად“.

პოეტი მიმართავს დიდ ბელადს და ამბობს:

„ბრმა იქნებოდა ჩემი ქვეყანა, რომ არ ბწყინავდეს შენი თაობა, რომ არ უცემდეს მკერდში ძლიერად შენი გული და გამბედაობა“.

უახლოეს ქართულ ლიტერატურაში მე არ მეგულება ამაზე უფრო გამართული სტრიქონები, სადაც ასე პოეტური სიძლიერით იყოს მოცემული ბელადის როლი ჩვენი ქვეყნის აყვავების საქმეში.

ალიო მაშაშვილი მთელი პოეტური სულით გრძნობს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

„მეც ინდუსტრიის ერთი სვეტი ვარ, აზრთა სხივების გამტარებელი“.

1934 წელს ალიო მაშაშვილმა გამოაქვეყნა სუჟეტური დიდი პოემა „ენგური“. ქართული საბჭოთა ლიტერატურა შედარებით ღარიბია სუჟეტური პოემებით, რასაკვირველია, ჩვენი ქართველი პოეტები წერენ პოემებს, მაგრამ არც ერთი დღემდე გამოქვეყნებული პოემა არ არის სუჟეტური, ყველა ისინი შესდგება ცალკე უსუჟეტო ლექსებისაგან. ალიო მაშაშვილის პოემა „ენგური“ სუჟეტური ეპოსია, რომელშიც ასახულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია — ქალაქის ფაბრიკის მშენებლობა ენგურზე.

„კაცი კაცს მისდევს კალთებ-დაჭერით, პა, იგმირა მათე მოხუცმა, ივლო ქალაქის ერთი ნაჭერი და სიხარულით სახლში მოკურცხლა! ბედნიერია ის ამ ჭაღამოს, რას მოსწერებია, რა ტყბილ დროებას მირბის, საყვარელ შვილს რომ ახაროს შრომის ორდენით დაჯილდოება“.

ალიო მაშაშვილს შესანიშნავად აქვს დაუფლებული პოეტური ოსტატობა და სწორედ ამან მოუბოვა მას ქართულ ლიტერატურაში ნიჭიერი პოეტის სახელი.





საქართველოს საბჭოთა მშრომელთა მიმართება ამხანაგ სტალინს . . . . .	38
მომწინავე—სტალინი . . . . .	16
შალვა დადიანი—ბელადის საზე საბჭოთა დრამატურგიაში . . . . .	27
მინიმილ ბიბლიოლი—სტალინის საზე კინო-ხელოვნებაში . . . . .	23
პროფ. უ. აშირანაშვილი—ამხანაგ სტალინის საზე საქართველოს საზეთი ხელოვნებაში . . . . .	26
ბრიგოლ ჩხიკვაძე —სტალინი ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში . . . . .	30
იპოპო ბალახაშვილი—გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა ლიტერატურული წრე . . . . .	40
ოსებ ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით . . . . .	46
უ. გოგალიშვილი—ბელადისადმი სიყვარულის უდიდესი კერა . . . . .	48
გორის თეატრი . . . . .	48
იუსტინე აბულაძე—რუსთაველის მსოფლმშედეგობისა და ფილოსოფიური აზროვნების წყარო . . . . .	50
დოც. ივანე ბიბლაროვი—ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ სომხურ ენაზე და დავით ერის- . . . . .	54
თავის რეცენზია . . . . .	57
ლადო გვინაშვილი—კინო „რადიუმის“ დაარსება ქუთაისში . . . . .	57
ბ. ბახუტაშვილი—ქართული ცეკვების გარშემო . . . . .	59
ქართველი მწერლების წიგნები დიდ სტალინზე . . . . .	58

ბ ი ბ ლ ი ი მ ბ რ ა ვ ი ა

ალიო მანაშვილი, ლექსები და პოემები . . . . . 61

ყდაზე—ხახლი ქ. ვიღში, ხადაც დაიბადა ამხანაგი სტალინი



რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 23, ტელეფონი 3-09-64, მიღება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, 10-დან 5-სათამდე.

გამოცემის მეშუთე წელი. 5 ნახ.ნახეტი დურეელი. გადაეცა წარმოებას 9/XII-39 წ., ხელმოწერილია დასაბედათ 4/II-1940 წ. შგვ. № 3991. მთავლიტის რწმუნებული № 2319 ტირაჟი 3300

თბილისი „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, რუსთაველის პროსპექტი № 36